ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 18 ივლისი, 2011 №168 (5549 ) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ვაჟა-ფშაველა
8 ლარი
11 ივლისიდან 25 ივლისამდე

## ნანა დევდარიანი: „მერაბიშვილმა შეიძლება სააკაშვილი დააპატიმროს“

გვ.6

პროტესტი!

## გამყრელიძე და თარგამაძე ხელისუფლებამ ერთ დღეში „გადააგდო“

გვ.3

პროტესტი!

არჩევნების ბოიკოტი არ გამოვა

## პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი პატრიარქს დაემუქრა“

გვ.5

ნაციონალებს პატიმრების დამუშავების საშინელი მეთოდები აქვთ

პროტესტი!

### ბესელია ბაროზოს წერილს წაიკითხავს

დღეს „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია გამართავს ბრიფინგს.

როგორც „მედიანიუსს“ მოძრაობიდან აცნობეს, ეკა ბესელიამ ევროკომისიის პრეზიდენტისგან, ჟოზე მანუელ ბაროზოსგან მიიღო პასუხი 2011 წლის 26 მაისს

განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სადაც ევროკომისიის პრეზიდენტის პოზიციაა გამოხატული ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამ წერილის შინაარსს ეკა ბესელია მედიის წარმომადგენლებს გააცნობს.

მედიანიუსი

## რატომ იტანს საზოგადოება ამდენ უკანონობას?!

გვ.8

## აფხაზეთის პრეზიდენტობისთვის სამი კანდიდატი იბრძოლებს

გვ.9

ანქვაბი, ხაჯიმბა თუ შამბა?

## სექტებმა საქართველოს მოსახლეობის გაჭირვებით ისარგებლეს

გვ.7

ჩვენსავით შემწყნარებელი ერი არ არსებობს

### პროკურატურა ფოტორეპორტიორების საქმეზე დამატებით ინფორმაციას გაავრცელებს

ფოტორეპორტიორების საქმეზე დამატებით ინფორმაციას პროკურატურა დღეს გაავრცელებს. როგორც "ინტერპრესნიუსს" იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ხათუნა იოსავამ განუცხადა, ამ ეტაპზე არ შეუძლია თქვას, ხვალ კონკრეტულად რა მასალებს გაავრცელებენ. მისივე განმარტებით, ჯერ ზუსტად არც იმის თქმა შეუძლია, თუ რომელი საათისთვის იგეგმება დამატებითი ინფორმაციის გავრცელება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ხვალ დაუკავშირდებიან.

არსებული ინფორმაციით, დღეს გიორგი აბდალაძის აღიარებითი ჩვენება გავრცელდება.

ინტერპრესნიუსი

## დევნილთა გადასახლების მესამე ტალღა იწყება

გვ.2

სააკაშვილი ყველას ღიად დაუპირისპირდა

პროტესტი!



**დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებას!**

„უკვე კვირაზე მეტია, არ წყდება ჟურნალისტების საპროტესტო აქციები. ქართველი ფოტორეპორტიორები — გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე კვლავ პატიმრობაში რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბრალის დამადასტურებელი ფაქტობრივი მტკიცებულებები წარმოდგენილი დღემდე არ ყოფილა. საეჭვო ვითარებაში, იძულებით მიღებული აღიარებები ვერ გვარწმუნებს ფოტორეპორტიორების ჯაშუშობაში.

ამ ადამიანების ღამეულმა დაკავებებმა, მათ მიმართ განხორციელებულმა საპროცესო ქმედებებმა, საქმის მასალების გასაიდუმლოებამ, ჟურნალისტების საპროტესტო აქციებისა და შეკითხვების მიმართ ხელისუფლების ცინიკურმა დამოკიდებულებამ და სატელევიზიო ინსინუაციებმა დამოუკიდებელი მედიისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ჩვენ მომხდარს აღვიქვამთ, როგორც შურისძიებასა და დევნას სიმართლის ასახვისათვის, რაც ხელისუფლების მიერ დემოკრატიულ განვითარებაზე, ფაქტობრივად, უარის თქმას ნიშნავს.

მიგვაჩნია, რომ ასეთი ქმედებები, რომლებზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პირველ რიგში პრეზიდენტსა და ძალოვანი უწყებების პირველ პირებს, ლახავს ჩვენი, როგორც მედიის წარმომადგენლების უფლებებს და უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, არ მოადუნონ ყურადღება ამ საქმესთან დაკავშირებით.

მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების წერილობითი შუამდგომლობა და თავდებით გაათავისუფლოს გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო გახადოს საქმის მასალები, შეწყვიტოს ჟურნალისტების დევნა მათი პროფესიული საქმიანობის გამო“.

**საქართველოს პრესის ასოციაცია**

ეს ტექსტი საქართველოში გამომავალ ყველა ცენტრალურ და რეგიონულ დამოუკიდებელ გამოცემაში იბეჭდება

ISSN 1987-9385

2 დღეს გლდანის ციხესთან ფოტორეპორტიორების მხარდამჭერი აქცია გაიმართება

3 ილია II: სამშობლო ის მადლია, რომელიც ღმერთმა ქართველ ხალხს დააბერტყა

3 დღეს ცოტნე გამსახურდიას განაჩენი გამოცხადდება

4 მოსამართლე მხოლოდ აღიარებითი ჩვენებით განაჩენს ვერ გამოიტანს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დევნილთა გადასახლების მესამე ტალღა იწყება

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „კონსერვატორ“ ლაშა ჩხარტიშვილთან

*— თქვენი ინფორმაციით, დევნილების მორიგი გამოსახლება იწყება. საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?*

— შეტევა დაიწყო დევნილებზე. ორშაბათიდან აპირებენ ოთხი ჩასახლებიდან დევნილების გამოსახლებას.

*— რომელი ჩასახლებებია?*

— უზნაძის ქუჩაზე საქენერგოს ყოფილი შენობა. ვარკეთილში მდებარე ყოფილი ბაღის შენობა, ინფექციური საავადმყოფოს ერთ-ერთი შენობა, ასევე ყოფილი მუსიკალური შენობა. ტოტალურ შეტევაზეა გადასული მიხეილ სააკაშვილი იმისთვის, რომ ერთი მხრივ დააშინოს საზოგადოება და უმოქმედო გახადოს იმ რეალობაში, როდესაც ხელისუფლება კვლავ აგრძელებს საკუთარ თავზე ქვეყნის გადაფორმებას.

*— რეალურია ინფორმაცია დევნილების გამოსახლებასთან დაკავშირებით?*

— სამწუხაროდ, რეალური ინფორმაციაა. იწყება დევნილთა გადასახლების მესამე ტალღა. ყველას კარგად ახსოვს ის საშინელი პროცესები, რომელიც განვითარდა შარშან 2010 წლის ივლის-აგვისტოში, ასევე 2011 წლის იანვარში. საქართველოს ხუთი ათასი მოქალაქე კვლავ გახდა რუსული ჯარების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დევნის ობიექტი. ეს ადამიანები დღესაც თავს აფარებენ საკუთარ ნათესავებს, ან ერთად ცხოვრობენ 10-15 ადამიანი ერთ ოთახში. ამ ადამიანების 95 პროცენტი არ წასულა იქ, სადაც წასვლა არის შეუძლებელი. იმიტომ, რომ მათ სთავაზობენ წასვლას სოფლის კორპუსებში, სადაც არც მიწაა და არც სამუშაო, რადგან ასეთი შეთავაზება არ ყოფილა. ანალოგიური მდგომარეობაა დღესაც. ამ ეტაპზე მორიგი ტალღა იწყება ოთხი ჩასახლებიდან. საქმე ის არის, რომ ამ ოთხ ჩასახლებაში უკვე მიუვიდათ დევნილებს ფარატინა ქაღალდები. ისეთივე ფარატინა ქაღალდები, რომლებიც შარშან რიგდებოდა. რომელსაც, როგორც წესი, მოყვებოდა გამოსახლება. ამ ფარატინა ქაღალდს ხელისუფლება, მათ შორის სუბელიანი, უწოდებს გაფრთხილებას ნებაყოფლობითი გამოსახლებისა და ალტერნატივის შესახებ.

*— სად სთავაზობენ მათ ალტერნატივას?*

— ალტერნატივა დევნილებისთვის სრულიად მიუღებელია. შეთავაზებებია ძირითადად სამეგრელოსა და კახეთის რეგიონში. თუმცა, ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს რეგიონს. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანებს სთავაზობენ აყრას და უპერსპექტივობაში გადასახლებას. სოფლებში კორპუსიის ტიპის შენობა-ნაგებობებში, ყოფილ ფერმებში, რომლების მდგომარეობაც ძალიან მძიმეა, მაგრამ მდგომარეობას თავი რომ დავანებოთ, თუნდაც კარგი შენობა-ნაგებობები რომ იყოს, ადამიანი სამუშაოს გარეშე ვერ იარსებებს. რადგან მას ელემენტარული საარსებო მინიმუმისთვის ნამდვილად არ ყოფნის 24 ლარიანი შემწეობა, რასაც დევნილები იღებენ. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ექვსჯერ მეტია საარსებო მინიმუმი, ადამიანებს აკარგვინებენ მთავარს მათი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის, აკარგვინებენ იმ სამუშაო ადგილებს, რომელიც დევნილებმა მოიპოვეს საკუთარი ხელით. თვითდასაქმების გზით, თავად შექმნეს თავიანთი სამუშაო ადგილები და ამით ირჩენდნენ თავს და არჩენდნენ ოჯახებს. დევნილები არჩევანის წინაშე დგებიან ან იყვნენ უსახლკაროდ, ხან ერთ ნათესავს შეაფარონ თავი, ხან მეორეს და იცხოვრონ თბილისში ან მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წავიდნენ და ჰქონდეთ ჭერი, მაგრამ არ ჰქონდეთ საკვები და შიმშილით დაიხოცონ. ეს არის რეალობა. ამიტომაც არ იღებენ დევნილები ამ შეთავაზებას. მათთვის, ხაზგასმით ვამბობ, თბილისში ცხოვრება არ არის ოცნება არც არასდროს არ ყოფილა, ისინი საკუთარი ნებით არ ჩამოსულან თბილისში. თბილისიდან თუ სხვა ქალაქებიდან, ფოთიდან იქნება თუ ბათუმიდან, დევნილების გამოსახლება ნიშნავს, რომ მათ ართმევენ საარსებო მინიმუმს, სამუშაო ადგილებს, ასევე განათლების მიღების საშუალებას. განსაკუთრებით ეს ეხება სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. მათ პრაქტიკულად ატოვებინებენ განათლების მიღების პროცესს და ტოვებენ ბედის ანაბარად ამ სტუდენტებს. იგივე ბედს იზიარებენ ავადმყოფები, განსაკუთრებით ქრონიკული ავადმყოფობით დაავადებულები. ასევე დევნა არის ექიმებთან მიმართებით.



საკაშვილი ყველას ღიად დაუპირისპირდა

*— რას გულისხმობთ?*

— იმას, რომ ექიმების დევნა პიკის სტადიაზეა. მასობრივი დათხოვნებია. მაგალითად, ოფთალმოლოგიის კლინიკის ექიმები იქნებიან თუ ე.წ. არამიანცის კლინიკის მედიკოსები. მასობრივად იყიდება კლინიკები. ამით ზარალდება იმ ექიმების ოჯახები და ქართული სამედიცინო სკოლა. იხურება 18 კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც პირველ ეტაპზე შეუერთეს ილიას უნივერსიტეტს, რომელსაც უკეთესია ეწოდოს გიგი თევზაძის უნივერსიტეტი. შეერთება აღმოჩნდა დახურვა, ასევე უხელფასო სამუშაო ხელშეკრულებაზე გადაყვანა, რომელიც დარიგდა ბოტანიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ტოპოგრაფიის ინსტიტუტებში, კიდევ 14 ინსტიტუტში. როგორ ვიცი, ამ ინსტიტუტის თანამშრომლები არ აპირებენ ხელის მოწერას, მაგრამ თუ ვერ მოახერხებენ კონსოლიდაციას და ბრძოლის წარმოებას, ისინი დგებიან რეალური რისკის ქვეშ, რომ დაკარგონ სამსახურები, ხოლო საქართველო იქნება იმ რისკის ქვეშ, რომ აღმოჩნდეს აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის მსგავს პირობებში. ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც არ სჭირდება არც მეცნიერება, არც სამეცნიერო სკოლები და არც განათლებული ადამიანები. განათლებული ადამიანები ავტორიტარული და დანაშაულებრივი რეჟიმებისთვის პრობლემას წარმოადგენენ. ხდება ადამიანების ტოტალური მონოპოლიზაცია ყველა სფეროში, ეს იქნება ბიზნესი თუ სულიერი ცხოვრებაც კი. შესაბამისად საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია, რათა ერთობლივი ძალისხმევით საზოგადოებამ, მათ შორის არასამთავრობო სექტორმა, პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა თუ სხვა მოქალაქეებმა ერთად მოვახერხოთ, რამენაირად შევაჩეროთ საწყის ეტაპზე ტოტალური ძალადობა, რომელიც ათასობით ადამიანს ტოვებს უსახლკაროდ, სამუშაოს გარეშე, ბევრს სიცოცხლის გარეშეც კი. თუ ამის შეჩერება ახლა ვერ მოხერხდა, შემდეგ ეტაპზე გადასვლა წარმოუდგენელი იქნება. შემდეგი ეტაპი უნდა იყოს ყველა სფეროს წარმომადგენლების პროტესტი, შეტევა ხელისუფლების დანაშაულის წინააღმდეგ, რათა შევძლოთ რეჟიმის დასუსტება, კლასიკურ დიქტატურად კი არ ჩამოყალიბდეს, არამედ იმდენად დასუსტდეს, რომ იძულებული გახდეს, დათმოს ძალაუფლება.

*— როგორ შეიძლება პროცესები განვითარდეს?*

— უკვე სააკაშვილი ტოტალურ შეტევაზე გადავიდა ყველა საზოგადოებრივ თუ სასულიერო ინსტიტუტთან მიმართებაში. ნათელი დადასტურებაა, რაც მოხდა საპატრიარქოსთან მიმართებაში. მიხეილ სააკაშვილი ვერ იტანს ვერც ერთ ავტორიტეტს თუნდაც სულიერ სფეროში. სააკაშვილი იქამდე მივიდა, რომ მას, როგორც ჩანს, აქვს სურვილი, უკვე იყოს არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო მთავარი პირი, ქურუმის როლიც კი შეითავსოს, რაც სრულიად მიუღებელია. ასეთივე რამ თვით ირანშიც კი არ ხდება. სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ დარტმა მიეყენებინა უმნიშვნელოვანესი ღირებულებისთვის.

*— თუმცა სააკაშვილი არ თვლის, რომ ეს დარტყმაა...*

— პირიქით, სააკაშვილი შეგნებულად იქცევა ასე, რომ მისი აზრიც და მისი მოქმედებაც იყოს აქედან გამოსული. მას სხვა მიზანი არც ჰქონია, ამ კანონის მიღება იყო შეტევა, იერიში საპატრიარქოზე, მართლმადიდებელ ეკლესიაზე. მე სხვა შეფასებას ვერ მივცემ. პატრიარქის და ეკლესიის პოზიციაც იყო ერთადერთი ის, რომ წინასწარ მომხდარიყო განხილვა, როგორც საპატრიარქოს, ასევე საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც არ იქნა შესრულებული. ეს იყო სამართლებრივად, მორალურად გამართლებული მოთხოვნა. ეს მოთხოვნა იყო ძალიან მარტივად შესასრულებელი მოთხოვნა, მაგრამ სააკაშვილმა შეგნებულად გადადგა ეს ნაბიჯი. მან სცადა, რომ ეჩვენებინა მისთვის, სულ ერთია საქართველოში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ინსტიტუტის საპატრიარქოს აზრი. მას ეს ბოლომდე არ გამოუვიდა, რადგან საზოგადოებამ სერიოზული გულისწყრომა გამოავლინა და სცადა, რომ ეკლესია დაეცვა, რაც მნიშვნელოვანი თვალსაჩინოებითაც გამოხატა. ფაქტიურად ერთ დღეში ათასობით ადამიანი გამოვიდა, რაც იყო ნათელი დასტური იმისა, რომ საზოგადოება არ აპირებს დაუთმოს სააკაშვილს ეკლესია. არ აპირებს დაუთმოს ენასთან და მამულთან ერთად ეკლესიაც. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას უდიდესი სახელმწიფოებრივი როლი აქვს საქართველოს ისტორიის წინაშე. ერთი მხრივ, ეკლესიის დასუსტება ძალიან სახიფათოა, შესაბამისად, სახიფათოა თითოეული მოქალაქისთვის. ეს მიუღებელია როგორც მართლმადიდებლებისთვის, ისე ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენლებისთვის. ასევე არ შემიძლია არ შევეხო ფოტორეპორტიორების დაკავების ფაქტს. ძალიან მძიმეა ის რეალობა, რაც სახეზეა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავს სწირავდნენ, რომ მთელ მსოფლიოს ენახა, მათ შორის რუსული აგრესიის სახე. გია აბდალაძემ ფაქტიურად საკუთარი სიცოცხლე რისკის ქვეშ ჩააგდო, როდესაც ცნობილი ფოტო გადაიღო, ქალბატონი შველას რომ ითხოვს. ის არ გაქცეულა და ასფალტზე არ გართხმულა, როდესაც გაიგო ბომბების აფეთქების ხმა. არა მხოლოდ ქურციკიძე და გედენიძე არიან ასეთ მძიმე მდგომარეობაში, არამედ ის ადამიანებიც, რომლებსაც ისინი იღებდნენ. ამ ადამიანების ჯაშუშებად წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია.

## დღეს გლდანის ციხესთან ფოტორეპორტიორების მხარდამჭერი აქცია გაიმართება

დღეს, 16 საათზე, გლდანის ციხესთან, დაკავებულ ფოტორეპორტიორთა მხარდასაჭერად საყვირების, სოლიდარობის აქცია გაიმართება.

„ალია ჰოლდინგის“ ცნობით, დაკავებული ფოტორეპორტიორების მხარდსაჭერად 7 წუთის განმავლობაში უწყვეტად საყვირების მეშვეობით ნებისმიერ პირს შეუძლია გამოხატოს საკუთარი თანადგომა და დააანახოს ხელისუფლებას საზოგადოების სოლიდარობა.

აღსანიშნავია, რომ დღეს პროკურატურა ფოტორეპორტიორების საქმეზე დამატებით ინფორმაციის გამოქვეყნებას გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ 7 ივლისს, შსს-მ ჯაშუშობის ბრალდებით დააკავა პრეზიდენტის პრესამსახურის ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე და მისი მეუღლე ნათია გედენიძე, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და „ალია ჰოლდინგის“ ფოტოგრეპორტიორი გია აბდალაძე, და ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში ზურაბ ქურციკიძე.

მათ ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციისთვის, საიდუმლო მასალეის ამსახველი ფოტოების და ინფორმაციის გადაცემაში ედებათ ბრალი. დაკავებულებს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ნათია გედენიძე კი 10 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

ბრალდება 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმეს გრიფი „საიდუმლო“ დაედო.

მედიანიუსი

## ზვიად ქორიძე: მიუხედავად აღიარებითი ჩვენებებისა, სოლიდარობის აქციები უნდა გაგრძელდეს!



ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს ხელმძღვანელ ზვიად ქორიძის განცხადებით, ფოტოგრაფების საქმესთან დაკავშირებით, მიუხედავად აღიარებითი ჩვენებებისა, სოლიდარობის აქციები უნდა გაგრძელდეს.

როგორც ქორიძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, მისი აზრით, აუცილებელია, ამ საქმესთან დაკავშირებით მედიის დამოუკიდებელმა წარმომადგენლებმა ჟურნალისტური გამოძიებები აწარმოონ.

— ფოტოგრაფების საქმეზე სამოქალაქო კონტროლი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, იქნება ეს აქციების ფორმით თუ ადვოკატირებით. პარალელურად, უნდა დაიწყოს ძალიან სერიოზული ჟურნალისტური გამოძიებები თითოეულ ფაქტზე, რომელიც ამ მოვლენიდან საზოგადოებისათვის ხდება ცნობილი, — განაცხადა ქორიძემ.

მედიანიუსი

## სახალხო დამცველმა დაკავებული ფოტორეპორტიორები მოინახულა

შაბათს, საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაკავებული ფოტორეპორტიორები მოინახულა.

როგორც ომბუდსმენის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სახალხო დამცველი კონფიდენციალურად, ცალ-ცალკე გაესაუბრა ირაკლი გედენიძეს, გიორგი აბდალაძეს და ზურაბ ქურციკიძეს.

საუბრისას სამივე ფოტორეპორტიორმა აღნიშნა, რომ მათ მიმართ მოპყრობა ნომალურია, მათზე რაიმე სახის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა არ ხორციელდება. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ჰყავთ ადვოკატები.

სახალხო დამცველი განაგრძობს დაკავებული ფოტორეპორტიორების მდგომარეობის მონიტორინგს.

ინტერპრესნიუსი

## ინგა გრიგოლია: აბდალაძისა და ქურციკიძის აღიარებითი ჩვენება არაფერს ცვლის

დაკავებული ფოტორეპორტიორების გიორგი აბდალაძისა და ზურაბ ქურციკიძის აღიარებითი ჩვენება არაფერს ცვლის, - ამის შესახებ ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში აქცია-მარათონის მსვლელობისას „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ინგა გრიგოლიამ განაცხადა.

მისი თქმით, ეს აღიარებითი ჩვენება ხელისუფლებამ ზეწოლის შედეგად მოიპოვა.

— იქ შიგნით რა ხდება, ჩვენ არ ვიცით. ირაკლი გედენიძემ აღიარა დანაშაული და მისი მეუღლე ნათია გედენიძე გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ზეწოლის ძალიან ბევრი საშუალება არსებობს ფსიქოლოგიურიდან დაწყებული და ოჯახის წევრების მუქარით დამთავრებული. მე არ მჯერა, რომ პრეზიდენტის პირადმა ფოტოკორესპონდენტმა ან საგარეო საქმეთა სამინისტროს უშტატო თანამშრომელმა შეძლო საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება, — განაცხადა გრიგოლიამ.

მისივე თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადება იმის შესახებ, რომ გიორგი აბდალაძე საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა კომპიუტერიდან ახერხებდა, სამარცხვინოა.

— ფოტოკორესპონდენტი ისეთი პირის კომპიუტერთან ვერ დაჯდებოდა, სადაც საიდუმლო ინფორმაცია ინახება. მე არ მჯერა მათი ჯაშუშობის, —აღნიშნა ინგა გრიგოლიამ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# გამყრელიძე და თარგამაძე ხელისუფლებამ ერთ დღეში „გადააგდო“

## არჩევნების ბოიკოტი არ გამოვა

**„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ოპოზიციის ნაწილი ალასანიასთან ვერ შეთანხმდა და პავლე კუბლაშვილთან შეთანხმდა. ცაგარეიშვილს არ ესმის ის ფაქტი, როდესაც ირაკლი ალასანიასთან ვერ შეთანხმდები, სამაგიეროდ, თანხმდები პავლე კუბლაშვილთან, გია თორთლაძესთან, პაატა დავითაიასთან და დავით გამყრელიძესთან.**

**გიორგი ცაგარეიშვილი განმარტავს, რომ ხელისუფლება ქრისტიან-დემოკრატებთან და ახალ მემარჯვენეებთან მუშაობდა და სადაც ბზარი შეიტანა, პირველი ის პარტია წავიდა „რვიანიდან“. ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ქრისტიან-დემოკრატებს გაუმართლა რადგან პირველი ახალი მემარჯვენეები წავიდნენ რვიანიდან, შემდეგ კი — თარგამაძის პარტია.**

**დეპუტატი ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას პარტნიორებთან ერთად მიიღებენ. პირადად ცაგარეიშვილი არჩევნების ბოიკოტის თემას არ ემხრობა. მისი თქმით, არჩევნების ბოიკოტი არ გამოვა, რადგან სხვა ოპოზიციური პარტიები მაინც მიიღებენ მონაწილეობას.**

**რა ხდება ოპოზიციურ კოალიციაში და რა პროცესებს აქვს ადგილი პარლამენტში?**

**„ახალი თაობა“ გიორგი ცაგარეიშვილს ესაუბრა:**

ნანა მიშელაშვილი

***— ოპოზიციურმა ექვსიანმა დააანონსა, რომ ზაფხულის განმავლობაში აქტიური შეხვედრები ექნება მოსახლეობასთან. რას აპირებთ? ახლა ცოტას ხომ არ პასიურობთ?***

— კოალიცია 8 ივლისს ჩამოყალიბდა, ჩვენ უნდა ვიყოთ აქტიურები, მათ შორის, გაგანია სიცხეშიც, თუ გვინდა, რომ საზოგადოების ყურადღება მივიპყროთ და ეს ქვეყანა ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ.

***— რას გეგმავთ?***

— ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები სამუშაო ჯგუფებთან დაკავშირებით, რომელიც კოალიციის ფარგლებში შეიქმნა. ჩვენ შევქმენით სამოქალაქო მოძრაობა — „თავისუფალი არჩევანისთვის“. იქმნება ჯგუფი, რომელიც მედიის უფლებებზე იმუშავებს. ასევე იქმნება ჯგუფები, რომელიც იმუშავებს ადამიანის უფლებებზე, საარჩევნო თემატიკაზე, ადმინისტრაციული ორგანოების არჩართვაზე იმ ფორმებით, რასაც არჩევნების პროცესში ვხედავთ. ამ პროცესის მნიშვნელოვანი თანამონაწილე იქნება სამოქალაქო მოძრაობა. მათთან ერთად დაკომპლექტება ეს ჯგუფები.

***— შემოდგომიდან კონკრეტულად რას აპირებთ?***

— ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ოქტომბერში მიიღოს საარჩევნო კოდექსი და საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც დეპუტატების რაოდენობის გაზრდას უკავშირდება. ოქტომბერ-ნოემბერში მოგვიწევს ჩვენი ძალების მაქსიმალური კონცენტრაცია. არ გამოვრიცხავ არც მიტინგებს და არც მანიფესტაციებს, არც სხვა სახის საპროტესტო გამოსვლებს, რათა ამ ქვეყანას თავისუფალი არჩევანის უფლება მოვუპოვოთ. ჯიბეში ხელის ჩაწყობით და მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტების გაფორმებით ე.წ. ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, არაფერი არ გამოვა. მილიონების მოყვარულ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე ვსაუბრობ.

***— მილიონის მოყვარულ პარტიებს შორის იმ პარტიებს გულისხმობთ, რომელთაც საარჩევნო რეფორმაზე ხელისუფლებასთან ერთად ხელი მოაწერეს?***

— რა თქმა უნდა. ამ შეთანხმებას რვა პარტიამ მოაწერა ხელი.

***— ახალი რვიანი შეიქმნა?***

— ეტყობა ახალი რვიანი შეიქმნა ხელისუფლებასთან ერთად. ეგ ისეა ახალი რვიანი, როგორც მე ვარ ჩინეთის იმპერატორი. ახლა თავს შევიკავებ იმ პარტიების ლიდერებზე საუბრისგან, ვინც ხელი მოაწერა ხელისუფლებასთან ერთად შეთანხმებას. ეს ახლა ჩემი ინტერესის სფერო არ არის.

***— თუმცა, ვინც შეთანხმებას ხელი მოაწერა, არჩევნების დროს თქვენი კონკურენტები იქნებიან?***

— კი. ახლა არ ვაპირებ მათი კრიტიკით დავკავდე.

***— რატომ?***

— საზოგადოებაში გაიარეთ და მათ ჰკითხეთ, რას ფიქრობენ პარტიებზე.

***— ქრისტიან-დემოკრატმა ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, რომ ისინი საარჩევნო კოდექსს შეცვლიან, ექვსიანმა კი ახლავე უნდა დააფიქსიროს თავისი აზრი, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობს?***

— ნაკლებად მაღელვებს ვინ რას საუბრობს.

***— თქვენი კონკურენტების საუბარი ნაკლებად რატომ გაღელვებთ?***

— იმიტომ, რომ ჩვენ არაფერს არ გვავნებს ლევან ვეფხვაძის საუბარი. არა მგონია, ხალხს ის სწამდეს, რას ისაუბრებს ჩვენზე ვეფხვაძე. მას და მის პოლიტიკურ გუნდს თავის არჩევანი აქვთ. მე ამ არჩევანს ვერ შევაქებ, თუმცა, ეს მათი არჩევანია. ვერც იმას ვერ ვიტყვი, რომ მათ არჩევანს პატივს ვცემ. ნამდვილად არ ვცემ პატივს იმას, რომ კოდექსის ასეთ ვარიანტზე მოუწერეს ხელი პავლე კუბლაშვილს. ალასანიასთან ვერ თანხმდები და კუბლაშვილთან თანხმდები, ამას უბრალოდ ვერ ვგებულობ. კუბლაშვილთან, გია თორთლაძესთან, პაატა დავითაიასთან, დავით გამყრელიძესთან თანხმდები და ალასანიასთან ვერ თანხმდები? არადა, 9 თვე ერთად ვიყავით. წყალგამყოფი სად არის? რით გვჯობია შეთანხმების კუთხით კუბლაშვილი ან თორთლაძე? თუ ბატონი გიორგი თარგამაძისა და დავით გამყრელიძის ხვედრი არის თორთლაძესთან, ედპ-სთან და სხვებთან ერთად ყოფნა, ეს მათი არჩევანია. აბა, რა ვთქვა — გზა მშვიდობისა!

***— თქვენ განაცხადეთ, რომ ახალი მემარჯვენები ჯერ კიდევ აპრილში აპირებდნენ წასვლას რვიანიდან, მაგრამ ეს პროცესი 26 მაისის ამბებმა ცოტა გადაწია. პირველი ახალი მემარჯვენეები რომ არ წასულიყვნენ, ქრისტიან-დემოკრატები მაინც წავიდოდნენ რვიანიდან?***

— კი.

***— ახალ მემარჯვენებთან შეიტანეს პირველად ბზარი?***

— როგორც გამოჩნდა, პირველად ბზარი შეიტანეს ახალ მემარჯვენეებში. ამიტომ მათ პირველმა მიიღეს ეს გადაწყვეტილება და რვიანიდან წავიდნენ. ამ შემთხვევაში ქრისტიან-დემოკრატებს გაუმართლათ, როგორც გაუმართლათ სხვა შემთხვევებში, მანდატების დაჭრის დროს.

***— ამ ლოგიკით მომავალ არჩევნებშიც ხომ არ გაუმართლებთ ქრისტიან-დემოკრატებს?***

— ვეცდებით, რომ ჩვენ გაგვიმართლოს და ეს გამარჯვება გადიოდეს ხალხის არჩევანზე და არა ხელისუფლებასთან შეთანხმებებზე.

***— ოქტომბერში, ოპოზიციის ნაწილი და ხელისუფლება საარჩევნო კოდექსს მიიღებს, ეს კოდექსი თქვენთვის მისაღები იქნება?***

— ეს არის მაქსიმუმი, რის მიღებაც ჩვენ თავის დროზე გვინდოდა, როდესაც რვიანი შეიკრიბა? რეალისტები ხომ უნდა ვიყოთ. რეალური იყო ის, რომ თუ ერთობას შევინარჩუნებდით, ოქტომბერ-ნოემბერში უფრო მეტს მივიღებდით არა მარტო ჩვენი თავისთვის, არამედ, პირველ რიგში, საზოგადოებისთვის, ხალხისთვის. უბრალოდ, ამ ადამიანებმა ამ ყველაფერს ვერ გაუძლეს.

***— რას ვერ გაუძლეს?***

— რას ვერ გაუძლეს მე არ ვიცი, ასეთი მაცდუნებელი რასაც ვერ გაუძლეს, არ ვიცი. ახალი მემარჯვენეები პირდაპირ ამბობდნენ, რომ ჩვენ, დიახაც, დაფინანსება გვინდა.



***— დაფინანსებას იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ 5%-იან საარჩევნო ბარიერს გადალახავენ...***

— შეთანხმებაზე ხელის მოწერამდე, დილით ეწერა, რომ ვინც შეთანხმებაზე ხელს მოაწერს, ის სუბიექტი მილიონ ლარს მიიღებს. შეთანხმებაზე ხელმოწერამდე, 12 საათზე მამუკა კაციტაძემ ჩაატარა ბრიფინგი, 13 საათზე — ნიკა ლალიაშვილმა და ორივემ თქვეს, რომ შეთანხმებას ხელს მოაწერენ. მერე შეიცვალა დაფინანსების საკითხი და ჩაიწერა, რომ 5%-იან ბარიერ გადალახული პარტიები მიიღებენ დაფინანსებას.

***— პარტიებს 1 მილიონის მიღების შანსი იმ შემთხვევაში აქვთ, თუ 5%-იან ბარიერს გადალახავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაფინანსებას ხომ ვერ მიიღებენ?***

— ერთ დღეში გადააგდო ხელისუფლებამ ეს პარტიები. დილას ერთი შეთანხმება იყო, შემდეგ ირაკლი ალასანია გამოვიდა და ხელისუფლება გააკრიტიკა იმ პუნქტების გამო, რაც შეთანხმებაში ეწერა. ყველას ახსოვს ამაზე ექვსიანის განცხადება. ახალი მემარჯვენეები იდენტიფიცირების შენარჩუნებაზე საუბრობდნენ, ვითომ ახლა ვინმე კალთებს ახევდა რვიანში და ბლოკს ვქმნიდით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არავითარ ბლოკზე საუბარი არასდროს არ ყოფილა. დღესაც არ არის ბლოკზე საუბარი.

***— თუმცა, ქრისტიან-დემოკრატები მიუთითებენ, რომ რვიანში ბლოკზე საუბარი იყო?***

— არა, არავითარ ბლოკზე საუბარი არ ყოფილა! დღესაც არ არის გადაწყვეტილი ჩვენი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## დღეს ცოტნე გამსახურდიას განაჩენი გამოცხადდება



დღეს, 11:30 საათზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში ცოტნე გამსახურდიას სასამართლო პროცესი გაიმართება, სადაც მისი განაჩენი გამოცხადდება.

როგორც „მედიანიუსს“ გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განუცხადა, ხვალისთვის სასამართლო განხილვაზე ასევე, იგეგმება მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკითხვა, დაცვის და ბრალდების მხარეების კამათი.

— დაგეგმილი პროცესი აღარ გადაიდება, რა თქმა უნდა, თუ პროკურორი ისევ ავად არ გახადეს. მე მაინც არ მგონია, რომ გადადონ, რადგან ამ პროცესის შემდეგ შვებულებებში მიდიან და საქმის სწრაფად დასრულება მათ ინტერესებშიც შედის. პროცესს დაესწრება ცოტნე გამსახურდიაც, იგი მისცემს ჩვენებას, შემდეგ გაიმართება ჩვენი და პროკურორის კამათი, რის შემდეგაც განაჩენსაც გამოაცხადებენ, — განაცხადა ბექაურმა.

შეგახსენებთ, რომ პირველი პრეზიდენტის ვაჟმა სააპელაციო სასამართლოში საქმე მას შემდეგ გაასაჩივრა, რაც თბილისის საქალაქო სასმართლომ იგი საპყრობილის ერთ-ერთი თანამშრომლისთვის ქრთამის მიცემაში დამნაშავედ ცნო.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ჩიქოვანი: ოპოზიციური ექვსეული ზაფხულს აქტიურად გამოიყენებს

ოპოზიციური ექვსეულის წარმომადგენლის და „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივნის ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, მიუხედავად საარდადეგებო პერიოდისა, ოპოზიციური ექვსეული გააჩერებას არ აპირებს და ზაფხულის განმავლობაში სერიოზულ აქტივობებს გეგმავს.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ჩიქოვანმა აღნიშნა, უახლოეს პერიოდში დაიწყება აქტიური შეხვედრები საზოგადოებასთან, როგორც თბილისში ასვე რეგიონებში.

საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებით, მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვება კი შემოდგომიდან დაიწყება, რადგან სურთ ამ პროექტს მასშტაბური კამპანიის სახე მისცენ და საბოლოოდ ხელისუფლებას დაანახონ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის იმ კონკრეტულ ცვლილებებს საზოგადოება ითხოვს და არა რამდენიმე პარტია.

როგორც ჩიქოვანი აღნიშნავს არჩევნებს იგებს მილიონი ამომრჩეველი და არა მილიონი ლარი. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა ჩართონ ამ პროცესში.

— რაც შეეხება იმას, რომ ერთი წელი დარჩა არჩევნებამდე და მოესწრება თუ არა კონკრეტული ცვლილებების მიღწევა, გიპასუხებთ, რომ ეს დამოკიდებულია ხელისუფლების ნებაზე. ჩვენ უნდა მოვახერხოთ საზოგადოების მობილიზება, რომ საბოლოო ჯამში, მათ აიძულონ ხელისუფლება ჯანსაღი საარჩევნო გარემოს მისაღწევად კონკრეტული ცვლილებეები განახორციელეოს,—განუცხადა „მედიანიუსს“ ირაკლი ჩიქოვანმა.

შეაგხსენებთ, რომ ოპოზიციური ექვსეული საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით სხვა მოთხოვნებთან ერთად მთელი საქართველოს მასშტაბით არჩევნების ბიომეტრიული პასპორტებით ჩატარებას და ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მოითხოვს. სწორედ ამ ორ საკითხზე შეუთანხმებლობა გახდა მიზეზი მოლაპარაკებების შეწყვეტისა ნაციონალურ მოძრაობასა და ოპოზიციურ რვიანს„ შორის. მოგვიანებით ოპოზიციური რვიანიდან ორმა პარტიამ ხელისუფლების შეთავზებები მიიღო და შეთანხმებას ხელი მოაწერა. დარჩენილმა პარტიებმა კი ოპოზიციური ექვსეულის სახელით გააგრძელა ბრძოლა საარჩევენო გარემოს გასაუმჯობესებლად.

**მედიანიუსი**

## ნატო ავღანეთის უსაფრთხოების კონტროლს ადგილობრივ პოლიციას აბარებს

ნატო-ს ძალებმა ავღანეთში უსაფრთხოებაზე კონტროლის ადგილობრივი პოლიციისთვის გადაბარება დაიწყო, - ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება.

ძალაუფლების გადაცემა ცენტრალური პროვინცია ბამიანიდან დაიწყო. პროცესმა სადღესასწაულო ცერემონიის თანხლებით ჩაიარა, რომელსაც ავღანეთის მთავრობის წარმომადგენლები და რამდენიმე ქვეყნის ელჩები ესწრებოდნენ. ჟურნალისტებს ღონისძიების გაშუქების საშუალება არ მიეცათ.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ბამიანი ავღანეთში ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო პროვინციად ითვლება, თუმცა, ადგილობრივები შიშობენ, რომ ძალაუფლების ადგილობრივი პოლიციისთვის გადაცემა კორუფციის გაძლიერებასა და რეგიონში უსაფრთხოების ხარისხს შეამცირებს. ავღანეთის საომარ ოპერაციაში მონაწილე ქვეყნების ნაწილს ცხელი წერტილიდან ჯარები გაჰყავს. მათ შორის, ქვეყანას უკვე ტოვებენ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედროები.

**ინტერპრესნიუსი**

## ილია II: სამშობლო ის მადლია, რომელიც ღმერთმა ქართველ ხალხს დააბერტყა



საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ბიჭვინთისა და ცხუმ- აფხაზეთის მიტროპოლიტმა, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამშობლოს მნიშვნელობაზე იქადაგა.

— სამშობლო არა მხოლოდ ჩვენი ცა და ქვეყანა, ბუნება და გენებია, არამედ ჩვენი წინაპრებია, ის მადლი, რომელიც ღმერთმა ქართველ ხალხს დააბერტყა, — ბრძანა უწმინდესმა.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, ეს მადლი თაობიდან თაობამდე გადადის. დღეს ყველა კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდეს, თუ რას ნიშნავს სამშობლო.

ილია II წირვისას დალოცა ირანიდან ჩამოსული ქართველებიც, რომლებიც ტაძარში იმყოფებოდნენ.

— სამშობლოს მადლი, ღვთის ძალა და ჩვენი წინაპრების ლოცვა-კურთხევა გფარავდეთ თქვენ და მთელ საქართველოს. ღმერთმა ინებოს, რომ შევერთდეთ და გამთლიანდეს ქართველი ხალხი. თქვენ დაბრუნდეთ თქვენს სამშობლოში და ისევ ვიყოთ ერთად, — ბრძანა უწმინდესმა.

**მედიანიუსი**

# დავით ბერძენიშვილი: ვგრძნობდი შაბათი და კვირა აბდალაძისთვის მძიმე იქნებოდა

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერ დავით ბერძენიშვილის შეფასებით, დღევანდელი რეჟიმის პირობებშიც კი არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ხელისუფლების ნებას არ დაჰყვე და არ დაიბრალო ის, რასაც გაბრალებენ.**



როგორც ბერძენიშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, იგი გრძნობდა, რომ შაბათი და კვირა დღეები ჯაშუშობაში ბრალდებულ ფოტორეპორტიორ გიორგი აბდალაძისათვის ძალიან მძიმე იქნებოდა და სწორედ ამიტომ გამოაქვეყნა მისდამი მიმართვა პარასკევს, 15 ივლისს.

„ გიორგი აბდალაძემ ერთი კვირა გაუძლო. აბდალაძეს მისი პროფესიიდან გამომდინარე ბევრჯერ გაურისკავს, თუმცა ერთია დადასტურება იმის, რომ სიკვდილს თვალებში შეგიძლია ჩახედო, მაგრამ მეორე საკითხია ის, რომ რეჟიმთან გამკლავების მოლოდინი მას არ ჰქონია, თუმცა ცხადია, მას ერთი კვირის განმავლობაში რეჟიმთან გამკლავება მოუხდა.

მე ვგრძნობდი, რომ შაბათი და კვირა დღეები მისთვის ძალიან მძიმე იქნებოდა, ამიტომ გამოვაქვეყნე მიმართვა პარასკევ საღამოს. არც კი ვიცი, მან ეს მიმართვა ნახა თუ არა. ცხადია, იგი ჩემი მიმართვისაგან დამოუკიდებლად მიიღებდა გადაწყვეტილებას და ეს მას გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა. ხელისუფლებას აქვს ადამიანებზე ზეწოლის მექანიზმი, რომელიც ბევრთან ჭრის, ბევრთან - ვერა. ამ რეჟიმის პირობებშიც კი ჩვენ ვიცით ადამიანები, რომლებიც არ დაყვნენ ხელისუფლების ნებას ციხეში, იქნება ეს ირაკლი ბათიაშვილი, მიშა ქარელი თუ შალვა რამიშვილი. ყოველგვარი სიმპატია-ანტიპატიების გარეშე ვამბობ ამას. ამ ხელისუფლების პირობებშიც კი შესაძლებელია არ დაიბრალო ის, რასაც გაბრალებენ. ამის მიუხედავად, გიორგი აბდალაძეს ისევე, როგორც მის პარტნიორებს ამ საქმეში, არ ვფიქრობ, რომ უკვე შეწყვეტილი აქვთ ბრძოლა ხელისუფლებასსა და საკუთარ თავთან. ეს არის ბრძოლა თავისუფლებასა და ავტორიტარიზმს შორის, — განაცხადა ბერძენიშვილმა და დასძინა, რადგან აბდალაძემ ციხეში ხელისუფლებასთან ბრძოლას ერთი კვირის განმავლობაში გაუძლო, მას ჰქონდა შანსი ეს ბრძოლა ბოლომდე მიეყვანა.

— რაკი მან გაუძლო პატიმრობის ყველაზე მძიმე პერიოდს, პირველ კვირას, რა თქმა უნდა, ჰქონდა შესაძლებლობა უფრო მედგრად გაეგრძელებინა წინააღმდეგობა, თუმცა ეს ხელისუფლება იყენებს ზეწოლის ისეთ მექანიზმებს, რომელიც ჩვენთვის უცნობია. როგორც აღმოჩნდა, აბდალაძის მეუღლისთვისაც კი სრულიად გამაოგნებელი აღმოჩნდა მისი მეუღლის აღიარება და მან ეს ვერც კი დაიჯერა, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ დავით ბერძენიშვილმა ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ ფოტორეპორტიორ გიორგი აბდალაძეს 15 ივლისს ღია წერილი მიმართა. ბერძენიშვილი ფოტორეპორტიორს ბრძოლის ბოლომდე გაგრძელებისაკენ მოუწოდებდა.

16 ივლისს გიორგი აბდალაძემ აღიარებითი ჩვენება მისცა. **მედიანიუსი**

# მოსამართლე მხოლოდ აღიარებითი ჩვენებით განაჩენს ვერ გამოიტანს

**საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის, სისხლის სამართლის საკითხებში ექსპერტის გია მეფარიშვილის განცხადებით, ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტოგრაფების საქმესთან დაკავშირებით, თეორიულად პროკურატურასა და დაცვის მხარეს შორის საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია.**

როგორც მეფარიშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბრალდებულები დანაშაულს აღიარებენ, საპროცესო შეთანხმების გაფორმება მხარეებს შორის შეთანხმებასა და კონსენსუსზეა დამოკიდებული.

— საქართველოს კანონმდებლობა ამას არ კრძალავს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია ნებაზე, თუ შედგება კონსენსუსი, მოხდება საპროცესო შეთანხმებაც, — განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო შეთანხმება გაფორმდება, საქმესთან დაკავშირებით არსებითი სასამართლო განხილვები აღარ გაიმართება.

— არსებითი განხილვა, სადაც მხარეები მონაწილეობენ, მიმდინარეობს დაკითხვები და ასე შემდეგ, აღარ იქნება. სასამართლო მხოლოდ გადაწყვეტილებას დაამტკიცებს და ამით დასრულდება, — აღნიშნა მეფარიშვილმა.

მისი თქმით, საქმესთან დაკავშირებით მოსამართლე მხოლოდ ბრალდებულების აღიარებით ჩვენებაზე დაყრდნობით განაჩენს ვერ დაადგენს, რადგან ამას კანონმდებლობა კრძალავს. მეფარიშვილის თქმით, კანონის თანახმად, საჭიროა მტკიცებულებების ერთობლიობა.

— ანუ მხოლოდ ერთი მტკიცებულების საფუძველზე, თუნდაც ეს იყოს აღიარებითი ჩვენება, ადამიანის პასუხისგებაში მიცემა და მსჯავრდება არ შეიძლება. ჩვენი კანონმდებლობა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას, პასუხისგებაში მიცემას და მსჯავრდებას ითვალისწინებს მტკიცებულებათ ერთობლიობის საფუძველზე. კანონის თანახმად კი ასეთი მტკიცებულება მინიმუმ ორი უნდა იყოს. თუ ვინმე ამბობს, რომ მხოლოდ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე შეიძლება ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა, ის საკითხში ელემენტარულად ვერ ერკვევა. ამისათვის უნდა იყოს მინიმუმ ორი და მეტი მტკიცებულება. აღიარებითი ჩვენება მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულებაა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის განაჩენის დადგენისათვის, — განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ ჯაშუშობის ბრალდებით (სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლი, პირველი ნაწილი), ამჟამად სამი ფოტორეპორტიორია დაკავებული: ირაკლი გედენიძე (პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომელი), გიორგი აბდალაძე („ალია ჰოლდინიგი“) და ზურაბ ქურციკიძე (ევროპის პრესფოტო სააგენტო). სასამართლომ 10 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ თავდებით გაათავისუფლა ირაკლი გედენიძეს მეუღლე, ნათია გედენიძე („პრაიმ-ტაიმი). ადვოკატების ინფორმაციით, ოთხივე ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. **მედიანიუსი**

# „სამშობლოს“ აუქციონზე კიდევ ერთხელ გაიტანენ

დამდეგ კვირაში გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას საპრივატიზაციოდ კიდევ ერთხელ გაიტანენ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ელექტრონული აუქციონის ფორმით (წწწ.ეაუცტიონ.გე) თბილისში, კოსტავას ქუჩა №14-ში მდებარე 9 447 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები იყიდება. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასია 16 200 000 ლარი. აუქციონი 19 ივლისს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ გამომცემლობა „სამშობლო“ საპრივატიზაციოდ პირველად 2005 წელს გაიტანეს, მაგრამ მაშინ განაცხადების არარსებობის გამო აუქციონი ჩაიშალა. მთავრობა მის გაყიდვას მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შეეცადა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ტენდერის ჩატარება ვერ მოხერხდა. ბოლო აუქციონი 2010 წლის ივლისისთვის იყო დაგგემილი, მაგრამ ხელახლა ჩასატარებელი აზომვითი სამუშაოების მიზეზით ის კვლავ გადაიდო.

გამომცემლობა „სამშობლო“ საქართველოს ყოფილი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სამართლამემკვიდრეა. თავის დროზე მასში ასამდე მედიაგამოცემის რედაქციები იყო განთავსებული. **მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
**ბებნისის დედათა მონასტრის**
მშენებლობას
**მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605**
ღმერთმა შეგიწიროთ!
**ზარის ღირებულებაა 1 ლარი**

## დედაქალაქის რამდენიმე უბანს წყალმომარაგება შეუწყდება

დიღმის ველზე, 1400 მმ-იან მე-6 მაგისტრალურ წყალდენზე მომხდარი დაზიანების ლიკვიდაციის მიზნით, დღეს 11:00-დან 24:00 საათამდე დედაქალაქის რამდენიმე უბანს წყალმომარაგება შეუწყდება.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ინფორმაციით, წყლის მიწოდება დროებით შეეზღუდება ზემო ვაკის დასახლებასა და გოგებაშვილის ქუჩას შესახვევებით.

11:00 საათიდან 24:00 საათამდე წყალს დაბალი წნევით მიიღებს დიდი დიღმის დასახლება, ვაკის ბოლო ნაწილი, სოლოლაკი, მთაწმინდა, გამსახურდიას, ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის გამზირები, ბახტრიონის, მგალობლიშვილის, იოსებიძის, შარტავასა და მათი მიმდებარე ქუჩები, ასევე, საგარეუბნო აგარაკები.

დროის ამავე მონაკვეთში წყლის მიწოდება შეუმცირდება ვაჟა-ფშაველას გამზირის კვარტლებს და ნუცუბიძის ფერდობებს.

დაზიანების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებას კომპანიის საავარიო ბრიგადები დილიდან დაიწყებენ.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ითვალისწინებს წყალმომარაგების შეზღუდვით გამოწვეულ დისკომფორტს და შეეცდება აღნიშნული სამუშაოების ჩატარება შესაძლებლად მოკლე დროში დაასრულოს. **ინტერპრესნიუსი**

## ძლიერმა წვიმამ ზუგდიდი–ჩხოროწყუს მაგისტრალი დააზიანა

ძლიერმა წვიმამ ზუგდიდი-ჩხოროწყუს მაგისტრალი დააზიანა.

ადგილზე მობილიზებულია სპეცტექნიკა და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სტიქიის შედეგად მდინარე ჭანისწყლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებიც დაზიანდა, ხოლო წალენჯიხაში მდინარემ ცენტრალური და სოფლების დამაკავშირებელი ხიდები და შიდა გზები დააზიანა.

წალენჯიხის რამდენიმე სოფელში შესვლა მხოლოდ შემოვლითი გზით არის შესაძლებელი. **პირველი**

## სამგორის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

ქვესადგურში „აეროპორტი“ სარემონტო პროფილაქტიკური სამუშაოების გამო, დღეს, 10 საათიდან 17 საათამდე სამგორის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება. შეზღუდვა შეეხება: აეროპორტის დასახლების, რკინიგზის და ჯავახეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება. **მედიანიუსი**

# გამყრელიძე და თარგამაძე ხელისუფლებამ ერთ დღეში „გადააგდო“

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

მომავალი ბედი. ჩვენ კოალიცია გამოვაცხადეთ და არ დავბლოკებულვართ. არჩევნებამდე წელიწადნახევარია. ის შეცდომები, რაც ალიანსის დროს დავუშვით, როდესაც ალიანსი გამოვაცხადეთ და კარი დავკეტეთ, ამას ჩვენ აღარ გავიმეორეთ. თუ მოვრიგდებით და შევთანხმდებით, რა თქმა უნდა, კოალიცია ბლოკად გადაიქცევა. თუ ეს არ მოხდება, ესეც იქნება ნათქვამი.

***— ვინც შეთანხმებაზე ხელი მოაწერა, ისინი თქვენი მისამართით ამბობენ, განმარტოთ, არჩევნებში მონაწილეობას იღებთ თუ არა?***

— ეს იცით როგორი ნათქვამია, მე ხომ დავიღუპე, ვიხრჩობი და ახლა თქვენც ჩაგითრევთ ამ ჭაობში. ეს ამბავი არ გამოვა. ირაკლი ალასანიას ლოზუნგი იყო — ჩვენ შევცვლით! კონკრეტულ შეკითხვას ვსვამ ახალი მემარჯვენეების მისამართით — ამით უნდათ შეცვალონ ხელისუფლება? ქალბატონმა ფიქრია ჩიხრაძემ ერთ-ერთ გადაცემაში თქვა, რომ ჩვენ ვიცით, არჩევნებში ვერ გავიმარჯვებთ, ჩვენი ამოცანა არ არის ხელისუფლების უმრავლესობით აღება. თუ თავიდანვე ხაზს უსვამ, რომ წარუმატებელი იქნები და 5-6% გინდა, რათა იდენტიფიკაცია შეინარჩუნო, ამისთვის პოლიტიკაში ცხოვრება ღირს? პოლიტიკური პარტიის მხრიდან იმის თქმა, რომ ჩვენ ნაციონალებს ვერ ვაჯობებთ და 5-7%-ს ავიღებთ, ერთ ფრაქციას შევქმნით, ეს არის ამოსავალი? ეს არ იყო ამოსავალი, როდესაც 9 თვის წინ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდასთან დავჯექით.

***— როგორი კოდექსი იქნება, ამას მნიშვნელობა არა აქვს, „თავისუფალი დემოკრატები“ არჩევნებში მონაწილეობას მაინც მიიღებთ?***

— ამას ჩვენ გადავწყვეტთ.

***— როდის?***

— მაშინ, როდესაც საბოლოოდ ბეჭედი დაესმევა საარჩევნო კოდექსს.

***— ესე იგი, ოქტომბერში?***

— ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში. ჩვენს პარტნიორებთან ერთად საბოლოოდ შევხედავთ საით მიდის პოლიტიკური სიტუაცია. საბოლოოდ დავრწმუნდებით, პოლიტიკური ბრძოლის რომელი მეთოდი აჯობებს.

***— არჩევნების ბოიკოტი განიხილება?***

— პირადად ჩემი მოსაზრება თუ გაინტერესებთ, არჩევნების ბოიკოტი არ გამოვა.

***— რატომ? სხვა ოპოზიციური პარტიები მაინც მიიღებენ მონაწილეობას?***

— კი. ეს იყო ოპოზიციის დილემა და დამოკლეს მახვილი ოპოზიციის თავზე. ამ რვა პარტიას, რომელმაც შეთანხმებაზე ხელი მოაწერა, კიდევ მიემატება სხვები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ.

***— გამოდის, რომ პირადად თქვენ ბოიკოტისკენ არ იხრებით?***

— ბოიკოტი არ გამოვა! გაიხსენეთ მანდატების დაჭრის თემა, რა დააკლდა საქართველოს პარლამენტს ამით და იმ პარტიებს, რომელთაც მანდატები დაჭრეს? პირადად მე, ყველანაირი ბოიკოტის მოწინააღმდეგე ვარ. ყოველთვის ვიყავი უთავბოლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგი. რადგან ამით წერტილს უსვამ შენს პოლიტიკურ საქმიანობას, ანადგურებ პარტიას და დეზორიენტაციას უკეთებ მომხრეებს. მაგრამ აქ მარტო მე არა ვარ, ჩვენ კოალიციაში ვართ და ჩვენ ერთად გადავწყვეტთ, რა გზას დავადგებით. ეს გამოჩნდება 3-4 თვეში. არ მჭირდება ბატონი ვეფხვაძის და სხვების თანხმობა, ჩვენ რას გავაკეთებთ და რას მივიღებთ. თუ რაიმეს მივიღებ, ამას დაუყვედრებლივ მივიღებ და არა კულუარული შეთანხმებების ხარჯზე, მოსახლეობის ზურგს უკან. მოსახლეობას უნდა განვუმარტოთ, რა გვინდა საკუთარი თავისგან და მათგან. რა უნდა აგვეხსნა მოსახლესობისგან, რომ 11 პუნქტი, რომელიც ხელისუფლებამ შემოგვთავაზა, მონაპოვარია? თუ ეს ქრისტიან-დემოკრატებისა და ახალი მემარჯვენეების მიზანია, მინდა მათ მივულოცო, მაგრამ ეს ჩემი მიზანი არ არის. ჩემი მიზანი არის გამარჯვება და ამ ქვეყანაში ცვლილებები. ეტყობა მათი მიზანი არის 5-10 კაციანი ფრაქცია მომავალ პარლამენტში. ყოველ შემთხვევაში, ამ გადმოსახედიდან ასე ჩანს.

***— თქვენი მიზანი რა არის, უმრავლესობით მოსვლა პარლამენტში?***

— რა თქმა უნდა. ჩვენი მიზანი არის კოალიციური უმრავლესობის დაკომპლექტება და კოალიციური მთავრობის შექმნა. ჩვენ ვართ კოალიცია, თუ წარმატებას ვაღწევთ, პარლამენტში უმრავლესობას შევქმნით. მეც ვიმეორებთ, არჩევნებს მილიონი ამომრჩეველი იგებს და არა მილიონი ლარი.

***— ლევან ვეფხვაძემ ამაზე მოსწრებულად თქვა, რომ თუ იტყვით მილიონი ამომრჩეველი როგორ მოიყვანოთ ნული ლარით, მადლობელი დაგრჩებით..***

— ამაზე პასუხი ასეთია: ჩვენი ფულით მივიყვანთ, სხვისი ფულით — არა.

***— პარტიული ფულით?***

— დიახ, პარტიული ფულით და პარტიული სპონსორებით. ხელისუფლების ფულით არ მინდა მილიონი ამომრჩეველი. ჩვენი ფულით მოყვანილი მილიონი ამომრჩეველი გვინდა, სააკაშვილის ფულით — არ გვინდა.

***— რაც შეეხება საპარლამენტო ცხოვრებას, ასეთი კულუარული ინფორმაცია გავიგე, რომ პარლამენტში ახალი ფრაქცია იქმნება, მართალია?***

— ამგვარი კულუარული ინფორმაცია უკვე 3 წელია არსებობს.

***— ახლა ამბობენ, რომ ამის რეალური საფუძველია, რომ ახალი ფრაქცია შეიქმნას?***

— ყველანაირად ხელს შევუწყობ, რომ ახალი ფრაქცია შეიქმნას.

***— თქვენ რიგითი წევრი იქნებით ამ ფრაქციაში თუ თავმჯდომარე?***

— მე ვინ ვიქნები, ამას გადაწყვეტს თუ შეიქმნება მომავალი ფრაქცია.

***— ისე, 6 თანამოაზრე დეპუტატი უკვე ხართ შეკრებილი?***

— თანამოაზრეების ძებნაში ვართ დაახლოებით 3 წელია.

***— მერე ჯერ ვერ მოძებნეთ?***

— ჯერჯერობით ვერა.

***— ახალი ფრაქცია თუ შეიქმნება, ვიცე-სპიკერატში კონფიგურაცია ხომ შეიცვლება?***

— ჯერ რატომ ვიმარჩიელოთ იმაზე რაც არ არის.

***— საშემოდგომო სესიას პარლამენტი ახალი ფრაქციით შეხვდება?***

— ამას უახლოესი მომავალი გვაჩვენებს.

## პატრიარქმა ირანიდან ჩამოსული ქართველები დალოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ დღეს საკვირაო ქადაგებისას ირანიდან ჩამოსული ქართველები დალოცა.

უწმინდესი ამბიონიდან ჩაბრძანდა და მათ პირადად მიესალმა.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, ქართველი ერისთვის დიდი სიხარული და ზეიმია, რომ მაზანდარაში მცხოვრები გურჯები დღეს თავიანთ სამშობლოში ჩამოვიდნენ.

ილია მეორემ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ 400 წლის შემდეგ ქართველებს სამშობლოში დაბრუნება ეღირსათ.

— მინდა დავლოცო ჩვენი სისხლი და ხორცი - ქართველები, რომელთა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, მაგრამ საქართველო მათ გულშია. 400 წელია, რაც მათი წინაპრები საქართველოდან ძალით წაიყვანეს და დღეს დადგა ის ბედნიერი დღე, როცა ისინი ჩამოვიდნენ თავიანთ მიწა-წყალზე. მათ უწოდებენ გურჯებს. გურჯი ქართველს ნიშნავს. მათი აქ ჩამოსვლა არის ბრძნული გადაწყვეტილება, — ბრძანა უწმინდესმა.

**მედიანიუსი**

## ფოტორეპორტიორების საქმე საქართველოს ხელისუფლებისთვის გამოცდაა

საქართველოს ჟურნალისტური საზოგადოება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით უნდა დააკვირდეს, - ეს განცხადება რუსმა ჟურნალისტმა მატვეი განაპოლსკიმ რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრა-ტვ“-ს ეთერში გააკეთა.

მისივე თქმით, დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმე ხელისუფლებისთვის ნამდვილი გამოცდაა.

— ფოტორეპორტიორების საქმე საქართველოს ხელისუფლებისთვის გამოცდაა: ჟურნალისტებს ყოველდღიურად არ იჭერენ, მათ არც ჯაშუშობის ბრალდებას უყენებენ ყოველდღე, ამიტომაც ამ შემთხვევაში, ხელისუფლების ქმედება განსაკუთრებულად გამჭვირვალე უნდა იყოს, — აღნიშნა განაპოლსკიმ.

მისივე მტკიცებით, ის, რომ სასამართლო პროცესის 90%ი ღია იქნება, სამოქალაქო საზოგადოების გამარჯვებაა.

— უფრო სწორედ, ეს გამარჯვება არ არის, სამოქალაქო საზოგადოებამ საკუთარი პოზიცია გამოხატა მომხდართან დაკავშირებით და ხელისუფლებამაც თქვა „დიახ“. რა თქმა უნდა, შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ რატომ არ იქნება სრულად გამჭვირვალე და ღია სასამართლო პროცესი, მაგრამ შეიძლება იმის თქმაც, რომ ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება ერთმანეთთან დიალოგის რეჟიმში არიან. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ საზოგადოების ყველა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ახლა ყველაზე მთავარია, რომ სასამართლომ არ დაარღვიოს პროცედურა და გაარკვიოს, დამნაშავენი არიან თუ არა დაკავებულები. თუ ვინმეს შეეპარება მის მიერ გამოტანილი განაჩენის ჭეშმარიტებაში ეჭვი, არსებობს აპელაციის გზაც, — აღნიშნა ჟურნალისტმა.

**ინტერპრესნიუსი**

## დღეს საქართველოს იორდანიის ბიზნესმენთა დელეგაცია ეწვევა

დღეს საქართველოს სამდღიანი ვიზიტით იორდანელ ბიზნესმენთა დელეგაცია ეწვევა. იორდანიის დელეგაციას ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ხელმძღვანელობს.

მის შემადგენლობაში არიან იორდანიის ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელები. მათი მიზანი საქართველოში ბიზნესპარტნიორების მოძიება და საქმიანი ურთიერთობის დამყარებაა. ვიზიტის ფარგლებში, 19 ივლისს, ბათუმში, სასტუმრო „შერატონ ბათუმში“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით საქართველო-იორდანიის ბიზნესფორუმი და ორმხრივი შეხვედრები გაიმართება.

ქართულ კომპანიებს საშუალება ექნებათ, პოტენციურ ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკებები გამართონ.

**მედიანიუსი**

# პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი პატრიარქს დაემუქრა“

### ნაციონალებს პატიმრების დამუშავების საშინელი მეთოდები აქვთ

ქეთი ხომერიკი

**„სააკაშვილი იმეორებდა, ახლა მიყუროს უწმინდესმა, რასაც გავუკეთებ მას და ეკლესიასო. ვიმეორებ, სააკაშვილმა და მისმა პარლამენტმა ეს კანონი პატრიარქისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით მიიღო, მეტი არაფერი“, — აცხადებს მამრაძე. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ პარლამენტის წევრ პეტრე მამრაძეს ესაუბრა.**

პეტრე მამრაძე:

— მე გავეცანი ამ კანონს და აქ საფრთხე მხოლოდ ის არის, რომ კანონი სრულიად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა. მე ამასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნე წერილიც სათაურით, „რატომ იჩქარეს ეშმაკეულებმა“. მათ იჩქარეს ერთადერთი რამის გამო — უწმინდესი არ მივიდა 26 მაისს აღლუმზე, რადგან პატრიარქისთვის მიუღებელი იყო იქ მისვლა, სადაც სისხლი დაიღვარა. სხვათა შორის, ცხადია, უწმინდესმა მაშინ ისიც კი არ იცოდა, რომ იქ სახურავზე ორი ცხედარი ესვენა და მაინც არ მივიდა. მერე 27-28 მაისს მე ორმა ცნობილმა ადამიანმა მითხრა, რომ ამის გამო სააკაშვილი გაცოფებული და გაგიჟებული ყოფილა და სულ იმეორებდა თურმე, აი, ახლა მიყუროს უწმინდესმა, რასაც გავუკეთებ მას და ეკლესიასო. მე სააკაშვილს კარგად ვიცნობ, ჯერ კიდევ 92 წელს გავიცანი, მაშინ, როცა კიევიდან ჩამოვიდა და, თუ იგრძნო მან, მოეჩვენა, რომ დამცირებული და შეურაცხყოფილია, ხაზს ვუსვამ, თუ მოეჩვენა, შეიძლება, არც არავინ აპირებდეს მის დამცირებას, მაგრამ მან, თუ ეს ასე იგრძნო, მორჩა, ეს მისთვის წამებაა და რაღაცა უნდა გააკეთოს, რომ ეს ჯოჯოხეთი მოიშოროს.

*— და გააკეთა კიდეც... თქვენი აზრით, სააკაშვილი პატრიარქზე და მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ასე ვთქვათ, შურის ძიებას კვლავ განაგრძობს?*

— თუ ვთქვათ, რომელიმე აქციით მან ეს ჯოჯოხეთი მოიშორა და ის გრძნობა, რომ დამცირებულია და შეურაცხყოფილია, მას ყოველ წამს აღარ შეაწუხებს, შეიძლება, ეს საკითხი საერთოდ დაივიწყოს, ეს კანონი ასე დარჩეს ქაღალდზე და მას არაფერი მოჰყვეს. ეს კანონი ხომ საოცრებაა პირდაპირ. ჯერ წერია, რომ ეძლევა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და მეორე ფრაზაა ასეთი: მაგრამ მათზე არ გავრცელდება საჯარო სამართლის კანონმდებლობით.

*— ერთ-ერთმა ექსპერტმაც აღნიშნა, კანონში ურთიერთგამომრიცხავი რამ წერიაო...*

— სრული. სხვათა შორის, მე წლების განმავლობაში ვამბობდი, სამარცხვინოა, რომ საქართველოში არ არსებობს ევროპის სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც ყოველ კონფესიას მისცემს იმას, რაც საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული. ჩვენ ვართ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა და, მიუხედავად ამისა, 12 წელია გასული და დღემდე გაკეთებული არ იყო ეს. იცით, აქ რა არის მთავარი? ამ პერიოდში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილმა იმდენჯერ შეიტანა კონსტიტუციაში ცვლილებები, რომ ეს საანეგდოტო გახდა მთელ მსოფლიოში. აი, ამას კი არ ჰკიდებდა ხელს.

*— ითქვა, რომ სააკაშვილმა სომხეთის პატრიარქისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თხოვნა შეასრულა. ამას გამორიცხავთ? მოგეხსენებათ, მათი ვიზიტების შემდეგ მიიღეს ეს კანონი. ეს უბრალო დამთხვევა იყო, ბატონო პეტრე?*

— მათი ვიზიტები არაფერ შუაშია. ნახეთ, როგორ არის. ეს რომ ყოფილიყო სომხეთის ეკლესიისა და სხვა კონფესიების მოთხოვნის გამო, მაშინ აი, ასე ერთ დღეში საგანგებო სესია და იმ დღესვე კენჭისყრა ასე მოუმზადებლად არ მოხდებოდა. ეს რომ ყოფილიყო კონფესიების ზეწოლა, მაშინ დაიწყებდნენ განხილვას და ეს პრობლემა არ იქნებოდა. თავად უწმინდესმაც ითხოვა, არ ავჩქარდეთო და ეს მოთხოვნა საჭიროც კი არ არის დემოკრატიულ ქვეყნებში. ყველგან ჯერ მსჯელობენ, კანონპროექტის შეტანიდან გარკვეული დრო გადის, რომ ყველა გაეცნოს, საზოგადოებამ იმსჯელოს და შემდეგ იღებენ. აქ კი ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. ამ დროს ვარდების რევოლუციიდან გავიდა 7 წელზე მეტი და ხელი არ მოუკიდია ამ საკითხისთვის აქამდე სააკაშვილს. მერე ერთ დღეში იღებს ამ კანონს. ვიმეორებ, ეს მან პატრიარქისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით გააკეთა და მეტი არაფერი.

*— პატრიარქის დისკრედიტაცია ვერ მოახდინა, თუმცა, სინოდის გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, რითაც უმნიშვნელო, მაგრამ დარტყმა მაინც მიაყენა სინოდის წევრებს, არა, ბატონო პეტრე?*

— იცით, აქ მთავარია, თვითონ როგორ გრძნობს თავს, კიდევ ეჩვენება რამე თუ არა. აი, მაგალითად, გორის ცაზეც მოეჩვენა რაღაც და გაიქცა და დღემდე კაცმა არ იცის, რა მოეჩვენა იმიტომ, რომ კუშნერი იქ იდგა, ელოდებოდა, როდის მიუახლოვდებოდა და ჩამოართმევდა ხელს, საფრანგეთის ელჩიც იქ იდგა, ქალები, ბავშვები და ვერავინ მიხვდა, რა მოხდა, რადგან არაფერი ხდებოდა. ახლაც არაფერი არ არის გამორიცხული, კაცმა არ იცის, რა მოეჩვენება მომავალში. ახლა შეიძლება ვთქვათ, რომ უკვე გადაუარა მას ამ ფსიქოფიზიოლოგიურმა განწყობამ დაკმაყოფილდა იმით, რომ აი, ხომ ვუჩვენე იმის პასუხი, რაც გამიკეთა, აღლუმზე რომ არ მოვიდაო და შეიძლება ამან ჩაიარა, მორჩა და ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის, ანდაც შეიძლება კიდევ რაღაც გამეორდეს. მთელი დასავლეთის პუბლიცისტები აღნიშნავენ, რომ ეს არის სრულიად არაპროგნოზირებადი ადამიანი. როდის რა მოეჩვენება, ეწყინება ან გაუხარდება, ამის პროგნოზირება შეუძლებელია და ამ აფექტის შედეგად მოქმედებს ის. 2007 წლის 7 ნოემბერი — ეს იყო პირდაპირი გამოვლინება ამისა და მისი გუნდის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა მითხრა კიდეც მაშინ, რომ ეს იყო ერთი ადამიანის ფსიქოპატიური შეტევა, რომელიც აისახა მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობაზე. 7 ნოემბერს 7-8 კაციღა იყო დარჩენილი ქუჩაში, ხალხი აღარ იყო იქ და უცებ ამან გააფრინა.

*— გასაგებია... და საზოგადოებამ რა უნდა ქნას, ამ კაცის მოჩვენებების მსხვერპლი უნდა იყოს მუდამ?*

— ბრძოლა უნდა განვაგრძოთ. ახლა ყველაზე შემზარავი რაც ხდება ბოლო პერიოდში, ეს არის ფოტორეპორტიორების საქმე. აქაც საზოგადოების ერთიანობაა მთავარი. მე არ შემიძლია არ ვთქვა ერთი რამ. ამ ე.წ. ოპოზიციამ ბოლო სამ წელიწადში თითქოს თავისივე ხელით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოეხდინა და ხალხი იქამდე მიიყვანა, რომ ათქმევინა, ამათ მოსვლას ხელისუფლებაში ისევ მიშას მოთმენა გვირჩევნიაო. სტადიონზე სამასი ათასი კაცის შეგროვება უაზროდ და მერე ასევე უაზროდ დაშლა როგორ შეიძლებოდა. და როცა ხალხი ხედავს, რომ ეს ოპოზიცია შავი ჯიპებით დაქრის, მაშინ ხალხს ებადება ეჭვი და მე ბევრისგან მომისმენია კიდეც ასეთი რამ, რომ ოპოზიცია ფინანსურ გარიგებაში შევიდა ხელისუფლებასთან. ესენი უარესები არიანო, მეუბნება ხალხი. ხალხს ნდობა აქვს დაკარგული და ეს არის უბედურება. რაც შეეხება ფოტოგრაფების საქმეს, ჩემთვის, როგორც პროფესიონალისათვის, პირველივე დღიდან აბსოლუტურად ცხადი იყო, რომ ფოტორეპორტიორების საქმე შეთითხნილია თავიდან ბოლომდე. 13 წელი ვიყავი კანცელარიის უფროსი და შესანიშნავად ვიცი ეს ინფორმაცია, გრიფით საიდუმლო როგორ მოძრაობს და იმის წარმოდგენა, რომ მათ რაღაც გრიფით საიდუმლო მოიპოვეს, გამორიცხულია. მეტსაც გეტყვით, ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც სააკაშვილის კლოუნადის თეატრი დაარქვეს იმიტირებული ქრონიკის შემდეგ. ასეთი გადაცემა იყო სქაი ნიუსზე — „სააკაშვილი და მისი კლოუნების თეატრი“. ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც თბილისის მერიის დასუფთავების ხარჯებს კარგა ხანს ედო გრიფით საიდუმლო. ქუთაისში რომ შენდება პარლამენტი, იმის ხარჯები ვერ დაადგინეთ ჟურნალისტებმა და ბევრი სხვა. ახლა ნახეთ, რა ხდება — ფოტორეპორტიორების დაპატიმრების შემდეგ ხელისუფლების ყველა მოქმედება იყო მათი აღიარება ერთი მხრიდან იმისა, რომ ეს არის შეთითხნილი საქმე.

*— რას ერჩოდნენ ამ ადამიანებს, ბატონო პეტრე?*

— მე ზუსტად ვიცი, რაც მოხდა ჩემი ნაცნობებისაგან, რომლებსაც ეს ინფორმაცია აქვთ და მოგახსენებთ. გედენიძემ, პრეზიდენტის პირადმა ფოტოგრაფმა, მართლაც გაყიდა ეს სურათები. პრინციპში, ის ამას არც უარყოფს. კი ბატონო, აქ შეიძლება, ეთიკაზე ვისაუბროთ, პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი ხარ და სურათების გადაღება ამიტომ მოახერხე, სპეცრაზმი ხელს ამიტომ არ გიშლიდა, შემდეგ შეიძლება გაწერილიც კი იყო წესდებაში, რომ ამ დროს გაკეთებული ფოტოები კუთვნილებაა ადმინისტრაციისა და შეიძლება ეს დაარღვია ამ ადამიანმა, თუმცა, ამას ჯაშუშობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. უფრო მეტიც, დემოკრატიულ ქვეყანაში ამ დროს მაღლა დგება ის, რომ ფოტორეპორტიორმა შეძლო პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტების დაფიქსირება-გავრცელება და ამიტომ მადლობას მაინც ეტყვიან მას. ამ დროს ეს დგება უფრო მაღლა, ვიდრე სამსახურებრივი წესდება. თუმცა, აქ ის მომენტია, რომ ფულის გამო გაყიდა ფოტოები. ახლა სააკაშვილმა ეს მიიღო უაღრესად მტკივნეულად. მიღალატა, მოღალატეები არიანო და გასცა ბრძანება. ახლა ნახეთ, უტიაშვილმა რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა, რომ მათ გასცეს გაეროში მომუშავე ქართველების სია. ეს, იცით, რა დონის მარაზმია? უტიაშვილს რომ ეთქვა, მათ გასცეს საქართველოს პარლამენტართა სიაო, ამას ნიშნავს. პარლამენტართა სია, რომელიც არის აბსოლუტურად საჯარო, ისიც საჯაროა. გაეროში საიდუმლო თანამშრომელი არ არსებობს. სააკშვილის ბიძა თემურ ალასანია წლების განმავლობაში გაეროში მუშაობდა, როგორც რუსეთის მოქალაქე, რუსეთის კვოტით, იცით, სად? — სამხედრო შესყიდვების დეპარტამენტში და მე ეს საიდუმლო ინფორმაციიდან კი არ ვიცი, ეს იბეჭდებოდა ღიად. შეხვალ გაეროს საიტზე და ნახავ ამას. სასაცილოა



ეს განცხადებები და მეტი არაფერი.

*— გამორიცხულია, რომ საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდათ ხელი, არა, ბატონო პეტრე?*

— აბსოლუტურად და მე ახლა მთავარს გეტყვით. უტიაშვილის ეს განცხადება, შემდეგ მერაბიშვილის ფანტასტიკური განცხადებები ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, რას მეუბნებით, გასაიდუმლოებულია, გრიფით საიდუმლო ადევს? არ იცოდა ხერხემალმა, მერე შემზარავი განცხადება, მე მალე თქვენ წინაშე წელგამართული ვიქნებიო. იცით, რას ნიშნავს? მე მეორე დღესვე ვთქვი, რომ ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ აბდალაძესა და ქურციკიძეს ისე დაამუშავებენ, რომ რასაც მოუნდებათ, იმას ათქმევინებენ და სპეცმეთოდები არსებობს ისეთი, რომ ვერც ერთი გმირი ვერ გაუძლებს.

*— და დაიდო კიდეც მათი აღიარებითი ჩვენებები...*

— დიახ, ჯერ ქურციკიძის, შემდეგ — აბდალაძის. კაცმა, რომელმაც გმირულად დაიჭირა თავი და ყველა გააფრთხილა, მე თუ ჩვენება მივეცი, ე.ი. ჭკუაზე აღარ ვარო. აი, მისი ჩვენებაც უკვე არის. ეს ისეთი მეთოდებია ადამიანის დამუშავებისა, რომ, ვინც არ უნდა იყოს მანამდე, სუპერგმირიც რომ იყოს, დადის იმ მდგომარეობამდე, რომ ოღონდ თავი დამანებეთ და გნებავთ, იმას მოვითხოვ, რომ დამხვრიტოთო. დღევანდელი ფსიქოტროპული და სხვა სპეცდამუშავების მეთოდები ამის საშუალებას იძლევა.ზოგს სჭირდება ორი დღე, ზოგს —სამი, მაგრამ, არ არსებობს ადამიანი, რომ ამას გაუძლოს. ასეთი ადამიანი ფიზიოლოგიურად არ არსებობს, როგორც არ არსებობს ადამიანი, რომ ციანისკალიუმი დაალევინო და გადარჩეს, კვდება. ვფიქრობ, აბდალაძემ თქვა, დავიღალე, აღარ შემიძლიაო. 10 წუთით ადრე თქვა, არ ვაპირებ აღიარებითი ჩვენების მიცემასო და, როგორც კი დაინახა გამომძიებელი და პროკურორი, მაშინვე დაიწყო გაზუთხული ტექსტის მოყოლა. აი, ნახეთ მარაზმი, უმაღლესი დონის შეხვედრებს ვესწრებოდი და სტენოგრამას ვაკეთებდიო. ეს — რაც ადვოკატებმა გამოიტანეს გარეთ. გეუბნებით, 13 წელი ვიყავი კანცელარიის უფროსი, ვესწრებოდი უზენაესი რანგის შეხვედრებს, არც ერთი მოლაპარაკება, არც ერთი ფრაზა არ ითქმის, სანამ დარბაზს არ დატოვებს ყველა, გარდა ოფიციალური დელეგაციის პირებისა. სააკაშვილმაც კი რომ სთხოვოს მეორე მხარეს, თქვენი ჭირიმე, აგერ ჩემი ფოტოგრაფია და დარჩესო, ის მხარე არ დაიწყებს ლაპარაკს მანამ, სანამ ყველა არ დატოვებს იქაურობას. ასე რომ, ეს განცხადება გააოგნებს მთელ მსოფლიოს მათ შორის, ყველას, ვინც სააკაშვილთან შენახვედრია. აბა, ერთი დაასახელოს აბდალაძემ ან სხვამ, რომელი ერთი უზენაესი შეხვედრის ჩაწერა მოახერხა და მერე ვკითხოთ იმ ადამიანებს, თუ ესწრებოდა შეხვედრაზე რეპორტიორი.

*— ყველაფერი ნათელია... თქვენ რას აპირებთ, ნოღაიდელი აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდება, ბატონო პეტრე?*

— ჩვენთან არაფერიც არ ხდება მას შემდეგ, რაც იმ თვითმარქვია ადამიანებმა გაგვიკეთეს. მე ვიცნობ მხოლოდ ამ სერგო ჯავახიძეს, რომელიც გამგეობის სხდომებსაც ესწრებოდა და ხმას არ იღებდა. ერთხელ მაინც ეთქვა, რომ პრობლემებია, ვალია ან რაღაც. ყველა კი ამბობს, რომ შემოგზავნილი იყო, თუმცა, ვერ ვიტყვი გადაჭრით, რადგან არა მაქვს მტკიცებულება. ის ციხეში იყო მანამდე და იქ დაამუშავესო, ამბობენ. ციხეში იჯდა და მერე ბოლო სამი თვე, როცა ჩვენთან იყო, მოჰყავდა ჯიპით ერთ კაცს, რომელმაც მეგობარი მოკლა და მერე თავი მოაჭრა. ეს ორი წლის წინ აჩვენეს ტელევიზიებმა. აი, ამ კაცს მოჰყავდა და მიჰყავდა სერგო ჯავახიძე. ახლა ისინი გატარებულები არიან რეგისტრაციაში, ჩვენ კი, ვინც დავრჩით დე-ფაქტო, დე-იურე, არავითარი სტატუსი არ გვაქვს. მე ჩემი პირადი სტატუსი მაქვს პოლიტიკური, პარლამენტის წევრი ვარ და ვაგრძელებ ბრძოლას, ეგ არის და ეგ. რაც შეეხება ბატონ ზურაბს, ახალს ვერაფერს გეტყვით. ბოლოს მაისში ვნახე, სადღაც 24 მაისს და, რომ ვკითხე, რეგისტრაციაზე ფიქრობ-მეთქი? მიპასუხა, რა ვიცი, პრობლემატურია ეგ საკითხიო.

# ნანა დევდარიანი: „მერაბიშვილმა შეიძლება სააკაშვილი დააპატიმროს“

შორენა კოწოწაშვილი

**ნანა დევდარიანი ხელისუფლების შიგნით გააქტიურებულ გადაჯგუფებაზე საუბრობს და დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდება. ყოფილი ომბუდსმენი უწუნებს სააკაშვილს პატრიარქის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას და ფიქრობს, რომ გარეგინ II-ის სიამოვნებამ სააკაშვილს დაანახვა, რომ ხალხი ეკლესიის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას არ აპატიებს და რომ მოსახლეობის 80% ამ ხელისუფლების წინააღმდეგია.**

**— შეიძლება მერაბიშვილმა სააკაშვილი დააპატიმროს. თუ მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს დააპატიმრებს, მაშინ ის პრემიერ-მინისტრი გახდება. ეს არის ერთადერთი მომენტი, რომლითაც ვანო მერაბიშვილი შეიძლება ჩრდილიდან გამოვიდეს. მე ამას არ გამოვრიცხავ. ანუ არ გამოვრიცხავ, რომ მოხდეს შიდა გადატრიალება, მერაბიშვილმა სააკაშვილი დააპატიმროს და სატელევიზიო დაპატიმრება გვაჩვენოს. მაშინვე შეიცვლება დამოკიდებულება მერაბიშვილის მიმართ, თუ ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე წავიდა, მაგრამ, თუ ამ ნაბიჯზე არ წავიდა და ისე იბრძოლა ხელისუფლების შიგნით, არაფერი გამოუვა, — აცხადებს ნანა დევდარიანი.**

**არის თუ არა საფრთხის შემცველი რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიღებული კანონი და რა შეეშალათ მერაბიშვილთან შესულ ჟურნალისტებს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ სახალხო დამცველ ნანა დევდარიანთან.**

***— ქალბატონო ნანა, ფაქტია, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ვითარებაა და საზოგადოების დიდი ნაწილი არ ელოდა, რომ ხელისუფლება საპატრიარქოს ინტერესების წინააღმდეგ ასეთ სერიოზულ ნაბიჯს გადადგამდა. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილი ხვდება, რომ მისი წასვლა გარდაუვალია და რელიგიურ კონფესიებთან მიმართებაში გადადგმული ნაბიჯი მის ხელისუფლებაში მომყვანთა დაკვეთის შესრულებად აღიქვა.***

— დამთხვევით ეს კანონი გარეგინის და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტს დაემთხვა. სააკაშვილი წასვლაზე რომ არ ფიქრობს, ფაქტია. სხვისთვის არ მოუმზადებია ის საკონსტიტუციო ცვლილებები. მიშა წასვლაზე კი არა, იმაზე ფიქრობს, რომ გახდება პრემიერ-მინისტრი, მაგრამ იქამდე ორი წელია და საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელი. ეს წასვლის გამო არ მომხდარა. როგორც ჩანს, რაღაც ვალდებულება ჰქონდა და ეს ვალდებულება შეასრულა დაჩქარებული წესით. 30 ივნისს დაარეგისტრირეს კანონი პარლამენტში. 1 ივლისს, საგაზაფხულო სესიის დახურვის დღეს, პირველი მოსმენით მიიღეს. მერე იყო შაბათი-კვირა. მერე პრეზიდენტმა თავისი ბრძანებულებით რიგგარეშე სესია მოიწვია, სექტემბრამდე არ გადადო და მეორე-მესამე მოსმენით ერთბაშად უყარეს კენჭი და მიიღეს სრულიად უაზრო, აბსურდული დოკუმენტი. თითქოს ვილაცისთვის უნდა ეპატაკებინა, რომ მე მივანიჭე რელიგიურ ორგანიზაციებს სტატუსი. ასე რომ, ეს წასვლის გამო კი არ იყო გაკეთებული, ეს იყო ჩქარა გაკეთებული ისევე აგრესიულად, როგორც ყველა სხვა გადაწყვეტილებას იღებენ და ისევე ზაფხულში, როგორც შენ შენიშნე. ყველაზე არაპოპულარულ ნაბიჯებს ყოველთვის ზაფხულში დგამენ, იმიტომ, რომ ზაფხული მკვდარია პოლიტიკური თვალსაზრისით და ხმის ამომღებიც არავინ არის. პატრიარქმა რა სთხოვა ასეთი, გადადე, შეაჩერე ამ კანონის განხილვა, მით უმეტეს, სესია უკვე დახურული იყო. პატრიარქმა რომ სთხოვა შეაჩერეო, ადგა და ჯინაზე მოიწვია რიგგარეშე სესია. თორემ რამდენი კანონპროექტი აქვთ პირველი მოსმენით მიღებული და მერე მიტოვებული, რომ აღარ მიბრუნებიან მეორე და მესამე მოსმენით განხილვას. თავისუფლად შეეძლოთ სექტემბრამდე მოეცადათ და თუ ვინმესთვის ჩვენება უნდოდათ, შეეძლოთ ეთქვათ, რომ საგაზაფხულო სესიის ბოლო დღეს მივიღეთ პირველი მოსმენით, სექტემბერში გაიხსნება სესია და მეორე-მესამე მოსმენით მივიღებთო. მაგრამ ეს არის ჯინაობით გაკეთებული საპატრიარქოსთვის. რადგან ძალიან კარგად იციან, რომ ყველაზე მაღალი ნდობის რეიტინგი ეკლესიას და პირადად პატრიარქს აქვს. აი, ამაში გაჯიბრების მომენტია. თან ნახეთ რა გააკეთეს: შარშან დაიჭირეს სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის წევრები — ექსტრემისტები არიან, იხულიგნეს, ტელევიზიას ხელი შეუშალეს მუშაობაში და ვილაცეებს სცემესო. ახლახან, 26 მაისის დღეებში დაიჭირეს ყინწვისის მონასტერში ეროვნულ- მართლმადიდებლური მოძრაობის წევრები. მოსინჯეს ერთხელ, მოსინჯეს მეორედ და მესამედ ადგნენ და ეს გააკეთეს, რაზეც ყველა აღშფოთებულია. მოდით ვთქვათ, ხალხი იმიტომ ხომ არ არის აღშფოთებული, სხვა რელიგიებს დარეგისტრირების საშუალება რომ მიეცათ. ყველა არის გაბრაზებული სწორედ ამ პროცედურაზე. როგორც ეს მოხდა, ასე სასწრაფოდ და ჩქარა. გამოვიდა, რომ რაც გარეგინ მეორემ ითხოვა, სასწრაფოდ შეუსრულეს და რაც თქვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისი აზრი უგულებელყვეს. ხალხი ამაზეა გამწარებული და არა იმაზე, იმ ქაღალდზე რა წერია.

***— ხალხი გარკვეულწილად უფრო მკვეთრ გადაწყვეტილებას ელოდა სინოდის მხრიდან.***

— კომპრომისული იყო ეკლესია. მართლმადიდებლური ეკლესია ყველაზე დემოკრატიული ეკლესიაა. პატრიარქი არც მოუწოდებდა ხალხს, გამოდით და ხელისუფლება შევაჩვენოთო. ეკლესია ომის გამჩაღებელი არასოდეს არ არის. ამიტომ მე ვთვლი, რომ ძალიან სერიოზული პროტესტი დაფიქსირდა ეკლესიის მრევლის მხრიდან. როდესაც მსვლელობა მოეწყო. მსვლელობის დასაწყისი მეტეხის ხიდთან რომ იყო, ბოლო ჯერ კიდევ თავისუფლების მოედანზე იყო. ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა და მშვიდობიანად გამოხატა თავისი პროტესტი. ამ ხალხის ამოცანა არ იყო ან ხელისუფლების დამხობა, ან ვილაცასთან ანგარიშის გასწორება. ჩვენ ცოტა გაზვიადებები გვიყვარს. ბევრი საზოგადოებაში ამას აღიქვამს როგორც მარცხს. მე ამას ასე არ აღვიქვავ. ეს უტიფარი ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის იმის დემონსტრირებას აკეთებს — რასაც მინდა, იმას ვაკეთებ — იძულებული გახდა მიბრძანებულიყო და პატრიარქთან რალაცეები შეეთანხმებინა.

***— ითქვა, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, მათ შორის კუდის წარმომადგენლებიც კი იმყოფებოდნენ სინოდის შეკრებამდე და შემდგომაც საპატრიარქოში და ეკლესიაზე ზეწოლას ჰქონდა ადგილი.***

— ამაზე ვარაუდით შეიძლება ლაპარაკი. თუ ჩავთვლით, რომ უბრალოდ მათი იქ ყოფნა იყო ზეწოლა, კი ბატონო. მაგრამ მეორე მხრივ, მე არა მგონია, რომ ჩვენი მღვდელმთავრები ასე იოლად ექცეოდნენ ზეგავლენის ქვეშ. არიან უფრო შეურიგებელი მღვდელმთავრები, არიან უფრო ლოიალურები. რა შორს მივდივართ, ვიცით, რომ რომელიღაც მეუფე სააკაშვილს დავით აღმაშენებელს უძახის. მე ეს არ მიკვრს. გადაწყვეტილება კი კრებაზე კენჭის ყრით მიიღება.

***— თქვენი აზრით, ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ეკლესიაზე პერიოდული დარტყმების შემდეგ ხალხის პროტესტი მაღალი არ იქნებოდა და ნაწილობრივ შესუსტებულად უყურებს ეკლესიის მიმართ ნდობას? არსებობს ინფორმაცია, რომ გარკვეული მოძღვრების წინააღმდეგ პასუხისმგებლობის დაყენებას ითხოვენ რიგი საზოგადოებრივი სახეები, მათ შორის ნინია კაკაბაძე.***

— მე გარდა იმისა, რომ აქ ჩამოსული იყო ყოველთა სომეხთა პატრიარქი, აქ სხვა დამთხვევას ვერ ვხედავ. შემდეგ უკვე ლოგიკურად პროცესი განვითარდა და იყო საზოგადოებრივი აღშფოთება. ამ აღშფოთებას მოჰყვა მერე გარკვეული გამონათქვამები. ნინია კაკაბაძე ვის უჩივლებს და როგორ, ეს მისი სინდისის საქმეა და მის სინდისზე იყოს. მაგრამ იცი რა არის, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი მოკლეს. ამბრისი ხელაიამ რაც გაიარა, იმ შევიწროვებას არც ერთ მღვდელმთავარს არ ვუსურვებ. ისინი დღეს წმინდანებად არიან აღიარებული. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი ადამიანი დგება არჩევანის წინაშე — უკან დავიხევ თუ შევაკვდები. ამიტომ, მე ძალიან არაგონივრული მგონია სააკაშვილის ეს ექსპერიმენტები. იმიტომ, რომ ასეთი დაპირისპირებების დროს, ადრეც მითქვამს და ახლაც ვამბობ, ეკლესია მხოლოდ ძლიერდება და ყველაზე უკეთესი მისი თვისებები მოდის წინ. ამიტომ, ეკლესიას ნუ ებრძვის. ეკლესიას ბოლშევიკებმა მოუღეს ბოლო, რომლებიც გაცილებით უფრო დახვეწილი გარეწრები იყვნენ, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლებაა. ისინი ვერ დაუპირისპირდნენ ბოლომდე. იმიტომ, რომ სულიერებითი სფერო ისეთია, შენ შეიძლება მაწამო და აღიარებითი ჩვენება მიმაცემინო, მაგრამ მწამდეს ღმერთი, ეს ხომ შინაგანია. ამას ვერავის დაუშლი.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კანონი, რომელიც რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიიღეს, საფრთხის შემცველი არა რის. იზიარებთ ამ აზრს?***

— არ არის საფრთხის შემცველი რაც მათ მიიღეს. კანონით უთხრეს, რომ გეძლევათ საშუალება გაიაროთ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა. ახლა შევხედოთ მართლმადიდებელ ეკლესიას რა სტატუსი აქვს: ძალიან ჭკვიანურად შედგენილი დოკუმენტია ის კონსტიტუციური შეთანხმება. მე დღესაც მადლობელი ვარ იმ იურისტების, ვინც კონკორდატზე იმუშავეს. იქ იცით როგორ წერია? კი არ დარეგისტრირდეს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, იქ წერია: სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს. ე.ი. მე კი არ ვქმნი, ეს ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი. მასთან სახელმწიფოს კონსტიტუციური შეთანხმება აქვს გაფორმებული. კონსტიტუციის შემდეგ იერარქიულად არის კონსტიტუციური შეთანხმება.

***— თუ არ არის ეს კანონი საფრთხის შემცველი, რატომ დაინახა მასში ეკლესიამ საშიში ტენდენციები?***

— ეკლესიამ საფრთხეები დაინახა იმაში, რომ ასეთ მგრძნობიარე საკითხზე ასე დაჩქარებული წესით დაიწყეს მსჯელობა, ნაჩქარევად მიიღეს და არავის არაფერი ჰკითხეს. პატრიარქმა მაშინვე თქვა, რომ წინააღმდეგი არ იყო ამ სტატუსის მიცემის, პროცედურა იყო მიუღებელი. როცა ხელისუფლებამ იცის, როგორი დამოკიდებულება აქვს მოსახლეობის 83% ეკლესიისადმი არასწორ დამოკიდებულებაზე და შენ ამას მაინც აკეთებ, ის სამართლიან არჩევნებს ჩაგიტარებს?! ეტყობა, ამ 80%-ს ხმები არ აინტერესებს. ამის დემონსტრირება გააკეთა. როგორ იქნება ეს სამართლიანი არჩევნები, როცა პრეზიდენტს და ხელისუფლებას ფეხზე კიდია ამომრჩევლის 80%-ის აზრი. ხომ უნდა იცოდეს, რომ არჩევნებში ხმებს ვერ მიიღებს. ე.ი. სააკაშვილი არ არის სამართლიანი არჩევნების იმედად და აპირებს ის ციფრი დაიწეროს, რაც აწყობს. არ არის ეს სახიფათო საკითხი სახელმწიფოსთვის? რასაც პატრიარქი ამბობს, მარტო ეკლესიას კი არ ეხება, ეს ეხება საზოგადოების ცხოვრებასაც. ამას საშინელი დაპირისპირება მოყვება. როცა ხელისუფლებაში ხარ, შეიძლება 2-3% მოიპარო არჩევნებზე, ამის ბერკეტი გაქვს. 80%-ს რომ არ უნდიხარ, ასეთი საქციელის გამო და მაინც რომ დაიწერ საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის საჭირო ხმების რაოდენობას, ამას არჩევნების გაყალბება არ ჰქვია? რომ იძახიან, 2003 წელს არჩევნები გაყალბდაო, მაშინ სახელისუფლებო პარტიამ მიიღო 22%. ეს თუ გაყალბებული იყო, მას შემდეგ ჩატარებული არჩევნები არ არის გაყალბებული?

***— მოდით, თვითონ ხელისუფლების დღევანდელ მდგომარეობაზე ვისაუბროთ. უგულავას ცნობილი განცხადებიდან გამომდინარე, რომელიც გაუმჯობესებულ სააკაშვილს ეხებოდა, საზოგადოების ნაწილს გაუჩნდა აზრი, რომ ხელისუფლების შიგნით უკვე გააქტიურდა შიდა დაპირისპირება და გადაჯგუფების პროცესი.***

— მოდით, ისევ იმ თემას დავუბრუნდეთ, რომელიც მივიწყებული გვაქვს. ჩვენ გადავდივართ მართვის საპარლამენტო მოდელზე. რა თქმა უნდა, ხელისუფლების შიგნით გადაჯგუფება მოხდება. იმიტომ, რომ სიმძიმის ცენტრი პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრზე ინაცვლებს. ამავე დროს პრემიერ-მინისტრი შეიძლება გახდეს პიროვნება, რომლის პარტიამაც მოიპოვა ხმების უმრავლესობა პარლამენტში. მას შეუძლია კოალიცია შექმნას სხვა პარტიებთან ერთად. სააკაშვილი რომ თავისი ხმების დათმობას არ აპირებს, ეს ეტყობა. ხელისუფლების შიგნით, რა თქმა უნდა, იქნება მოძრაობა — ვინ გახდება პარლამენტის თავმჯდომარე, ვინ გახდება პრეზიდენტი, თუნდაც წარმომადგენლობითი ფუნქციით. უგულავას პრეზიდენტობაზე ხშირად ლაპარაკობენ. თუ ის პრეზიდენტობაზე ფიქრობს, მაშინ მნიშვნელოვანია, ვინ გახდება ქალაქის მერი. ყველაზე მდიდარი სუბიექტი ამ სახელმწიფოში არის ქალაქი თბილისი. ყველაზე დიდი შემოსავლები აქვს კონცენტრირებული. თან უგულავა მარტო თბილისს კი არ აკონტროლებს, მან კარგად ბლომად ტერიტორიები შემოიერთა. იქ გუდაური მისცეს და ა. შ. აქ მარტო ის ხომ არ არის მნიშვნელოვანი, მე რა მერქმევა. აქ ლაპარაკია, ფინანსურ ნაკადებს ვინ გააკონტროლებს, ვინ ვისით ჩანაცვლდება. დავუშვათ, უგულავა წავიდა პრეზიდენტად, ქალაქის მერად, მის კანდიდატურას დაუშვებენ? თანაც ეს პირდაპირი არჩევნების გზით უნდა მოხდეს. ხელისუფლების შიგნით, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მეტი ჟრიამულია, ვიდრე გარეთ. ნაცმოძრაობის შიგნით აინტერესებთ, როგორ გადაჯგუფდებიან, აინტერესებთ, რამდენი პარლამენტარი შეინარჩუნებს დეპუტატის მანდატს 2012 წლის არჩევნებში.

***— ფიქრობთ, რომ არ ჰყოფნით ნაციონალებს მანდატები და იმიტომ გაზარდეს დეპუტატთა რაოდენობა 190-მდე?***

— რა თქმა უნდა. თანაც ხელისუფლებას არ აწყობს თავისი წევრები უკმაყოფილონი დარჩნენ.

***— თქვენც და თქვენს მსგავსად ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდება. თუმცა საზოგადოების ნაწილი არ გამორიცხავს, რომ პრემიერის პოსტი ვანო მერაბიშვილმა დაიკავოს. მერაბიშვილის საპრემიერო ამბიციებს გამორიცხავთ? ფაქტია, ის სერიოზულ პიარს იკეთებს და ჟურნალისტებთან შეხვედრაზეც არ თქვა უარი.***

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რაც შეიტანეს იმ ჟურნალისტებმა, ის გამოიტანეს. ძალიან გთხოვთ ყურადღება მიაქციეთ. ტელევიზიით რომ თვალებს გვიბრმავებენ იმ მაისურებით, გადახაზული ფოტოაპარატებით, რატომ მერაბიშვილთან არ მივიდნენ ამ მაისურებით? არც ერთს არ ეცვა იქ გადახაზულ ფოტოაპარატიანი მაისური. ასეთი მებრძოლი დემოკრატები რომ არიან ეს ჟურნალისტები, ამ მაისურებით მისვლა რატომ ვერ გაბედეს? რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს და მის ამბიციებს, ვანომ კარგად იცის, რომ მიშას გარეშე ის არაფერი არ არის. პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ვერ გახდება. კონსტიტუციით პირველი პირი პრემიერ-მინისტრი ხდება. წარმოგიდგენიათ, რომ ვანო მერაბიშვილი გამოვიდეს და თუნდაც რაც არ უნდა უკმაყოფილო იყოს ხალხი სააკაშვილით, მან გამოსვლა იცის, ხალხთან საუბარი იცის, ენერგიულია. ამ თვისებებს მერაბიშვილი მთლიანად მოკლებულია. ის საკმარისად ძლიერი ფიგურაა იმისათვის, რომ იმაზე მეტი არ უნდოდეს. თუ ასე შეეშალა მერაბიშვილს და მეტი მოინდომა, ეს მას დაღუპავს, პირდაპირ შემიძლია გითხრათ.

***— უნდა ვიფიქროთ, რომ მერაბიშვილის ამბიციები ამ ეტაპზე საფრთხეს არ წარმოადგენს? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის თავის თანამშრომლებს კარგად უვლის და ფინანსებითაც უზრუნველყოფს.***

— კი მაგრამ, ეს ყველაფერი კარგი არის მაშინ, როცა მერაბიშვილი არის თავის თანამდებობაზე. მერაბიშვილი უაზარმაზარი მონსტრის ხელმძღვანელია და მას აქვს სახელმწიფო სახელმწიფოში. როგორც კი იმის გარეთ გამოვა, ყველაფერი თავზე დაენგრევა იმიტომ, რომ თვითონ სახელმწიფო გაცილებით უფრო რთული ორგანიზმია, ვიდრე რომელიმე სტრუქტურა. შსს-ში ბრძანებას უნდა დაემორჩილოს ადამიანი, სამოქალაქო საზოგადოება კი ამ მეთოდით არ იმართება. თანაც მერაბიშვილს არ აქვს ის ქარიზმა, რომელიც იძულებულს გაგხდის, რომ დაუჯერო. როცა ის პოლიციის მინისტრია, პოლიციელები მას დაუჯერებენ. მაგრამ ეს ჭრელი საზოგადოება გარეთ, დაუჯერებს ვანო მერაბიშვილის ნათქვამს, მით უმეტეს, რომ მეტყველებაშიც ვერ აქვს კარგად საქმე. სააკაშვილი ხშირად იტყუება, მაგრამ ისე კოხტად იტყუება და თან ენაც არ ეშლება. ამიტომ, არა მგონია, რომ ვანო მერაბიშვილი ასეთ სარისკო ნაბიჯს გადადგამს.

***— ანუ მერაბიშვილს არანაირი შანსი არ აქვს იგივე პრემიერობის?***

— თუ მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს დააპატიმრებს, მაშინ ის პრემიერ-მინისტრი გახდება. ეს არის ერთადერთი მომენტი, რომლითაც ვანო მერაბიშვილი შეიძლება ჩრდილიდან გამოვიდეს. მე ამას არ გამოვრიცხავ. ანუ არ გამოვრიცხავ, რომ მოხდეს შიდა გადატრიალება, მერაბიშვილმა სააკაშვილი დააპატიმროს და სატელევიზიო დაპატიმრება გვაჩვენოს. მაშინვე შეიცვლება დამოკიდებულება მერაბიშვილის მიმართ, თუ ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე წავიდა, მაგრამ თუ ამ ნაბიჯზე არ წავიდა და ისე იბრძოლა ხელისუფლების შიგნით, არაფერი გამოუვა.



# სექტებმა საქართველოს მოსახლეობის გაჭირვებით ისარგებლეს

**როგორც ამბობენ, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. დღევანდელი ხელისუფლების მსგავსად, მასაც აშფოთებდა თურმე პატრიარქის მაღალი ავტორიტეტი. იმასაც ამბობენ, რომ ექსპრეზიდენტი სექტებსაც მფარველობდა.**

**ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთო მარგიანი. მისი თქმით, შევარდნაძე პატრიარქსა და ეკლესიას ყოველთვის გვერდით ედგა. რით გამოიხატება გვერდში დგომა, როგორ შემოდიოდნენ საქართველოში სექტები, ვის აჯობეს ნაციონალებმა, ამ თემებზე ყოფილი ვიცე-პრემიერი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



## ჩვენსავით შემწყნარებელი ერი არ არსებობს

თეა მარხვაი ე

ავთო მარგიანი:

— ეკლესიის წინააღმდეგ ასეთი ღია ბრძოლა კომუნისტების დროსაც არ იყო. ლენინის პერიოდს თუ არ ჩავთვლით მხედველობაში. სტალინის მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით ბევრი რამე შეიცვალა. ახლა რაც მესმის, ასეთი რამეები ადრე არ ხდებოდა. ვრცელდება ინფორმაციები, რომ სასულიერო პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამის გამკეთებლები აუცილებლად დაისჯებიან. ასე მზაკვრობები ჩვენს რწმენას ვერაფერს დააკლებს. მე ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მივხვდი, როგორი მორწმუნეა ქართველი ერი. ეს იმ პერიოდში მოხდა, ქვემო ქართლში როცა მოვხვდი სამუშაოდ. საოცრებები ვნახე იქ, ამიტომაც გადავწყვიტეთ ეკლესიის აშენება. დღეს ეკლესიის აგება პრობლემა არ არის, მაშინ ეს თითქმის წარმოუდგენელი იყო. სიამაყით ვიტყვი, რომ ჩვენ ავაშენეთ ერთადერთი ეკლესია საბჭოთა კავშირში.

***— რომელი წელი იყო, როცა ეს ეკლესია აშენდა?***

— 1988 წელს აშენდა ეს ეკლესია. სამთავისის პროტოტიპია. გარდაბნის ცენტრშია ეს ულამაზესი ეკლესია.

***— კომუნისტებმა ხელი არ შეგიშალეს ეკლესიის აგებაში?***

— იმ დროს ეკლესიების აგება აკრძალული იყო. ამის მიუხედავად, მაინც ავაგეთ, როცა საქმე ღმერთსა და ღვთის სახლს ეხება, იქ ყველა ბარიერი უძლური ხდება. მინდა ეს კარგად დაიმახსოვროს იმ ხალხმა, რომლებსაც ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი უჩნდება. მათ მინდა ვუთხრა, რომ „ვისაც არა სწამს სიტყვა სამება, მისი სიცოცხლე არის წამება“. ჩვენს ეკლესიებს და მართლმადიდებლობას ოდითგან ბევრი მტერი ჰყავდა, მაგრამ მასთან ვერავინ ვერაფერს გახდა. ეკლესიის და ღვთის მადლმა მოიყვანა საქართველო აქამდე. თამამად ვიტყვი, რომ ილია II საქართველოს ღმერთმა მოუვლინა. მან ბევრი რამე გააკეთა ქართველების ეკლესიისკენ შემოსაბრუნებლად. მისი მოსვლის შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდა. მისი უწმინდესობა ძალიან დაგვეხმარა. ის რომ არა, იმ ჭიას ვერ გავუმკლავდებოდით, ქრისტიანობას რომ ჰყავს შეჩენილი.

***— რა ჰქვია ამ ჭიას?***

— ამ ჭიას ჰქვია მასონიზმი. მისი ყველაზე დიდი იარაღი გახლავთ სექტები. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ისეთი უცნაური სახელები ჰქვიათ, ძნელია მათი დამახსოვრება. საწყლები გადაგვარებული არიან.

***— ამ განცხადების გამო შეიძლება ათას რამეში დაგადანაშაულონ.***

— რაში უნდა დამდონ ბრალი. რა, ვინმე სექტანტს თავი გავუტეხე? მე არავის არ ვეხები. ვთხოვ ყველას, რომ ნურც ისინი შეგვეხებიან. თუ სექტანტობა სურთ, თავისთვის იყვნენ და სახლში ნუ შემომივარდებიან. ვთქვი და გავიმეორებ, რომ ისინი გადაგვარებული არიან. ამის მიუხედავად, მათზე არ ვნერვიულობ, რადგანაც ვიცი, რომ ისინიც მოვლენ გონს. ვინერვიულოთ მათ გამო? ისინიც მოვლენ გონს, ღმერთი ერთია და ის მოიყვანს მაგათ აზრზე. ძალიან მალე მოინანიებენ. შეცდომა ყველას მოსდის.

***— როგორც ამბობენ, საქართველოში სექტების ფეხის მოკიდება შევარდნაძეს უკავშირდება. თქვენ მაშინ ხელისუფლებაში იყავით, როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი?***

— რა პროცესი, კაცო? სად შევარდნაძე და სად სექტები! სად სცალოდა ედუარდს სექტების შემოსაყვანად ან მათ „დასაკრიშავად“. ყველაფერი პირიქით იყო.

***— პირიქით როგორ იყო, გაყარა?***

— გაყრით ვერ გაყრიდა, ის დემოკრატი კაცია და არავის დევნას არ დაიწყებდა. მე მხედველობაში სხვა რამე მქონდა. ყველამ კარგად იცის, რომ ის მართლმადიდებლობას ძალიან მაგრად დაუდგა გვერდში.

***— ეს მაშინ დაუდგა გვერდში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა მოპოვებული ჰქონდა.***

— როგორ გეკადრებათ, ცეკას მდივნობის დროიდან ედგა ეკლესიას გვერდში. თქვენ როგორ გგონიათ, შევარდნაძის ძმა და მეგობარი არ არის ილია II. შევარდნაძე არ იყო ცეკას პირველი მდივანი, ილია II რომ გახდა პატრიარქი. ისე არავინ გაიგოს, თითქოს ედუარდი ჩაერია მისი უწმინდესობის პატრიარქად არჩევაში. ის პატრიარქად სინოდმა აირჩია. ედუარდი მას გვერდში დაუდგა. თუ არ ჩანდა იმის ბრალია, რომ ედუარდს არ უყვარდა ასეთი თემების აფიშირება. ის რომ არა, სამების ტაძარი არ აშენდებოდა.

***— დარწმუნებული ხართ, რომ მის გარეშე არ აშენდებოდა?***

— დარწმუნებული ვარ. ამაში ეჭვი არავის არ ეპარება. სადაც გინდათ იქ დავამტკიცებ, რომ შევარდნაძე ძალიან მორწმუნე ადამიანია.

***— თუ მორწმუნე კაცი იყო, გვიან რატომ მოინათლა?***

— ალბათ ასე იყო საჭირო. ზოგი ადრე ინათლება, ზოგი — გვიან. ის პატრიარქმა მონათლა როგორც გიორგი. კომუნისტობა რა შუაშია. კომუნიზმი, ეს იყო დროებითი პოლიტიკური მოვლენა. თუ ადამიანი ხარ, გინდა კომუნისტი იყავი და გინდა სხვა რამე პარტიის წევრი. მთავარია კაცობას და ადამიანობას არ გადაუხვიო. ღმერთს არ უნდა უღალატო. ვინც ღმერთს უღლატა, ყველას საქმე ცუდად წავიდა.

***— რატომ ამბობდა მაშინდელი ოპოზიცია, რომ საქართველოში სექტებს გზა შევარდნაძემ გაუხსნა. ფაქტია, რომ მათ საქართველოში ფეხი ედუარდის პრეზიდენტობის დროს მოიკიდეს.***

— ეს არის ბოროტი ადამიანების გავრცელებული ინფორმაცია. დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობს: „სულელს იმდენი ჭკუა ყოველთვის აქვს, რომ ბოროტება ჩაიდინოს“. ამას ვინც ავრცელებდა, ბოროტიც არის და სულელიც.

***— რატომ ამბობთ, რომ ამ ინფორმაციას ბოროტები და სულელები ავრცელებდნენ. მოქკავშირი აღიქმებოდა სექტების მფარველად. ედუარდი კი სმკ-ს ლიდერი იყო.***

— რას ამბობთ, რა მოქკავშირი. მოქკავშირს და ედუარდს რა ესაქმებოდათ სექტებთან. მათ სხვაგან ჰყავდა მფარველები. სექტების შემოსვლა ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ ქართული ბუნებიდან გამომდინარე, მათ ღიად ომს არავინ დაუწყებდა. თან ასეთი რამის გაკეთება დაუშვებელია. ყველას აქვს თავისი აზრი და საითაც უნდა, იქეთ გაუხვევს. ამ სექტებს სხვადასხვა საელჩოები და არასამთავრობო ორგანიზაციები მფარველობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისუფლების ინსტიტუტი, სოროსის ფონდი. თავად სოროსი ცნობილი ანტიორთოდოქსია. ვერ იტანს ვერც ერთ ტრადიციულ რელიგიას. მახსოვს, იმ წლებში ძალიან აქტიურობდა ორგანიზაცია, რომელსაც ხსნის არმია ერქვა. ისინი ხალხს აჭმევდნენ. სხვადასხვა დახმარებას ურიგებდნენ.

***— იმ დროს ძალიან ჭირდა. ადამიანები ფაქტიურად შიმშილობდნენ. რა მოხდა, თუკი ხსნის არმია მათ საკვებ პროდუქტებს ურიგებდა.***

— გააჩნია რა მიზეზით აჭმევ ადამიანს. თუ ამას უანგაროდ აკეთებ, ძალიან კარგია. თუ ამას ხალხის გადმოსაბირებლად იყენებ, ძალიან ცუდია და მას მოსყიდვა ჰქვია.

***— რამდენი სექტა მოქმედებდა მაშინ საქართველოში და რამდენი სექტაა ახლა.***

— სექტების აღმრიცხველი არ გახლავართ და მათ დასახელებებს ვერ ჩამოვთვლი. როცა ხელისუფლებაში ვიყავი, იმ დროს საქართველოში 12 სექტა საქმიანობდა. ახლა ვერ გეტყვით რამდენი სექტაა. ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ, ისინი საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ.

***— რა შეთქმულებას?***

— სერიოზულ შეთქმულებას. ამის შესახებ ინფორმაცია ხელისუფლებიდან წამოსვლის შემდეგ გავიგე.

***— ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია?***

— ჩემმა საყვარელმა ძმებმა და მეგობრებმა რუსებმა და თურქებმა. დავაზუსტებ, რომ ინფორმაცია ამის შესახებ მაღალჩინოსნებმა მომაწოდეს.

***— ქართველები ყოველთვის გამოვირჩეოდით ტოლერანტობით. ახლა ამბობენ, რომ ეს თვისება დავკარგეთ და ამიტომაც ვავლენთ სექტების მიმართ აგრესიას.***

— სად არის ეს აგრესია, იქნებ დამანახოს ვინმე. აგრესია რომ გამოგვევლინა, საქართველოში ამდენი სექტა აღარ მოიყრიდა თავს. ჩვენ ტოლერანტები ვიყავით და ასევე ვიქნებით. ვიცით, რომ რელიგია არის თავისუფალი. „ღმერთმა სვეტი სისწორისა, თავის გულში ჩადგა, არავინ არ დაღუპულა, ვინც სწორ გზაზე დადგა“. მჯერა, რომ ყველა სწორ გზას დაადგება. იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ კი არ ვებრძვით სექტებს, პირიქით, ისინი ებრძვიან საქართველოს.

***— ამის შესახებ ბევრი განცხადება კეთდება, გვითხარით, კონკრეტულად რა ფორმებით მიდის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ?***

— პირდაპირ ებრძვიან ჩვენს ეროვნულ ტრადიციას და შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენს რელიგიას. ჩვენ რას ვებრძვით, რა გვაქვს ვინმესთან საბრძოლი? ქართველები ერთ-ერთი პირველი მართლმადიდებლები ვართ დედამიწაზე. ამდენი მოწამე და წმინდანი ჩვენ რომ გვყავს, არავის არა ჰყავს. ამის მიუხედავად, მაინც შემოგვეპარნენ სექტები. ეს იმ დროს მოხდა, როცა საქართველოს ძალიან მძიმე დრო უდგა. სამოქალაქო ომი ახალი დამთავრებული იყო.

***— იმ დროს თქვენც ხელისუფლებაში იყავით, რატომ მაშინც არ ამოიღეთ ხმა სექტების წინააღმდეგ?***

— მაშინ, როგორც უკვე გითხარით, ომი ახალი დამთავრებული იყო. ქვეყანა ფაქტიურად შიმშილობდა. ხორბალზე და ათას რამეზე დავრბოდი აქეთ-იქეთ. უამრავი პრობლემა იყო მოსაგვარებელი. როგორ გგონიათ, მეცალა მაშინ სექტებისთვის? ისიც კი არ ვიცოდი დანამდვილებით, რას წარმოადგენდნენ. მერე ნელ-ნელა გავიგე, რასაც წარმოადგენდნენ. მათ ედუარდმაც გაუგო. ამის შემდეგ შევარდნაძემ მათი ჩაძირვა დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა საქმე. შემთხვევითი არ არის, რომ მის ჩამოგდებაში დიდი როლი ითამაშა სოროსმა. ეგ არის სექტების დამფინანსებელი. მას თავისი მიზეზები ჰქონდა ედუარდის ჩამოსაგდებად. ძირითადად მას ბუშებმა მოუწყვეს რევოლუცია. ამაზე „ახალ თაობასთან“ ბევრჯერ მისაუბარია და აღარ გავიმეორებ. სექტების უკან დიდი ფული დგას. არის ასეთი გამოთქმა: „სადაც განაგებს ფულიო, იქ ზედმეტია გულიო“. მე იმას არ ვამბობ, რომ ფული საჭირო არ არის. ფული საჭიროა და თანაც როგორ. ოღონდ მხოლოდ იმდენი, რამდენიც გჭირდება და არა იმდენი, რამდენიც გინდა. მახსენდება ის იუბილე, რომელიც სტალინმა ილია ჭავჭავაძეს გადაუხადა.

***— სტალინმა გადაუხადა ილია ჭავჭავაძეს იუბილე?***

— თანაც დიდებული იუბილე გადაუხადა. ეს 1937 წლის 8 ნოემბერს მოხდა. სტალინის თაოსნობით დიდებულად აღინიშნა დიდი ილიას ასი წლის იუბილე. მაშინ ილიაზე თქვა — კაცობრიობის ისტორიაში გენიოსების გენიოსიაო. იმავე იუბილეზე სტალინმა გაიხსენა ერთი გენიოსი ჩინელის, კონფუცის ნათქვამი. მან ჯერ კიდევ 2500 წლის წინ გენიალური რამე თქვა: სირცხვილია, მდიდარ ქვეყანაში რომ ღარიბი ხარ, გამოდის, ან ზარმაცი ხარ, ან უუნარო. ათჯერ უფრო დიდი სირცხვილია, როცა ღარიბ ქვეყანაში მდიდარი ხარ. საიდან? შენს ძმას მაინც ასწავლე, როგორ იშოვოს ქონება. დღეს საქართველოს ძალიან უჭირს. ერთეულებმა ბევრი ფული იშოვეს. ეს ძალიან დიდი სირცხვილია.

***— თქვენ ზემოთ ბრძანეთ, რომ პატრიარქს გვერდში ედგა შევარდნაძეო. ამბობენ, რომ მასაც ეშინოდა ილია II ავტორიტეტის და ისიც ჩუმად ებრძოდა.***

— ეს გამორიცხულია. ედუარდი მას ძალიან დიდ პატივს სცემს. მისი საწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებია. ის ვინც პატრიარქს ებრძვის, თავად აღმოჩნდება შავ დღეში. გარწმუნებთ, ისინი რელიგიას და მართლმადიდებლობას ვერაფერს ვერ დააკლებენ. როდის იყო, ქვეწარმავალი ლომებს, ირმებს და არწივებს ამარცხებდა.

***— მოდით, ცოტა სხვა თემაზე გადავიდეთ. თქვენი აზრით, ვართ თუ არა სხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებელი? მავანი და მავანი ამბობს, რომ ჩვენი ეკლესია სხვა რელიგიებს არ ცნობს.***

— ეს არის სისულელე და დიდი ტყუილი. არ არსებობს დედამიწაზე ჩვენსავით შემწყნარებელი ერი. ჩვენნაირ სითბოს სხვა ერისა და ეკლესიის მიმართ არავინ არ იჩენს. მარტო ის რად ღირს, რომ დავით აღმაშენებელი ოთხივე სალოცავში დადიოდა. ის შედიოდა სინაგოგაში, მეჩეთში, გრიგორიანულ და მართლმადიდებლურ ტაძრებში. ერთ ტერიტორიაზე ააგებინა ეს ნაგებობები. ღორის დაკვლა აკრძალული იყო იმ უბანში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ. ასეთ რამეს ადრე კი არა, ახლაც არავინ აკეთებს. ასე რომ, ნუ იგონებენ ათას რალაცეებს. ასეთი მოქცევა, გარდა იმისა, რომ სირცხვილია, მკრეხელობაცაა.

## პუტინისათვის პრემია „კვადრიგას“ გადაცემაზე უარი განაცხადეს

პრესტიჟული გერმანული პრემიის „კვადრიგას“ დამფუძნებლებმა უარი თქვეს იმაზე, რომ 2011 წლისათვის ეს პრემია რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინისათვის გადაეცათ, — იუწყება „ბი-ბი-სი“.

„კვადრიგას“ საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ საზოგადოებამ და მასმედიამ ჟიური ნომინანტებს შორის ვლადიმირ პუტინის დასახელებისათვის გააკრიტიკეს. ამასთან, ხსენებული პრემიის 2009 წლის მფლობელმა, ჩეხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა განაცხადა, რომ იგი უკან დააბრუნებს თავის პრემიას, თუკი მას რუსეთის პრემიერ-მინისტრსაც მიანიჭებენ. ევროპარლამენტარმა ვერნერ შულცმა პუტინისათვის „კვადრიგას“ გადაცემა „დაცინვად, პოლიტიკურ შეცდომად და პრემიის ლაურეატებისათვის სახეში შეფურთხებად“ შეაფასა.

ცნობისათვის: პრემია „კვადრიგა“ პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებს საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ სწრაფვისათვის ენიჭებათ.

აღნიშნული პრემიის მფლობელებს შორის არიან გერმანიის ყოფილი კანცლერები: ჰელმუტ კოლი და გერხარდ შროდერი, საბჭოთა კავშირის ექს-პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, ჩეხეთის ექს-პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი და ევროკომისიის თავმჯდომარე ხოსე მანუელ ბაროზო.

**მედიანიუსი**

## ჩეჩნეთში „ბოევიკების“ მორიგი ჯგუფის ლიკვიდაცია განხორციელდა

ჩეჩნეთში „ბოევიკების“ მორიგი ჯგუფის ლიკვიდაცია განხორციელდა.

როგორც სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება, ამის შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაცია ჩეჩნეთის მმართველმა რამზან კადიროვმა მიაწოდა.

— ბოევიკების ჯგუფი ურუს-მარტანოვსკის რაიონში იქნა განადგურებული. ერთ-ერთი ბოევიკის ვინაობა დადგენილია. იგი ბანდიტების იერარქიაში „ემირად“ წოდებული იუნადი ბატაევია, — განაცხადა კადიროვმა.

მისივე თქმით, ბატაევი 6 წელიწადზე მეტია, უკანონოდ შეიარაღებული ბანდ-ფორმირებების წევრია, რომელიც სამართალდამცველი ორგანოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მკვლელობის ბრალდებით იძებნებოდა.

**პირველი**

# რატომ იტანს საზოგადოება ამდენ უკანონობას?!

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან



***— ქალბატონო ნანა, ბოლო ერთი კვირა თქვენ საქართველოში არ ბრძანდებოდით. როგორ შეაფასებდით ფოტორეპორტიორების დაკავების ფაქტს? რა იყო ეს — პირადი ანგარიშსწორება?***

— ფაქტია, რომ ფოტორეპორტიორები აღმოჩნდნენ მსხვერპლი იმ პოლიტიკისა, რომელიც ქვეყანაში ტარდება. სამწუხაროა ის, რომ დღემდე საზოგადოებამ ვერ მოახერხა სამართლებრივად მათი გათავისუფლება, ანუ ხელისუფლება მისულიყო იმ დონემდე, რომ გამხდარიყო იძულებული, გაეთავისუფლებინა ეს უდანაშაულო ადამიანები. რაც მთავარია, ეს არის დანაშაული ხელისუფლების მხრიდან, ხელის შეშლა ჟურნალისტების საქმიანობისა და არა მარტო ხელის შეშლა, არამედ ამას მოჰყვა ის, რომ ისინი აღმოჩნდნენ უკანონო პატიმრობაში და საზოგადოება ამას ყველაფერს იტანს. ეს მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ რამდენიმე უკანონო პატიმარი გაჩნდა და დაემატა იმ უკანონობასა და უსამართლობას, რომელიც აქამდე იყო. ეს არის უკვე პირდაპირი განაცხადი ხელისუფლებისა, რომ ის არც ჟურნალისტების წინაშე დაიხევს უკან. ხელისუფლების ნაბიჯები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები შეზღუდულია, რომ ადამიანებს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება არ გააჩნიათ, რომ ფოტორეპორტიორები შეიძლება დაისაჯონ ისეთი ფოტოების გადაღებისთვის, რომლებიც ხელისუფლებას არ სიამოვნებს და არ სიამოვნებს პრეზიდენტს და მის გარემოცვას ამ ქვეყანაში. სწორედ ეს განაცხადი იყო ამათი დაპატიმრება. ახლა საზოგადოება თუ ამას შეეგუება და მიიღებს, რომ უნდა ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება თავისი პირადი პატიმრების ფაქტებს უშვებს, ეს უკვე ჩვენი ბრალია და არავის სხვისი.

***— თქვენ ბრიუსელში ბრძანდებოდით ვიზიტით. თუ გააჟღერეთ იქ ფაქტი და რა რეაქცია მოჰყვა ამას?***

— მიზანი იყო ის, რომ უშუალოდ შევხვედროდით იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს საქართველოს საკითხებით არიან დაკავებულნი, რომელთაც ძალიან ნაკლები ინფორმაცია გააჩნიათ იმის გამო, რომ ხელისუფლება უზარმაზარ თანხებს ხარჯავს, თუმცა, დღემდე უცნობია ის ლობისტური ჯგუფები, რომლებიც ხელისუფლების ლობირებას ახორციელებენ მსოფლიოში, რა ბიუჯეტით ფინანსდებიან და რატომ არ იცის ამის შესახებ საზოგადოებამ. ამის გარდა, ვინაიდან სერიოზული ლობისტური ჯგუფი მუშაობს ბრიუსელში, რომელიც ყალბ პიარს აკეთებს საქართველოს ხელისუფლების და ამაში ხელისუფლება იხდის უზარმაზარ თანხებს, ამის გამო იქ ძალიან ძნელად იგებენ სიმართლეს საქართველოს შესახებ. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ადამიანის ვიზიტს, შეხვედრას ნებისმიერ პირთან, რომელსაც რაღაც გავლენები აქვს ბრიუსელში და რომელიც დაკავებულია საქართველოს საკითხებით, რომ მათ ობიექტური და ფაქტობრივი მასალები მივაწოდოთ. როდესაც ჩვენ ამ რეპორტიორების დაკავების ფაქტზე ვესაუბრებოდით, მიუხედავად სერიოზული ლობირებისა ხელისუფლების, ყველა ერთხმად აღიარებდა იმას, რომ ეს უკვე სცილდება ყველანაირ დემოკრატიულ ჩარჩოებს და საქმე გვაქვს დიქტატურასთან, რომ ეს ავტორიტარული რეჟიმის ნათელი გამოხატულებაა. ეს ძალიან მძიმე აღსაქმელი იყო მათთვისაც კი, ვინც მოატყუეს თავიანთი ლობისტური ჯგუფების საშუალებით. ყველას ესმოდა, რომ ეს არის ხელისუფლების დანაშაული.

***— რამდენად ჩაერთვებიან კონკრეტულად ამ საქმეში?***

— მათ ყველაფერი დეტალურად აინტერესებთ, მათ შორის, სასამართლო პროცესი. ჩვენ ვთხოვეთ, რომ მათ მონიტორინგი ჩაატარონ ამ სასამართლო პროცესზე და მათ ეს დაინტერესება გამოთქვეს. მათ ეს თემა ძალიან აინტერესებთ და, მე ვფიქრობ, ამაზე აუცილებლად იქნება ადეკვატური რეაქცია.

***— საუბარია, რომ სააკაშვილის მხრიდან ეს იყო პირადი ანგარიშსწორება. თქვენც ფიქრობთ, რომ ასეა?***

— რა თქმა უნდა ასეა. მათ გადაიღეს ფოტოები, რომლებიც იყო სააკაშვილის მამხილებელი, მისი ყოფითი ცხოვრებისა და პოლიტიკის მამხილებელი იყო. აქედან გამომდინარე, სააკაშვილმა მოინდომა მათი დასჯა და ეს ადამიანები აღმოჩნდნენ გისოსებს მიღმა, თანაც, იმ საოცარი ბრალდებით, რომლითაც დღეს დაპატიმრებულნი არიან. რა შეხება ჰქონდათ მათ საიდუმლო დოკუმენტებთან და როგორ შეიძლება, რომ ისინი ყოფილიყვნენ აგენტები.

***— თუმცა, მათ ამის შესახებ აღიარებითი ჩვენებებიც დააწერინეს...***

— ისეთი პირობებია ციხეში შექმნილი, ისეთი ფორმებია ურთიერთობის ამ პატიმრებსა და საგამოძიებო ორგანოებით წარმომადგენლებს შორის, იქ ისეთი მეთოდებია წამების, ღირსების შემლახავი მოპყრობის, მუქარის, რომ ძნელად მეგულება ადამიანი, რომელიც შეძლებს ამ ყველაფრის გადატანას. იქ წარმოუდგენელი სისასტიკეა. ამაზე პირდაპირ ლაპარაკობს ეს აღიარებითი ჩვენებები, რომ იქ მართლაც ასეა. ამით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი საერთაშორისო ორგანოები. ამის თაობაზე თავის დროზე დაინტერესება გამოთქვა ცნობილმა ექსპერტმა მანჰედ ნოვაკმა. გაეროს მომხსენებელია წამებებზე ეს ადამიანი. მას უნდოდა განეხორციელებინა საქართველოში ასეთი პროექტი. ამაში ჩართული იყო ევროკავშირიც, მაგრამ ხელისუფლებამ ბოლო მომენტში მათ უთხრა უარი. უთხრეს, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის ეს პრობლემა, ჩვენ ვასრულებთ ევროსაბჭოს მოთხოვნებს და ეს იქნებ იქ განახორციელოთ, სადაც არის საჭიროო. ეს ინფორმაციები, რომ საქართველოში არის წამებები, ღირსების შემლახავი მოპყრობები, უცხოელი ექსპერტებისთვის ცნობილია და, აქედან გამომდინარე, უნდა განხორციელებულიყო ეს პროექტი, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ეს დაბლოკა. ერთი მხრივ, ეს აღიარებაა იმისა, რომ საქართველოში არის წამებები და ღირსების შემლახავი მოპყრობა.

***— ჟურნალისტთა ჯგუფი ვანო მერაბიშვილსაც შეხვდა, თუმცა, მისგან ვერაფერზე კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო...***

— ამითაც ხელისუფლებამ ჩაიწერა, ასე ვთქვათ, ქულა, რომ მიიღო ჟურნალისტები. ამ დროს რეალურად იქ არაფერი შედგა და ცალსახაა, რომ ასეთი ტიპის ხელისუფლებასთან არანაირი ურთიერთობა, არანაირი თანამშრომლობა არ შეიძლება. ამათ უნდა ელაპარაკო მხოლოდდამხოლოდ ძალის დემონსტრირებით. სხვას ესენი არ ცნობენ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა, როგორც დაჭრილი და სისხლისგან დაცლილი ადამიანი, ისეთი დაუძლურებულია. ამ დამანგრეველ პოლიტიკას ხელისუფლება მხოლოდ საზოგადოების კი არა, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგაც ღიად ატარებს. ის ატარებს ეკლესიის დაუძლურებისა და დაჩაჩანაკების პოლიტიკას. მან ეს პოლიტიკა საზოგადოებაში უკვე გაატარა და ხალხი ისეთი დაუძლურებულია, რომ ამ ძალის დემონსტრირებას უკვე ველარ ახერხებს. სწორედ ამით სარგებლობს ხელისუფლება, რომ იცის, მის ქმედებებს ვერ მოჰყვება ადეკვატური რეაქციები იმ ქმედებებზე, რასაც სჩადის. მათ მხოლოდ ერთი რამ იციან — როგორ შეინარჩუნონ ძალაუფლება და ეს ძალაუფლება დაფუძნებული უნდა იყოს ძალადობაზე, ძალმომრეობასა და შიშზე. ეს პოლიტიკა ტარდება დღეს, ამას ამკვიდრებენ, კაცთმოძულეობას, ძალმომრეობას და საზოგადოებაც უძლურია, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიოს. ერთადერთი ბერკეტი, მე მაინც მგონია, რომ არის ქვეყნის გარეთ და იქ არის საჭირო მუშაობა, იმათ უნდა გავაგებინოთ, რომ დღეს საქართველოს სჭირდება დახმარება. თუ ისინი ფიქრობენ, რომ საქართველო არის პარტნიორი ქვეყანა და მნიშვნელოვანი მათთვის, აუცილებლად უნდა დაეხმარონ ქართველ ხალხს და არა მის ხელისუფლებას.

***— ქალბატონო ნანა, თქვენ ეკლესია და მართლმადიდებლობა ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, რატომ გადადგა ხელისუფლებამ ასეთი არაპოპულარული ნაბიჯი? პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მაქვს მხედველობაში...***

— ხელისუფლება აღარ ერიდება არაპოპულარულ ნაბიჯებს, იმიტომ რომ მას არჩევნები გათვლილი აქვს არა მოსახლეობის განწყობაზე, თუ რამდენ ხმას მოიპოვებს, არამედ დაკავებაზე და იცის, რომ მილიონზე მეტი ხმა უდევს ჯიბეში გაყალბებული სიებით და საერთოდ არ აინტერესებს, საზოგადოება როგორ მოიქცევა. მან იცის, როგორ უნდა მოიქცეს არჩევნებში და როგორ უნდა დააყენოს მისთვის სასურველი შედეგი. აქედან გამომდინარე, არაპოპულარული ნაბიჯების მას უკვე აღარ ეშინია, იმიტომ რომ ქვეყანაში არ არის პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც შეძლებს პრინციპულობას, რომელიც შეძლებს, რომ თუნდაც აქტიური ბოიკოტი გამოუცხადოს ისეთ არჩევნებს, როგორსაც ხელისუფლება სთავაზობს მას. იცის, რომ ნებისმიერ არჩევნებში ეს ოპოზიცია ჩაერთვება და შექმნის ფასადს დემოკრატიულობისას. აქედან გამომდინარე, ეს არადემოკრატიული ნაბიჯები აღარ ადარდებს. იცის, რომ მაინც დადგება მისთვის სასურველი შედეგი. სწორედ აქედან გამომდინარე აღარ მოერიდა იმ არაპოპულარულ ნაბიჯსაც, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ განახორციელა და არა მარტო განახორციელა, არამედ, ჩირქიც კი მოსცხო საპატრიარქოს და დააბრალა ის, რაც საპატრიარქოს აზრადაც არ გაუვლია. დააბრალა ის, რომ სხვა რელიგიების დისკრიმინაციას ცდილობდა ვითომდა საპატრიარქო, რაც არის ძალიან ბოროტი ცილისწამება ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ეკლესიას კონკორდატის მიღების დროსაც ჰქონდა გაცხადებული, რომ ის არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს სხვა კონფესიების სტატუსს, პირიქით, ხელსაც შეუწყობს ამას. აქ არის პირდაპირი მნიშვნელობით დავა ქონებრივ საკითხებზე და ესეც ერთადერთ ეკლესიასთან არის ყველაზე მტკივნეულად დაკავშირებული. ამის შესახებ განაცხადა საპატრიარქომ, რომ ეს არის სომხური ეკლესია, რომლის მიმართაც არის სერიოზული პრობლემები ქონებრივ დავასთან დაკავშირებით და რომ ეს უნდა დარეგულირებულიყო იმ კომპენტენტური კომისიით, რომელზეც საუბარია დღემდე და სწორედ ამის შემდეგ მომხდარიყო ყველა საკანონმდებლო ცვლილება, რომ არ აღმოჩენილიყო ქართული მხარე დაზარალებული. უნდა ყოფილიყო ერთობლივი კომისია და ასეთ კომისიას გადაეწყვიტა. თუმცა, ხელისუფლებამ აქაც არა ქვეყნის ინტერესები, არამედ სხვა ქვეყნის ინტერესები დააყენა წინა პლანზე, გამომდინარე თავისი პირადი სარგებლობიდან. თქვენ იცით, რომ მათაც სერიოზული ლობი ჰყავთ მთელ მსოფლიოში და მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვერ შეძლო, კონკურენცია გაეწია საერთაშორისო დონეზე, რომელზეც ხელისუფლებამ თავისი სიტყვით მოიგო და თავისი ხეირი განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, მოხდა ის, რაც მოხდა. ეს იყო არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ ქართველი ხალხის საზიანოც.

***— არ მოხდა ამის განხილვა საზოგადოებაში...***

— დიახ, დაჩქარებული რეჟიმით, არანორმალური ტემპით მიიღეს ეს კანონი, რომ ხალხს რეაგირება ვერ მოესწრო ამაზე და პირდაპირ დაუპირისპირდა ხელისუფლება ეკლესიას. იქაც, რა თქმა უნდა, იყო მუქარები, ზეწოლები. გამოვიდა ინფორმაცია, თუ როგორ ზეწოლას ახორციელებდნენ სინოდის მსვლელობისას, რომ იქ სოსო თოფურიძე და კიდევ სხვები და სხვები სტუმრობდნენ საქართველოს საპატრიარქოს და ახორციელებდნენ იმ ზეწოლებს, რომლის შედეგიც ჩვენ დავინახეთ. თუმცა, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის პატრიარქის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს იყო მცდელობა მართლმადიდებელი ეკლესიის დამცრობისა. მე მგონია, რომ ეს ხელისუფლებას ვერანაირად ვერ გაუვა, თუმცა, მან ამ ნაბიჯით სწორედ ეს გააკეთა. დღეს ერთადერთი ავტორიტეტული ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში არსებობს და რომელსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნდობა აქვს, აი, ამ ინსტიტუტსაც შეებრძოლა სააკაშვილი იმისთვის, რომ დაანგრიოს.სააკაშვილმა კარგად იცის, რომ პატრიარქი არის ერთპიროვნული ლიდერი, რომელსაც მთელი ქვეყანა და საზოგადოება ენდობა. როგორც მართლმადიდებელი, ისე არამართლმადიდებელი მრევლი მის მიმართ ნდობასა და პატივისცემას გამოხატავს, განსხვავებით ჩვენი ხელისუფლებისგან და ესეც მის პირად ეჭვიანობას იწვევს. თუმცა, ეს ფარისევლური ხელზე მთხვევები და დაჩოქებები, რაც მთელმა საქართველომ იხილა სვეტიცხოვლის ტაძარში, თამაში, იქ ავტობუსებით მიშა მიშას მაძახებელი ხალხის მირეკვა და ასე შემდეგ, ეს მხოლოდ პიარისთვის უნდა სააკაშვილს, რომ ასე კია არა, ასეა. რეალურად კი ყველამ კარგად ვიცით, რა ბრძოლაც მიმდინარეობს იმისათვის, რომ ყველა ავტორიტეტი, რაც კი ქვეყანაშია, იყოს დამხობილი და განადგურებული, რომ ამ ფონზე უფრო მარტივად იჯეჯილოს ხელისუფლებამ.

## მუხათგვერდის სასაფლაოზე მისასვლელი გზა დაიმეწყრა

მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალი გზა რამდენიმე ადგილზე დამეწყრილია და ავტომანქანებს გადაადგილება უჭირთ. ზოგიერთ ადგილას ასფალტის საფარის ნაპრალების სიგანე 50 სანტიმეტრია.

სასაფლაოს მომსახურე პერსონალის განცხადებით, გზა ხშირად რემონტდება, თუმცა, სანიაღვრე სისტემის არ არსებობის გამო მუდმივად იმეწყრება.

დამეწყრილ ადგილებში ასფალტის საფარი ახალი დაგებული იყო, მაგრამ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები უკვე თითქმის მთლიანად განადგურებულია. ზგიერთ ადგილებში გზის მონაკვეთი დაბრეცილია და, სავარაუდოდ, იქ მეწყერული პროცესები განვითარდება. სასაფლაოს თანამშრომელთა თქმით, თუ საგზაო მაგისტრალზე სანიაღვრე სისტემა არ მოწესრიგდება, მალე სასაფლაოზე მისვლა შეუძლებელი გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ადლიის სანაპირო ზოლის გასამაგრებლად სამუშაოების ახალი ეტაპი დაიწყო

აჭარაში ადლიის სანაპირო ზოლის გასამაგრებლად სამუშაოების ახალი ეტაპი დაიწყო.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, წლების განმავლობაში, სანაპიროს ეს ნაწილი ქალაქსა და მოსახლეობას დიდ საფრთხეს უქმნიდა. მდინარე ჭოროხის შესართავიდან ინერტული მასალების ზღვაში შეტანით კი ბათუმის ახალ ბულვარსა და ადლიის დასახლებას ზღვა საფრთხეს ველარ შეუქმნის.

მიმდინარე წელს, ადლიის სანაპიროზე 100 000 კვტ. მეტრის ინერტული მასალის ჩაყრა იგეგმება. გეგმის მიხედვით, სამუშაოები, 2011 წლის 1-ელ დეკემბრამდე უნდა დასრულდეს.

აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დაკვეთით, პროექტს ტენდერში გამარჯვებული კომპანია “გზა“ ახორციელებს. სამუშაოების საერთო ღირებულება 419 000 ლარს შეადგენს. უახლოეს მომავალში, ნაპირგამაგრებითი სამუშაოები ქობულეთშიც დაიწყება.

**ინტერპრესნიუსი**

## დირექტორს სკოლის დოკუმენტაციის დაწვაში ადანაშაულებენ

განათლების სამინისტრომ ქუთაისის მე-15 საჯაროს სკოლის ყოფილი დირექტორის ნუნუ ცაავას საქმის შესწავლა დაიწყო. მას სკოლის დოკუმენტაციის დაწვაში ედება ბრალი. სამინისტროს შიდა აუდიტი სკოლაში მოკვლევას უკვე აწარმოებს.

ნუნუ ცაავა განათლების მინისტრის დიმიტრი შაშკინის ბრძანებით, რამდენიმე დღის წინ გაანთავისუფლეს. სკოლის პედაგოგები მას ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, გათავისუფლების შემდეგ, ყოფილმა დირექტორმა სკოლის ეზოში სკოლის დოკუმენტაცია დაწვა. მისი მტკიცებით, ეს ძველი უსარგებლო დოკუმენტები და უბრალოდ მაკულატურა იყო. პედაგოგები კი ამტკიცებენ, რომ მან ფინანსური მაქინაციების დამადასტურებლი დოკუმენტაცია დაწვა.

განათლების სამინისტროს განცხადებით, ცაავას საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია და ნებისმიერი კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საჯაროს სკოლის ყოფილი დირექტორი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება.

**მედიანიუსი**

## ნიკა გილაური ქართველ ბიზნესმენებს შეხვდება



პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დღეს ქართველ ბიზნესმენებს შეხვდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურში განუცხადეს, გილაური ბიზნესმენებს პერიოდულად ხვდება და ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებს აცნობს.

პრემიერ-მინისტრი ბიზნესმენებთან ეკონომიკური თავისუფლების შესახებ აქტით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებსაც გააცნობს. ეკონომიკური თავისუფლების შესახებ აქტი პარლამენტმა ცოტა ხნის წინ მიიღო. კანონი 2013 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ლეღვის ნაყენით გარუჯვის მცდელობის შედეგად მოზარდმა კანის დამწვრობა მიიღო

ლეღვის ნაყენით გარუჯვა კიდევ ერთმა მოზარდმა სცადა.13 წლის ბიჭმა სხეულის სერიოზული დამწვრობა სწორედ ლეღვის ნაყენით გარუჯვის შედეგად მიიღო. მან ლეღვის ფოთლის ნაყენი სხეულზე წაისვა და მზეზე დაწვა.

როგორც „მედიანიუსს“ დამწვრობის ცენტრში განუცხადეს, პაციენტის მდგომარეობა მძიმე არ ყოფილა, რის გამოც ის საავადმყოფოდან გუშინვე გაწერეს და სახლში აგრძელებს მკურნალობას.

სპეციალისტები მოსახლეობას გარუჯვის მიზნით სხეულზე ლეღვის ფოთლების ნახარშის წასმას უკრძალავენ.

ამ დროისთვის ლეღვის ნაყენით ხუთი ადამიანია დამწვარი, მათგან ორი რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობდა.

**მედიანიუსი**

# ანქვაბი, ხაჯიმბა თუ შამბა

## აფხაზეთის პრეზიდენტობისთვის სამი კანდიდატი იბრ ოლებს

თეა მარხვაი ე

**აფხაზეთში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატების რეგისტრაცია დასრულდა. აფხაზური მედიის ცნობით, საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაცია აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის ასარჩევად 2§ ივნისს დაიწყო. კანდიდატების წარდგენის ვადა, საარჩევნო კანონის თანახმად, დე ფაქტო არჩევნებამდე 49 დღით ადრე დასრულდა.**

საინიციატივო ჯგუფებმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სამი კანდიდატურა წარადგინეს. ესენი არიან აფხაზეთის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრ ანქვაბი, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი რაულ ხაჯიმბა.

გავრცელებული ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობა ცნობილ ოლიგარქ ბესლან ბუთბასაც უნდა მიეღო, თუმცა მან რატომლაც გადაიფიქრა.

მართალია, სამი კანდიდატურაა წარდგენილი, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კენჭს სამივე მათგანი იყრის. გამორიცხული არაა, ცესკომ რომელიმე მათგანი „დაბრაკოს“.

როგორც აფხაზური მედია იუწყება, ცენტრალური საარჩევნო კომისია ჯერ საინიციატივო ჯგუფების მიერ შეგროვებულ ხელმოწერებს გადაამოწმებს. ამის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატები აფხაზურ ენაში ტესტებს ჩააბარებენ.

აფხაზური კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტობის მსურველებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ აფხაზური ენა. სხვათა შორის, სწორედ ამის გამო არ მიიღო 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ანქვაბმა მონაწილეობა. მან უარი განაცხადა აფხაზურ ენაში ტესტის ჩაბარებაზე. შესაბამისად, ცესკომ ის პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირა.

წელს ანქვაბი ამ ტესტს, სავარაუდოდ, ჩააბარებს და, როგორც ამბობენ, წარმატებითაც, რადგანაც მან ძალიან კარგად იცის მშობლიური ენა და შესანიშნავ ლექსებს წერს.

სამივე კანდიდატი აფხაზეთში ავტორიტეტით სარგებლობს. გამარჯვების შანსი თითქმის სამივეს თანაბრად აქვს. მოსკოვს ჯერჯერობით არც ერთი მათგანის მიმართ არ გამოუხატავს ღია მხარდაჭერა.

აფხაზეთის პრეზიდენტობის მსურველებს ჩვენში ძალიან კარგად იცნობენ. აი, როგორი ბიოგრაფია აქვთ პრეზიდენტობის მსურველებს.

### სერგეი შამბა

დაიბადა 1951 წელს გუდაუთაში. ის აფხაზეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრად 2010



წლის 12 თებერვლიდან მუშაობს. მანამდე მას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. აფხაზურ დიპლომატიას შამბა წლების განმავლობაში ედგა სათავეში.

შამბა პოლიტიკაში 24 წლის ასაკიდან მოვიდა და მას შემდეგ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აქტიური მომხრე იყო. საგარეო საქმეთა მინისტრობამდე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მეთაური იყო, ხოლო აფხაზეთის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელის სახით წამყვანი ოპოზიციური მოძრაობის სათავეში იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში. ომის დროს მას აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა.

2004 წლის 14 ივნისს შამბა საგარეო საქმეთა მინისტრობიდან სკანდალურად გადადგა. მის გადადგომამდე ხუთი დღით ადრე მოკლეს გარი აიბა. ის შამბას მეგობარი იყო. შამბას გადადგომა უფრო მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა.

მან მართლაც იყარა იმ არჩევნებში კენჭი. ხმების 9,9%-ით ის მესამე ადგილზე გავიდა.

აფხაზეთში პრეზიდენტის გამოსავლენად მეორე ტური დაინიშნა. იქ ბაღაფშმა გაიმარჯვა და შამბა კვლავ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა.

### ალექსანდრე ანქვაბი

1952 წელს სოხუმში დაიბადა. 1974 წელს დაამთავრა როსტოვის იურიდიული ინსტიტუტი, სკკპ-ს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია.



აქვს იურიდიული განათლება და მრავალწლიანი კომკავშირული მუშაობის გამოცდილება.

1975-დან 1981 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის ასსრ-ის იუსტიციის სამინისტროში, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, კომკავშირის გუდაუთის რაიონის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუდაუთის რაიონის რაიონული განყოფილების უფროსად.

1981-დან 1983 წლამდე მუშაობდა თბილისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად, სოფლის მეურნეობის განყოფილების სამეცნიერო და ეკონომიკური ანალიზის სექტორის გამგედ, ადმინისტრაციული ორგანოების მმართველის მოადგილედ. 1984-დან 1990 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ აპარატს მინისტრის მოადგილის რანგში.

1991 წელს არჩეულ იქნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1992-1993 წლებში ვლადისლავ არძინბას მთავრობაში იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.1994-2000 წლებში ცხოვრობდა მოსკოვში, ეწეოდა ბიზნესს. სოხუმში დაბრუნებულმა დააარსა პირველი ოპოზიციური მოძრაობა „აიტაირა“.

2004 წელს მან არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო, თუმცა, დიდად არ დაზარალებულა. ის ბაღაფშმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა. ეს თანამდებობა მას 2009 წლამდე ეკავა. 2009 წელს მეორედ გაპრეზიდენტებულმა ბაღაფშმა ის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.

ალბათ, იშვიათად მოიძებნება ადამიანი აფხაზეთში, ვის წინააღმდეგაც ამდენი ტერაქტი განხორციელდა. 2005 წლიდან დღემდე ალექსანდრე ანქვაბზე ხუთი ტერაქტი განხორციელდა.

პირველად მას 2005 წლის თებერვალში თავს დაესხნენ. მის ესკორტს ცეცხლი გაუხსნეს. ასეთივე ვითარებაში განხორციელდა მასზე მეორე თავდასხმა 2005 წლის აპრილშიც. მის ავტომობილს მაშინ ცეცხლი გაუხსნეს ავტომატური იარაღიდან. ჯიპში დათვალეს 17 ნატყვიარი. თავად ანქვაბი არ დაზარალებულა, ჭრილობა მიიღო დაცვის მანქანის მძღოლმა.

მესამე თავდასხმა 2007 წლის ივნისში მოხდა, როცა აფხაზურმა ინტელიგენციამ განაცხადა, რომ აფეთქებული დისტანციური მართვის ნაღმის „ფუგასის“ სამიზნე ანქვაბი იყო.

მეოთხე თავდასხმა კი ყოფილ პრემიერზე იმავე წლის ივლისში განხორციელდა, როცა მის მანქანას ყუმბარმტყორცნიდან ესროლეს და შედეგად მან მცირე დაზიანება მიიღო ზურგის არეში.

გასული წლის 22 სექტემბერს დილის 04:00 საათზე აფხაზეთში სეპარატისტული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტზე თავდასხმა განხორციელდა. გუდაუთის რაიონში ალექსანდრ ანქვაბის ნათესავების სახლს, სადაც ვიცე-პრეზიდენტი ბოლო წლებია ცხოვრობს, ყუმბარმტყორცნიდან ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად ანქვაბი ყუმბარის ნამსხვრევებისგან ხელსა და ფეხში დაიჭრა.

როგორც თავად ანქვაბმა განაცხადა, უცნობების მიერ ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი ჭურვი იმ ოთახში შევარდა (სხვა ვერსიით, სახლის სახურავს მოხვდა), სადაც ეძინა. სროლის შედეგად სხვა არავინ დაშავებულა, დე-ფაქტო ვიცე-პრეზიდენტს კი აუცილებელი სამედიცინო დახმარება სახლის პირობებში ჩაუტარდა. მან უარი განაცხადა საავადმყოფოში გადაყვანაზე. აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის თქმით, ვიცე-პრეზიდენტზე თავდასხმა რესპუბლიკაში სიტუაციის დესტაბილიზაციისკენაა გამიზნული.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებული თავდასხმიდან დღემდე არც ერთი არ არის გახსნილი.

### რაულ ხაჯიმბა

რაულ ხაჯიმბა დაიბადა 1958 წელს ტყვარჩელში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ზეინკლად ტყვარჩელის თბოელექტროსადგურში. 1976-1978 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის ჰაერსაწინააღმდეგო თავ-



დაცვის ჯარებში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა კომკავშირის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტში.

1978-1979 წლებში მუშაობდა ზეინკლად სოხუმის რაიონში მდებარე დასასვენებლ სახლ „გუმისთაში“. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, 1984 წელს, მუშაობა დაიწყო სოხუმის ქიმიურ ქარხანაში იურისკონსულტად. 1985-1986 წლებში სწავლობდა მინსკის სუკ-ის სკოლაში უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის.

1986-1992 წლებში სუკ-ის ტყვარჩელის საქალაქო განყოფილების თანამშრომელია. აფხაზეთის ომის დროს, 1992-1993 წლებში, იყო სეპარატისტული ხელისუფლების სამხედრო დაზვერვისა და აღმოსავლეთ ფრონტის კონტრდაზვერვის უფროსი. სამხედრო დამსახურებისთვის დაჯილდოებულია ლეონის ორდენით.

ომის დამთავრების შემდეგ, 1993-1995 წლებში, მუშაობდა სეპარატისტული აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განყოფილების უფროსად.

1996-1998 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის კონტრაბანდასთან ბრძოლის განყოფილების უფროსად მუშაობდა. 1998-1999 წლებში სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა. 1999-2001 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე და, იმავდროულად, პირველ ვიცე-პრემიერი იყო.

2001-2002 წლებში იყო აფხაზეთის პირველი ვიცე-პრემიერი. 2002-2003 წლებში — თავდაცვის მინისტრი და პირველი ვიცე-პრემიერი, 2003 წლიდან კი□აფხაზეთის პრემიერ-მინისტრიც გახდა.

2005 წელს, რუსეთის მოთხოვნით, არჩეულ იქნა აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტად. ის პუტინის პროტეჟე იყო. 2004 წლის არჩევნების წინ პუტინმა მას გენერლის სამხრეები პირადად დააბნია, მაგრამ ამაოდ. აფხაზებმა პუტინის ნებიერას ბაღაფში არჩიეს.

# ლადო პაპავა: საქართველო რუსეთს, ბელორუსსა და სინგაპურს ენათესავება

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებსა და ეკონომიკურ პრობლემებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, **ლადო პაპავას** ესაუბრა.

***— ბატონო ლადო, ფოტორეპორტიორების ჯაშუშობის ბრალდებით დაკავების თემა კვლავ აქტუალური რჩება. ჟურნალისტები კოლეგების დასაცავად აქტიურობენ. მათ წარმომადგენლებს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილიც შეხვდა. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ფოტორეპორტიორების სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, უმოკლეს ვადებში გაიმართება და მცირე ნაწილის გარდა, პროცესი ღია იქნება. ჟურნალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სასამართლოს სწორედ ის ნაწილი იქნება დახურული, რომლის განსაიდუმლოებას ჟურნალისტები ითხოვენ. თქვენი ვარაუდით, რით დასრულდება ფოტორეპორტიორთა საქმე?***

— რით დასრულდება, ამაზე პასუხის გაცემა მიჭირს, მაგრამ მთავარი სხვა რამეა. მე მივეკუთნები საქართველოს მოქალაქეთა კატეგორიას, რომელთაც, ის არგუმენტები, რომელიც შსს-მ ამ ფოტორეპორტიორთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ მათი ბრალეულობის დასამტკიცებლად გამოაქვეყნა, არც საკმარისად და არც დამაჯერებლად მიაჩნია. საბანკო ანგარიშებზე სატელეფონო საუბარი სულაც არ ნიშნავს ფოტორეპორტიორთა ჯაშუშურ საქმიანობას. ლეგალური ტრანსფერები ჯაშუშურ საქმიანობასთან არათავსებადია.

დღეს, როცა მთელ მსოფლიოში ანტიტერორისტული საქმიანობაა გაჩაღებული, ბანკები ვალდებული არიან მსხვილი გადარიცხვების შესახებ ინფორმაცია ეროვნულ ბანკს წარუდგინონ. ამიტომ, თუ ეს ფოტორეპორტიორები მართლაც ჯაშუშობდნენ, ძნელად წარმოსადგენია, რომ მათ საბანკო ანგარიშებით მიეღოთ გარკვეული თანხები. მით უფრო, რომ ქართული საბანკო კანონმდებლობა გადარიცხვებზე კონტროლს არეგულირებს.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, პასუხი ერთმნიშვნელოვანი არ არის და აი რატომ! მართალია, არ გამკვირებია, რომ ნაციონალური სატელევიზიო არხების ჟურნალისტებს (თუ კი მათ ჟურნალისტები უნდა ერქვათ, თუნდაც ამ კონკრეტული საქმის გამო!) ფოტორეპორტიორებისათვის სოლიდარობა არ გამოუხატავთ, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალისტთა დიდმა ნაწილმა მათ საკმაოდ სოლიდური თანადგომა გამოუცხადა. ამ თანადგომას რეზონანსი მოჰყვა. ქართველი ჟურნალისტების აქტიურობამ მუხტი უნდა მისცეს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროკავშირს, აშშ-ს, ხოლო მათი ჩართულობა კი ფოტორეპორტიორების საქმეს უნდა წაადგეს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ სასამართლო დარბაზიდან თუ ყველა არა, ერთი მაინც გათავისუფლდეს. დასავლეთს ჟურნალისტთა წინააღმდეგ ნებისმიერი რეპრესიული აქტის განხორციელებაზე ძალიან სერიოზული რეაქცია აქვს. თუ ჟურნალისტები კოლეგების მხარდაჭერას გააგრძელებენ, შესაძლოა, ფოტორეპორტიორების მომავალთან დაკავშირებით მთლად პესიმისტურად არ ვიყოთ განწყობილი. თუ სასამართლოზე სამართალდამცავებმა ფოტორეპორტიორების ბრალდებებთან დაკავშირებით დამაჯერებელი ფაქტები წარმოადგინეს, მაშინ დასავლეთი ხელისუფლებას არ „მიაწვება“...

***— ევროსაბჭოს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებთა დაცვის საკითხებში, ბატონმა ჰამარბერგმა საქართველოში არსებულ ვითარებაზე თავის უკანასკნელ მოხსენებაში საქართველოში პოლიტიკური დევნის ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება. ჰამარბერგის კრიტიკულ მოსაზრებებზე ხელისუფლებას ასე პასუხობს - ევროპელ ადამიანის უფლებების დამცველებს ინფორმაციას ქართველი ადამიანის უფლებების დამცველები აწვდიან და, შესაბამისად, ის, რაზეც ჰამარბერგი და სხვებიც საუბრობენ, „სინამდვილეს მთლად არ შეესაბამება“. თქვენი აზრით, ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით რამდენად მძიმე ვითარებაა ქვეყანაში?***

— საქართველოში ადამიანის უფლებების მასობრივად დარღვევა ახალი ამბავი არ არის და მას სულ ცოტა, შვიდი წლის ისტორია აქვს. საკმარისია გავიხსენოთ3სატელევიზიო დაჭერები, როცა ადამიანებს ღამე, ღამის საცვლებში აპატიმრებდნენ და ტელევიზიით აჩვენებდნენ. ადამიანის უფლებების დარღვევა საქართველოში ქონების ჩამორთმევითა და ახალგაზრდა ადამიანების მოკვლით გამოიხატებოდა. სხვათა შორის, მათი მკვლელები პრაქტიკულად დღესაც დაუსჯელები არიან. ასეთი შემთხვევა ქვეყანაში საკმაოდ ბევრი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამგვარ ფაქტებზე დასავლეთი ადრე თვალს ხუჭავდა და დიდად ყურადღებას არ აქცევდა. მოგვიანებით ამ თემაზე კრიტიკული ჩანაწერები გაჩნდა როგორც აშშ-ის სახელმწიფო სეპარტამენტის, ისე ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში. დღეს ეს ტალღა იზრდება. ეტყობა დასავლეთი საქართველოსთან მიმართებაში გამოფხიზლების პროცესშია. ქვეყნის განვითარებისთვის ჩვენ დათვური სამსახური არ გვჭირდება. ჩვენ ჯანსაღი კრიტიკა გვესაჭიროება. ჯანსაღი კრიტიკა რეალობას უნდა ეფუძნებოდეს და რეალობა შელამაზებული არ უნდა იყოს. სულაც არ არის გასაკვირი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არასამთავრობო სექტორის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობიან. ისინი ამით არ იფარგლებიან და ძირითადად საქართველოს სახალხო დამცველის მასალებს ეყრდნობიან.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ ქართული ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით, ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს ეყრდნობოდნენ და

გაგრძელება მე-13 გვერდზე

# ადამიანებმა ნამუსი დაკარგეს

## რამ დააწერინა „მე ავი“ ტატა ახალაიას

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ მწერალ ტატა ახალაიასთან

*— ქალბატონო ტატა, როგორც მწერალს და როგორც ქალს რამ გადაგაწყვეტინათ, დაგეწერათ ნაწარმოები, რომელსაც დაარქმევდით „მეძავს“?*

— უკვე რამდენიმე წელია თბილისში ვცხოვრობ და ქართველი ქალის ის ღირსება ვერ დავინახე, რომელიც ოდითგანვე ჰქონდა მას, რაც გამიგონია, ჩემს მშობლებს უთქვამთ ან მინახავს. ისე არ გამიგოთ, თითქოს ამას ყველას მიმართ ვამბობ. მხედველობაში მაქვს ის მომენტები, როდესაც ქართველი ქალი დგას ქუჩაში — სანაპიროზე, ცირკთან და სხვა ადგილებში. დასამალი არ არის, რომ ბინებშიც არის გამოყოფილი ადგილები, რომელსაც ადამიანი აქირავებს. იქ ხვდებიან ისეთი ქალები, რომლებსაც ბევრად შელახული აქვთ ღირსება. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი ქალის გაცნობაზე ოცნებობდნენ.

*— ქართველ ქალში ულირსობად მაინც რა მიგაჩნიათ?*

— ულირსობად მიმაჩნია უსიყვარულოდ, დღეში რამდენიმე მამაკაცთან შეხვედრა. ნამდვილი, ღირსეული სიყვარულის დიდი მოტრფიალე ვარ (ჩემი ნაწარმოებები უმეტესწილად სიყვარულზეა) და არა ისეთის, დღეს ერთი უნდეს, ხვალე — სხვა.

*— დღეს ერთი უნდეს, ხვალე — სხვა, თმობდეს გაყრისა თმობასა... ე.ი. თქვენ არ ხართ ე.წ. თავისუფალი სიყვარულის მომხრე?*

— თავისუფალ სიყვარულში მე ვგულისხმობ იმას, რომ ქალი უსიყვარულოდ ხვდება მამაკაცს...

*— იქნებ ეს სიყვარულიც არ არის?*

— ეს სიყვარული კი არა, ქალის ფიზიკური შეურაცხყოფაა. ქალი თავის თავს აყენებს ყველაზე დიდ შეურაცხყოფას. როცა შენ ევაჭრები, 100-150 ლარად გაგყვებიო, ეს შეურაცხყოფაა, რომლის მსგავსი (აფხაზეთში გაზრდილი და ძირძველი სოხუმელი ვარ) იშვიათად გამიგონია. იქ ვიცოდით, ვინ იყო ასეთი. ისინი თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. ახლა კი, ქუჩაში რომ მიდიხარ, ყველაფერი თვალში გხვდება.

*— ქუჩაში თვალში მაინც რა გხვდება?*

— ქუჩაში ქალი მამაკაცს ელაპარაკება და გესმის, მოლაპარაკება მიდის, როდის შეხვდება ის დღეს საღამოს, რამდენს გადაუხდის. ეს არის ყველაზე დაბალი დონე, ადამიანის დაცემა, იგივეა, ადამიანმა აგიყვანოს და სადღაც ისეთ ადგილზე ჩაგიშვას, იქიდან ვერ ამოხვიდე. იქ შეიძლება თქვათ, ვაიმე, საწყალი, დაიღუპა, რა ცოდვა იყოო, მაგრამ, აქ როცა ეს გესმის, ვერ იტყვი, ვაიმე, საწყალი, როგორ ვაჭრობს, რა მოუვიდა ასეთიო. ასეთს, პირიქით, ზიზღით შეხედავენ. მათ შორის, მეც ზიზღით შევხედავ.

*— ზოგი ასეთ საქმიანობას (თუ შეიძლება, ამას საქმიანობა ეწოდოს) თავის სამუშაოს ეძახის.*

— ეს არ არის მუშაობა. ეს არის ნამუსის დაკარგვა, ადამიანობის დაკარგვა. სამარცხვინო, რბილად ნათქვამია.

*— შეიძლება, თქვენმა ასეთმა საუბარმა გარკვეული კატეგორიის ქალების უკმაყოფილება გამოიწვიოს.*

— რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ, მოყვარეს პირში უზრახეო. მე მათი მტერი არ ვარ. პირიქით, არ მინდა, მათი შემყურე ახალგაზრდობაც გაფუჭდეს. ახალგაზრდობაც ძალიან ცუდ გზაზე დგას. ახალგაზრდობა რომ ხედავს, მასზე უფროსი ქალი ქუჩაში დგას და კლიენტს ელოდება, გაჩერდება თუ არა მანქანა, 5-10 კაცი მივარდება და მძღოლს ეუბნება, წამიყვანე, რამდენად წამიყვან, მოვილაპარაკოთო. არ ვიცი, რა მოუვა შემდგომში საქართველოს, თუ ამ პრობლემას ჩვენმა მთავრობამ არ მოუარა.

*— ამ პრობლემას მთავრობამ როგორ უნდა მოუაროს?*

— წამიკითხავს, რომ დავით აღმაშენებელი საღამოს თავისი ამალით გადიოდა ქალაქში, წაიღებდა ფულს, დადიოდა ქუჩაში და გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარებოდა. თავისი თვალით აკვირდებოდა, სად ცხოვრობდა ხალხი, გაჭირვებულს მაქსიმალურ დახმარებას უწევდა, რათა ის შემდეგ ქუჩაში არ დამდგარიყო.

*— გინდათ, მთავრობამ ცირკთან, სანაპიროზე, სადგურთან ჩამოიაროს და, ვინც ფულის საშოვნელადაა გამოსული, ფული ჩამოურიგოს, რომ სამარცხვინო საქციელი არ ჩაიდინოს?*

— არა. მთავრობამ, ამათ რომ დაინახავს, აღრიცხვაზე უნდა აიყვანოს და მათი ოჯახური სიტუაცია გაიგოს, როგორ ცხოვრობენ, რა პირობები აქვთ, რამ აიძულათ, სხეულის გასაყიდად გასულიყნენ.



*— რამ აიძულა ეს ადამიანები, ასეთ გზას დასდგომოდნენ?*

— უმრავლესობა ეკონომიკურმა მდგომარეობამ აიძულა, ქუჩაში გამოსულიყო. მატერიალურმა სიდუხჭირემ, გამწარებულმა ცხოვრებამ ბევრი სუსტი ნებისყოფის ქალი დაღუპა. ამიტომ ამაზე, უპირველესად, მთავრობამ უნდა იზრუნოს. მთავრობის წევრის ოჯახში ხუთი ადამიანი რომ ცხოვრობს და ხუთი მანქანა ჰყავს — ჯიპები, ხოლო მეორე ოჯახში საჭმლის ფული არ აქვთ, ამაზე ქვეყნის მეთაურმა, მთავრობის წევრებმა, დეპუტატებმა უნდა იფიქრონ — უცხოელებს არ დაანახვონ, რომ ქართველი ქალები ქუჩაში დგანან — ზოგი მათხოვრობს, ზოგი კი სხეულს ყიდის.

*— ამბობენ, რომ ქართველი ქალები ხშირად საქართველოში კი არა, უცხოეთში ეწევიან მაგ საქმიანობას.*

— კი ბატონო, არ არის დასამალი, რომ ასეა. არაფერი იმალება. თურქეთის ციხეებში უამრავი თავგადაპარსული ქართველი ქალი ზის. როდესაც თურქეთი და არაბული სამყარო გვიტევდა, მათ ძალიან უნდოდათ, ქართველი ქალი გაეცნოთ, ენატრებოდათ მათი გაღიმება, მათთან დაკავშირება. ქართულ ფილმებში რამდენი მაგალითია, ქალი თავს იკლავს, სიცოცხლეს თმობს, მაგრამ მოწინააღმდეგეს, მტერს არ ნებდება. ახლა ჩვენ ჩვენი ნებით იქით მივდივართ. რატომ? თუ საქართველო თამარ მეფის დროს 9 თუ 12 მილიონი ვიყავით, ახლა რატომ ვართ ასე მცირე? ამბობენ, 5 მილიონი ვართო, მაგრამ აქედან მილიონ-ნახევარი გასულია. რატომ უნდა ნახოს უცხოელმა, მაგალითად, ამერიკელმა, იტალიელმა, ესპანელმა ქართველი ქალი ქუჩაში? რატომ უნდა იყოს ქართველი ქალი თურქეთში ისეთ საქმიანობაში ჩაბმული? ბოლო პერიოდში ჩვენი ქალები ნარკოტიკების გასაღებაში ჩაებნენ და ისეთ ადგილებსაც მისწვდნენ, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე არიან. რატომ არ უნდა აწუხებდეს ეს პრობლემა ჩვენს მთავრობას, ძალიან მიკვირს. ასე რატომ შეელახა ღირსება ქართველ ქალს? ბოლო პერიოდში ქართველმა ქალებმა ოჯახები მიატოვეს და წავიდნენ ლუკმა-პურის საშოვნელად. რამდენ ოჯახს ვიცნობ, მამაკაცები თავიანთ ცოლებს აცილებენ თურქეთში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში. იციან, რისთვის მიდიან ისინი. მამაკაცი რჩება სახლში. რას ნიშნავს ეს?

*— ოჯახში როლები შეიცვალა? რამდენად ნორმალურია, როცა მამაკაცი ცოლს აცილებს სავაჭროდ ან სამუშაოდ, ფულის საშოვნელად, ხოლო თვითონ სახლში რჩება?*

— ეს სამარცხვინოა. მამაკაცი ოჯახში იყო, როგორც ფესვმაგარი მუხა და ისე ზრდიდა შვილებს. წარმოიდგინეთ, შვილები მამას რჩება მოსავლელად. ზოგი დიდია, 16-17 წლის. იციან, რომ დედა უცხოეთში წავიდა სამუშაოდ. ერთს ვკითხე, სად არის დედაშენი-მეთქი? თურქეთშია წასული, იქ მუშაობს, ავადმყოფს უვლისო. შვილს ასე უთხრეს, მაგრამ გულის სიღრმეში იმ გოგონამ შეიძლება იცის, რომ დედამისი ...

*— არ გჯერათ, რომ ავადმყოფს უვლის?*

— რამდენი უნდა ეძლეოდეს მომვლელს, რომ ოჯახი მთლიანად დააკმაყოფილოს — აკმაროს ქმარს, შვილებს; ერთ შვილს ინსტიტუტში ასწავლოს? მეორეს სკოლაში. შეიძლება, თურქეთი ძალიან მდიდარი ქვეყანაა და კარგად უხდიან. ღმერთმა ქნას, მაგრამ... ზოგი მომვლელად წავიდა და მერე სხვა საქმიანობაზე გადავიდა. მოდით, დავსვათ კითხვა: რა გუნებაზე არიან აქ დარჩენილი შვილები? მამა მეზობლებთან ნარდს თამაშობს, არ მუშაობს, ხოლო დედა წასულია თურქეთში და წვალობს. ჩემმა ნათესავმა მითხრა, თურქეთიდან გადმომცეს, რომ თურქეთში ქართველ ქალებს გულზე გადმოკიდებული აქვთ აბრა, სადაც აწერიათ: „ვყიდი ჩემს თავს“. არ მჯეროდა, მაგრამ, როცა პირადად ჩემი თვალით ვნახე, აბრაზე როგორ ეწერა, ვყიდი ჩემს თავს ამდენად და ამდენადო, დავრეტიანდიო.

*— რას ამბობთ?*

— ჩემი ნათესავი იყო წასული კვალიფიკაციაზე და მითხრა, რომ დავინახე, ქართველი ქალები იდგნენ, აბრები ჰქონდათ გაკეთებული და ეწერათ, ჩემს თავს ვყიდიო, დავრეტიანდი, ღმერთო, ეს რა ვნახე, აქ აღარ წავალ სამსახურში, იმ წუთში განცხადება დავწერე და საქართველოში დავბრუნდიო.

*— ქალი იყო?*

— დიახ. შემრცხვა, როგორ შემეხედა ჩემი კოლეგებისთვისო. მე რამდენიმე მაგალითმა დამაფიქრა. რა ეშველებათ იმ 16-17 წლის გოგონებს, სამაგალითოდ ჩვენს ქალებს განსაკუთრებულ ადგილებში რომ ხედავენ? ჩემმა ნათესავმა ბიჭმა მიამბო, მინდოდა, მენახა, რა ხდებოდა — სანაპიროზე მანქანით გავიარე, შევაჩერე მანქანა, გავაღე კარი, გოგონები გამოიქცნენ და მომესალმნენ. ერთი ისეთ ვულგარულ ფორმაში იყო, ვუთხარი, რა ფორმაშიც ხარ, გგონია, ასეთ ფორმაში და ასეთი საუბრით მომეწონები-მეთქი? რა, არ მოგწონვარო? რამდენი გინდა? 100დოლარიო. უბედურება ისაა, გარეგნობით კარგი გოგო ხარ, სულიერად კი ცუდი. გვარი არ დაუმალავს, მითხრაო.

*— სახელსა და გვარსაც არ მალავენ?*

— არა. გოგო დარწმუნდა, ისე ვუყურებდი, წავიყვანდიო. გვარი და სახელი რომ მითხრა, ძალიან გავბრაზდი და გავლანძღე, შენ კუთხის შემარცხვენელო, შე არაადამიანო, როგორ არცხვენ დედაშენსა და მამაშენს, რას აკეთებ, აქ მაგისთვის ჩამოხვედიო? არა, მე აქ უნივერსიტეტში ვსწავლობ, ჩემს მშობლებს არ აქვთ იმის საშუალება, გადასახადი გაისტუმრონო. მინდოდა, ჩავსულიყავი და სახეში კარგად გამერტყა, მაგრამ დავინახე, იქით პატრული იდგა და შევჩერდი. შევაგინე, თან შევპირდი, გამოვივლი და, თუ აქ დამხვდები, ვაი შენი ბრალიო. თუ მშობლებს სწავლის საფასურის გადახდა არ შეუძლიათ, მაშინ შვილებს უნივერსიტეტში სასწავლებლად ნუ უშვებენ. სჯობს, კოლეჯი დამთავროს, დაბრუნდეს თავის ოჯახში, გათხოვდეს და კარგი ოჯახი შექმნას, ვიდრე აქ მეძავი იყოს.

*— შეიძლება, ასეთმა ადამიანებმა თქვან, ვინ ჰკითხავს ქალბატონ ტატას, ამას რომ ლაპარაკობსო...*

— შეიძლება, უარესებიც თქვან, მაგრამ ქალბატონ ტატას ისეთი ისტორია აქვს, ისე გავზარდე ორი ქალიშვილი, ისე იზრდებიან ჩემი შვილიშვილები... როგორც მწერალს, როგორც ქალს, გული მტკივა, რომ საქართველოში გოგონა, ქალი ასეა დამცირებული.

*— ამიტომ დაარქვით თქვენს რომანს „მეძავი“?*

— „მეძავი“ ნამდვილ ამბავზეა აგებული. მე ვიცნობდი ქალბატონს, რომელსაც ჰყავდა სამი შვილი, მათ შორის, ერთი გოგონა. გოგონა უფროსი იყო. ქალბატონი გარდაიცვალა. დარჩა სამი ბავშვი. მეუღლესთან გაშორებული გახლდათ. ბავშვები გასაზრდელად მისი ძმის ცოლმა წაიყვანა. გოგონა 15-16 წლის იყო, ბიჭები — უფროსები. ისინი რუსეთში წავიდნენ და იქ დაიწყეს მუშაობა. რუსი ცოლები მოიყვანეს, შემდეგ გაშორდნენ, მაგრამ ქურდობა და ნარკომანობა არ დაუწყიათ. თუმცა, ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ნამდვილი ოჯახი არ ჰქონდათ. ის გოგონა ბიცოლასთან იზრდებოდა. მის მეზობლად მასზე ერთი წლით უფროსი ბიჭი ცხოვრობდა. ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, სკოლაშიც და სახლშიც.

დადგა ისეთი მომენტი, როცა ბიჭი ეუბნება, მე შენ ძალიან მიყვარხარ და შენთან სექსუალური ურთიერთობა მინდაო. ისეთი პერიოდია მათთვის, გასაკვირი არაფერია.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ვაჟაობა ჩარგალში იზეიმეს

ეკა ირემაშვილი

ვაჟა-ფშაველას 150-ე დაბადების დღე მის მშობლიურ ჩარგალში მისმა შთამომავლებმა საქართველოს მოსახლეობასთან ერთად იზეიმეს. დუშეთის რაიონში ერთი დღით ავიდნენ „სუხიშვილები“, ახმეტელის თეატრი, ქართველი მოდელები და ვაჟას შთამომავლები.

საზეიმო ღონისძიება სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრმა გახსნა. თეატრის დასმა წარმოადგინა სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი სპექტაკლი, რომელმაც ვაჟა-ფშაველას დაბადება გააცოცხლა, სუხიშვილებმა კი „სამოსელი პირველის“ მიხედვით შექმნილი კოსტიუმები მოირგეს და მოდელებად იქცნენ. „სამოსელი პირველმა“ მთის კოსტიუმები შეკრიბა და მოცეკვავეებს მოარგო. კოსტიუმების წარდგენის პარალელურად, სუხიშვილებმა ვაჟა-ფშაველას დაბადების დღეზე ფარიკაობის სპეციალური ვერსიაც წარმოადგინეს, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის შეიქმნა. ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლობა და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო.

მთის არწივად წოდებული ვაჟა-ფშაველას ნამდვილი სახელი და გვარი ლუკა რაზიკაშვილია. მან XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არაერთი შედევრი შექმნა. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. იგი სხვადასხვა დროს სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, გორის საოსტატო სემინარიაში. იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი.

ვაჟა-ფშაველამ თავის შემოქმედებაში ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა განახორციელა — ეროვნული ეპოპეა შექმნა. ქართველ პოეტთა შორის ის ყველაზე ღრმად ჩასწვდა ბუნების საიდუმლოებას. ვაჟას ნაწარმოებები პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ვაჟა-ფშაველა კრებდა და აქვეყნებდა ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებს. ქართული ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკისათვის ფასდაუდებელია მისი წერილები. დაძაბულმა ფიზიკურმა და შემოქმედებითმა ცხოვრებამ ვაჟა-ფშაველას ჯანმრთელობა ძალიან შეარყია. იგი თბილისში, წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში (დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში) ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ვაჟა-ფშაველა თავდაპირველად დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, 20 წლის შემდეგ კი მისმა ნათლულმა, დიდმა ქართველმა მწერალმა გიორგი ლეონიძემ და „ცისფერყანწელებმა“ მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს. 1961 წელს, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი დაბადების 100 წლისთავი მთელ მსოფლიოში საზეიმოდ აღინიშნა. ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით დიდი სამზადისია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ის კაბინეტი ვაჟა-ფშაველას სახელს შეიძენს, სადაც პოეტი და მწერალი გარდაიცვალა.

2011 წელი იუნესკომ ვაჟა-ფშაველას წლად გამოაცხადა. მისი დაბადებიდან 150-ე წლისთავთან დაკავშირებით უკვე არაერთი ღონისძიება გაიმართა. მომავალში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებაა დაგეგმილი. თბილისის №33 ბიბლიოთეკასთან არსებული „სამკითხველო და სამოგზაურო ზონის“ ინიციატივით შედგა ლიტერატურული საღამო „ჩემი ვაჟა“. საღამოს გამართვამდე წიგნის კლუბის წევრებმა რუსთაველის თეატრში ნახეს სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“, რომელიც ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს მიეძღვნა. ლიტერატურული საღამო „ჩემი ვაჟა“ შოთა რუსთაველის თეატრის, წიგნის კლუბის „სამკითხველო და სამოგზაურო ზონისა“ და ვაჟა-ფშაველას შთამომავლის ლელა რაზიკაშვილის აქტიური მხარდაჭერით გაიმართა. სპექტაკლში მსახიობები ლევან ხურცია, ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი იღებდნენ მონაწილეობას. ლიტერატურულ საღამოზევე შედგა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების თარგმანის ქართულიდან ინგლისურად პრეზენტაცია, რომელიც ლელა რაზიკაშვილმა და მთარგმნელმა ნინო რამიშვილმა გამართეს.

რაზიკაშვილების შთამომავალმა ვახო ტონია-რაზიკაშვილმა კი გასულ წელს რაზიკაშვილებს წიგნი მიუძღვნა, „ჩრდილი და აჩრდილი“ — ახალ კრებულში შესულია მწერლის ვაჟის ვახტანგ რაზიკაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები და მწერლის მამის ქადაგებანი. ამ წიგნზე ვახო ტონია-რაზიკაშვილი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა. როგორც წიგნის ავტორმა განაცხადა, ორი წელი ფიქრობდა იმაზე, გამოეცა თუ არა ეს წიგნი. კრებული გამომცემლობა „საარმა“ გამოსცა.

— ამაზე დიდხანს ვფიქრობდი, იმიტომ რომ ბაბუამ, ვაჟას შვილმა, თვითონ არ მოინდომა ლექსების გამოქვეყნება. არ ვიცი, მგონი, სწორად მოვიქეცი. მკითხველისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრება და შემოქმედება. ეს წიგნი ყველამ აუცილებლად უნდა წაიკითხოს. ამ კრებულში ბევრი უცნაური რამ არის თავმოყრილი, — აცხადებს წიგნის ავტორი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კი საგანგებო კონკურსი გამოაცხადა — „საუკეთესო სიმღერა ვაჟა-ფშაველას ლექსებზე“. კონკურსი უკვე დასრულდა და მასში მონაწილეობის სურვილი 30-მდე ადამიანმა გამოთქვა. ვინაიდან იუნესკომ ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლის იუბილე საერთაშორისო მნიშვნელობის საიუბილეო თარიღების ნუსხაში შეიტანა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცემა რჩეული ნაწარმოებების სამტომეული (პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა). იუნესკოსთან ერთად მზადდება გამოსაცემად კატალოგი „ვაჟა-ფშაველა 150“.

ვაჟა-ფშაველას ლექსებზე შექმნილი სიმღერებისთვის გამოცხადებული კონკურსის მიზანია საკომპოზიტორო შემოქმედების სტიმულირება, მისი აქტივიზირება და

გაგრძელება მე-12 გვერდზე

# ადამიანებმა ნამუსი დაკარგეს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ამ ბიჭმა გოგო დაპატიჟა, წავიდეთ ტყეში, რალაც მოვკრიფოთ და მოვიტანოთო. გოგოსაც ძალიან უყვარდა და წავიდნენ. ერთი დიდი მუხა იდგა და იმ მუხის ქვეშ დასხდნენ. ბიჭი ეუბნება, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ისიც ეუბნება, მეც მიყვარხარო და გადაეხვივნენ ერთმანეთს... დაბრუნდნენ სახლში. ბიცოლასთვის არ უთქვამს, რა მოხდა, რადგან ის ქალი გაგიჟდებოდა. გავიდა ორი კვირა, ბიჭი საერთოდ აღარ აკითხავს. ის ბიჭი მთიელი იყო, აქ დეიდასთან ცხოვრობდა. გოგომ დაურეკა და უთხრა, წავიდეთ, იმ მუხის ძირში დავსხდეთ, სალაპარაკო მაქვსო. წავიდნენ. ეს გოგო დანაღვლიანებულია, რადგან მიხვდა, რაც გააკეთა. ბიჭს უთხრა, ჩვენი ურთიერთობა რა იყო იმ დღეს, სიყვარული იყო თუ რაო? ბიჭმა უთხრა: არაფერი. ეს იყო შემთხვევითობა. ჩემი სურვილიც იყო და შენიცო.

— ***რამდენად გამართლებულია ბიჭის ასეთი ქცევა?***

— 17 წლის ბიჭს დიდკაცობას ვერ მოვთხოვთ. ეს ნამდვილი ამბავი ავსახე ჩემს ნაწარმოებში. აქ მე ბუნება ავამოქმედე. ის გოგო უსუსური ბიჭის წინაშე. ბუნება ამოქმედდა, ქარი ამოვარდა, ხის ტოტი მოტყდა, ჩამოვარდა და ამ ბიჭს თავში დაეცა. ბიჭი მოხვდა საავადმყოფოში. სოფლიდან ბიჭის დედაც ჩამოვიდა. გოგო სახლში შეწუხებული დაბრუნდა. ბიცოლამ იცოდა, რომ ისინი მეგობრობდნენ. ბიცოლამ შეამჩნია, რომ გოგოს არ ეძინა და მთელი ღამე ტიროდა, რატომ ხარ ასე დაღონებული, ბიჭს ექიმები უმკურნალებენ და მალე დაბრუნდებაო. სხვა პრობლემა ხომ არ გაქვსო. არაო, არ გაუმხილა. ის ბიჭი დედამ თიანეთში წაიყვანა ისე, რომ გოგოს არ დამშვიდობებია. ცოტა ხნის შემდეგ გოგო იძულებული გახდა, ბიცოლასთვის გაემხილა, რაც მოხდა — უთხრა, რომ ორსულად იყო. ბიცოლასთვის ძალიან დიდი ტრაგედია იყო. მას შვილი არ ჰყავდა და ამას ზრდიდა. ბიცოლამ გოგოს აბორტი გააკეთებინა და ამ პრობლემისაგან გაათავისუფლა. ბიჭმა უთხრა, რომ ვერც ცოლად მოიყვანდა და ვერც ბავშვის მამობას აღიარებდა. გოგო განშორებას საშინლად განიცდიდა, მაგრამ რა უნდა ექნა. საშუალო სკოლა დაამთავრა. სკოლა რომ დაამთავრა, ცოტა ურჩი გახდა, ხან ერთ ამხანაგთან რჩებოდა, ხან მეორესთან. ბიცოლამ უთხრა, ან დამემორჩილე, ან აქედან წადი, როგორ შეიძლება ღამის 2-3 საათზე მოსვლა, სირცხვილია, მეზობლები იყურებიანო. გოგომ უპასუხა, სკოლა დავამთავრე, მე უკვე დამოუკიდებელი ვარ და შენგან წავალო. ბიცოლა გაბრაზდა და უთხრა, წადიო. ის ისეთ გოგონებს დაუახლოვდა, ვინც ცირკთან და სანაპიროზე იდგნენ. გოგომ უთხრა ბიცოლას, ხომ ხედავ, რა ჩექმები მაცვია — 1500-დოლარიანი, როგორი კაბა მაქვს, როგორი სამაჯური და ოქროულობა მიკეთია, იმიტომ რომ იმ ცხოვრებით ვცხოვრობ, ისინი მაფინანსებენო. ძალიან ლამაზი გოგო იყო და მეძავი გახდა. ერთმა კაცმა ოროთახიანი ბინა უყიდა. ჩაცმულ-დახურული დადიოდა, რა გინდა, სულო და გულო, რომ არ ჰქონოდა.

გავიდა 20 წელი. მისი სილამაზე ცოტა დაიკარგა. ისეთმა ურთიერთობამ, იქ დგომამ, ზედმეტმა ენერგიის ხარჯვამ, სულიერი სიმშვიდის დარღვევამ ძალიან შეცვალა — ავად გახდა. ექიმები ეუბნებოდნენ, სიმსივნე გაქვსო, მაგრამ ის მაინც მიდიოდა შეხვედრებზე. თუ ადრე დღეში 5-6 კაცს ხვდებოდა, ახლა ზოგჯერ ერთსაც ვერ პოულობდა.

ერთხელაც გოგო ცირკთან იდგა, ძალიან უფერული, მოწყენილი. უკვე მეტასტაზები აქვს. ამ დროს ვილაც ძალიან კარგი მანქანით მივიდა. კაცმა მანქანა გააჩერა თუ არა, ხუთმა ქალმა მიირბინა. ესეც მივიდა. თუმცა, ის უკან იდგა, ხოლო ახალგაზრდები და ლამაზები — წინ. ძალიან შეცვლილი იყო, გოგიმ ქალი უმალ იცნო, ჩამოვიდა მანქანიდან, მივიდა და უთხრა: თინიკო, გამარჯობა. გოგონებმა იფიქრეს, ეს კაცი თინიკოს ძველი საყვარელიაო და გაეცალნენ. ასეც იყო. — მიცანი? თინიკომ თავი დაუქნია. კაცმა ხელი მოჰკიდა, ჩემთან წამოდიო. მანქანის კარი გააღო და მანქანაში ჩასვა. ჩემს ბინაში წამოდი, ბინა ვიყიდე და დროებით აქ ვცხოვრობო. 20 წელი საბერძნეთში ვცხოვრობდი, იქ ცოლშვილი მყავს და დიდი ბიზნესიც მაქვსო. თინიკო ხმას არ იღებდა, იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის გოგისთან შეხვედრა. შერცხვა, ამ მდგომარეობაში ქუჩაში მდგარი რომ ნახა. აღარ იყო ის თინიკო, როგორიც მაშინ. ბიჭმა ოთხოთახიან ბინაში შეიყვანა, სულო და გულო, რა გინდა. გოგიმ მოსამსახურეს დაურეკა, სუფრა გაგვიწყვეო. გოგი ეუბნება თინიკოს, რატომ ხარ ასე მოწყენილი, ჩემი ნახვა არ გაგიხარდაო? მოსამსახურე ქალმა სუფრა გაუწყო. თინიკოს, ეტყობა, შიოდა და საჭმელი შეჭამა. ეუბნება, თინიკო, მომიყევი შენი ცხოვრების განვლილი გზის შესახებ 20 წლის განმავლობაშიო. თინიკომ უთხრა, მე ისე არ მოგიყვები, შენ რომ გინდაო და მისი განვლილი ცხოვრება თეატრალურად წარმოუდგინა. ჩემმა საყვარელმა თეატრალურ ინსტიტუტში შემიყვანა. მესამე კურსამდე მივედი, შემდეგ ის სხვა სახელმწიფოში წავიდა, მე კი აქ დავრჩიო. თეატრალურად, სპექტაკლის სახით წარმოგიდგენ, შენ მე როგორ გამწირეო. ქალი წამოდგა და თქვა: სპექტაკლის სათაურია „მეძავი". ერთმოქმედებიანი პიესა. მაყურებელო, კარგად მისმინე... თინიკო თეატრალურად მოყვა, როგორ შეხვდნენ, როგორ დაშორდნენ, როგორ დაიწყო ამხანაგების მეშვეობით უკუღმართ გზაზე სიარული. არ დაუმალავს, თავზესაყრელად რომ ჰყავდა კლიენტები, რომლებსაც ძალიან უყვარდათ, ხელისგულზე ატარებდნენ, ურეკავდნენ. ერთი რომ გვერდით მეჯდა და დროს ვატარებდი, მეორე მირეკავდა. ვეტყოდი, 2-3 საათის შემდეგ მოდი-მეთქი, მაგრამ, როცა ავად გავხდი (ერთი ოპერაცია გამიკეთეს, კიდევ მეორე ოპერაცია უნდა გამიკეთონ), ახლა ბინა უნდა გავყიდო, რომ ვიმკურნალო, უკვე მეტასტაზები მაქვსო. თავისი ცხოვრების ინსცენირება რომ დაამთავრა, უთხრა, ახლა გაიგე, რა გამიკეთე, სიცოცხლე როგორ მომისპე, გამანადგურე, უბედური ვარ, დამმარხველი არ მყავსო. უპატრონო რომ ვიყავი, ის მეყოფოდა, ეს რატომ გამიკეთე. შენ მითხარი, ეს შემთხვევითობა იყო და არა სიყვარულიო. ამით გამწარებული, შემთხვევითობას გავყევი და ასე გავატარე დრო. შენ კიდევ ოჯახი შექმენი. ერთხელ მაინც როგორ არ მომიკითხავდი, შენ რომ ადამიანი ყოფილიყავიო. გოგი იჯდა თავდახრილი და არაფერს ამბობდა. ბოლოს წამოდგა, ხელი მოჰკიდა და უთხრა: ყველაფერში დამნაშავე ვარ. ახლა შემიძლია, დაგეხმარო და გიმკურნალო, ყველაფერს გაგიკეთებო. ჯიბიდან 5 ათასი დოლარი ამოიღო, მაგიდაზე დადო და უთხრა, წავედი, ჩემა ცოლ-შვილმა იცის, რომ დღეს საბერძნეთში უნდა დავბრუნდე, მაგრამ, შენ იმის უფლება გაქვს, ნებისმიერ დროს დამირეკო, ჩამოვფრინდები და მხარში დაგიდგები, რომ ის ცოდვა, რომელიც მე მადევს, ჩემს შვილებზე არ გადავიდესო. თინიკომ უპასუხა, ძალიან მეეჭვება, რომ ღმერთმა შენ ეს გაპატიოსო. ასე წამოდგა ორივე, გოგიმ თინიკო თავის ბინაში მიაცილა. როგორ მდგომარეობაში იქნებოდა, ქალები ვართ და, ალბათ, გავიგებთ. თინიკო ნერვიულობის ფონზე ცუდად გახდა — თვითონ ასე დაჩაგრული, ასეთი ულირსი რომ გახდა, ის ბიჭი კი როგორ დაფრინავს ცხოვრების მაღალ საფეხურებზე. თინიკოს ჰყავდა მეგობარი, კობა, ძალიან პატიოსანი ადამიანი იყო, ხშირად ჭკუას არიგებდა. თინიკომ კობას წერილი დაუტოვა, სადაც ეწერა, მე სასწრაფო მყავს გამოძახებული, იმიტომ რომ სისხლდენა მაქვს, ონკოლოგიურში მივდივარ, ვიცი, რომ ვერ დავბრუნდები. ამ ბინას გიტოვებ და ქუჩაში არ დამაგდო, დამმარხეო. კობა 2-3 დღის შემდეგ მოვიდა თინიკოს ბინაში. გასაღები ჰქონდა, შევიდა და ნახა წერილი. კობამ წერილი წაიკითხა და დახია, კედელზე თინიკოს ახალგაზრდობის სურათი ეკიდა, ჩამოხსნა და თქვა, მე შენი არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ იცოცხლოო და წავიდა. 2 დღის შემდეგ თინიკოს ონკოლოგიურში მიაკითხა. იქ უთხრეს, თინიკოს ცხედარი ახლა მორგში გადაიტანესო. თინიკო კობამ გაასვენა. ეს ნამდვილი ამბავი ასე დამთავრდა, რომელიც მე რომანში გამოვიყენე.

— ***რამდენად სწორად მოიქცა ბიცოლა, როცა აბორტი გააკეთებინა? იქნებ, შვილი რომ გაეჩინა, ამ გზას არ გაჰყოლოდა. ბიცოლა არ დაუდგა მხარში პატარა გოგოს, რომელიც დაუფიქრებლობით შეცდა. აბორტის გაკეთება გამოსავალი იყო?***

— მართალია, აბორტის გაკეთება გამოსავალი არ იყო, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ბიცოლა ფიქრობდა, ამ ბავშვსაც მომიგდებს და ჩემი გასაზრდელი იქნებაო.

— ***ხომ შეიძლებოდა, შვილის ყოლის შემთხვევაში, ამ გზას არ გაჰყოლოდა, ან იმ ბიჭს ეპატრონა?***

— იმ ბიჭმა იცოდა, რომ ორსულად იყო.

— ***თინიკომ აბორტი გაიკეთა, რატომღა უპატრონებდა?***

— აბორტის გაკეთება ბიჭს არ გაუგია.

— ***ბიცოლა რატომ იყო დარწმუნებული, რომ შვილსაც მიატოვებდა?***

— ბიცოლა ვერ დარწმუნდა, რომ ეს გოგო სწორ გზას დაადგებოდა. ბიცოლა იყო, დედა ხომ არა. დედას შეუძლია, შვილს თავი შესწიროს.

# „ნატახტარმა" ეროვნულ ნაკრებს 50.000 დოლარი გადასცა

**კომპანია „ნატახტარმა" 15 ივლისს, 20:00 საათზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრა გამართა და „ბორჯღალოსნებს" შეპირებული ჯილდო გადასცა.**




„ნატახტარის" წარმომადგენლობა დაპირებული იყო, თუ საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასის საგზურს მოიპოვებდა, საქართველოს რაგბის კავშირის სპონსორი „ნატახტარი კასრი" მათ ბონუსის სახით 50.000 დოლარს გადაცემდა. ცხადია, საქართველოს ნაკრებს მსოფლიო თასის საგზურის მოპოვება არ გასჭირვებია და არც „ნატახტარს" დაურღვევია თავისი პირობა. ბონუსის გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი „ქორთიარდ მარიოტში" შედგა, „ბორჯღალოსანთა" მსოფლიოს თასისთვის მზადების ბოლო ეტაპის, საფრანგეთის შეკრებაზე გამგზავრებამდე.

ღონისძიებას დაესწრნენ კომპანია „ნატახტარის", საქართველოს რაგბის კავშირისა და ქართული სპორტული მედიის წარმომადგენლები. ცერემონიალზე რაგბის კავშირის წარმომადგენლებს გადაეცათ ზემოთ ხსენებული თანხის სპეციალური ჩეკი.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:**

— ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ პროცესში მონაწილეობა, რასაც ქართული სპორტისა და კერძოდ, რაგბის საერთაშორისო წარმატება წარმოადგენს, რადგან ჩვენი კომპანია ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას სწორედ ისეთი სპორტული სახეობების მხარდაჭერით ცდილობს, როგორიცაა რაგბი. მინდა ვუსურვო ჩვენს გუნდს წარმატება ახალ ზელანდიაში და იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი ეს მოკრძალებული საჩუქარი დაეხმარება ბორჯღალოსნებს უკეთესი შედეგების მიღწევაში. რაგბის კავშირთან და საქართველოს ნაკრებთან ურთიერთობა 2009 წლიდან დავამყარეთ, რადგან რაგბი ყველაზე წარმატებული სპორტული სახეობაა საქართველოში. იმედია, მათი წარმატებით მომავალშიც გახარებული ვიქნებით და ჩვენი თანამშრომლობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ნიკოლაიშვილის შემდეგ სიტყვა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ აიღო და იმედი გამოთქვა, რომ ლუდსახარშ „ნატახტართან" თანამშრომლობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

— 2009 წელს, როდესაც ძალიან გვიჭირდა, თანადგომა პირველმა „ნატახტარმა" გაგვიწია და ეს კომპანია დღემდე ერთგულად გვიდგას მხარში. ფაქტია, სპორტი კერძო სექტორისა და ბიზნესის გარეშე ვერ გაძლებს. იმედია, ჩვენი ურთიერთობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება და სურვილი გვაქვს კომპანია „ნატახტართან" შემდეგ 4-წლიან ციკლშიც გვქონდეს ურთიერთობა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული რაგბის განვითარებისა და ეროვნული გუნდის მომავალი წარმატებისთვის, — განაცხადა გიორგი ნიჟარაძემ.

საბოლოო სიტყვა **ნაკრების კაპიტანს ირაკლი აბუსერიძეს** ხვდა წილად:

— ჩვენმა პრეზიდენტმა ყველაფერი თქვა, რისი თქმაც შეიძლებოდა.



მე მთელი გუნდის სახელით მადლობას ვუხდი „ნატახტარს" გვერდზე დგომისთვის. ვეცდებით, ჩვენი თამაშით საქართველო და „ნატახტარი" ვასახელოთ, — დაამატა აბუსერიძემ.

ამის შემდეგ ოფიციალური ცერემონიალის დრო დადგა, რომელსაც მთელი სარაგბო ნაკრები ესწრებოდა, მთავარი მწვრთნელის, რიჩი დიქსონის მეთაურობით. ჯერ აბუსერიძემ „ნატახტარის" წარმომადგენელ თორნიკე ნიკოლაიშვილს საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური და ბურთი გადასცა, რომლებზეც „ბორჯღალოსანთა" ხელმოწერები იყო აღბეჭდილი, მერე კი აბუსერიძემ და გიორგი ნიჟარაძემ 50.000-დოლარიანი ჩეკი ჩაიბარეს, რომელიც ნაკრების საკეთილდღეოდ დაიხარჯება.

საერთოდ, კომპანია „ნატახტარი" სპორტის სამყაროში თავისი სიტყვით გამოირჩევა და აქტიურად არის ჩართული მიმდინარე პროცესში, ამიტომ ნიკოლაიშვილს კიდევ რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

— ***რამდენად წარმატებული და მისაღებია კომპანიისთვის, იყოს საქართველოს სარაგბო ნაკრების სპონსორი?***

— რაგბს საქართველოში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და პოპულარობითაც გამოირჩევა. ეს არის წარმატებული სპორტი, რომელსაც ჯენტლმენები თამაშობენ. ამიტომ, კომპანიისთვის მისაღებია იყოს ისეთი ნაკრების სპონსორი, როგორიც საქართველოს ნაკრებია.

— ***ნაკრების გარდა, საქართველოს რაგბის კავშირსაც სპონსორობთ. გია ნიჟარაძემ განაცხადა, რომ სურვილი აქვს თქვენი თანამშრომლობა კიდევ 4-წლიანი ციკლით გაგრძელდეს. თქვენს გეგმებშიც თუ ზის იგივე?***

— არც ჩვენ ვიქნებით წინააღმდეგი თუ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება. თუმცა, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან რაგბის კავშირთან თანამშრომლობა 2013 წლამდე გვაკავშირებს.

— ***საქართველოს ნაკრებს შეპირებული ჯილდო გადაეცით, რომელიც მსოფლიოს თასის საგზურისთვის მოიპოვა. უკვე ახალ ზელანდიაში წარმატებული თამაშისთვის კომპანია ხომ არაფერს დაპირებია მორაგბეებს?***

— მართალია, საქართველოს ნაკრებს წარმატებულ თამაშს ვუსურვებთ, მაგრამ ჯერჯერობით, დაპირება არ გაგვიკეთებია. თუმცა, როგორც ყოველთვის, ყველაფერი სპონტანურად ხდება. შესაძლოა, ბიჭებმა ისე ითამაშონ ახალ ზელანდიაში, რომ უფრო მაღალი ბონუსითაც დავასაჩუქროთ.

— ***„ნატახტარი" აქტიურად არის ჩართული ქართული სპორტის სამყაროში და სპორტის რამდენიმე სახეობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობს.***

— რაგბის კავშირისა და სარაგბო ეროვნული ნაკრების გარდა, კონტრაქტები არის ფეხბურთის, კალათბურთისა და მკლავჭიდის ფედერაციებთან და ეროვნულ ნაკრებებთან. საერთოდ, სპორტი კერძო სექტორისა და ბიზნესის დახმარებას ითხოვს და ჩვენც შეძლებისდაგვარად ვაკეთებთ იმ საქმეს, რაც ქართულ სპორტს წაადგება.

— ***თქვენი თანამშრომლობა უფრო პოპულარულ სპორტის სახეობებთან შედგება. ხომ არ არის გეგმებში სხვა, უფრო არაპოპულარული სპორტის სახეობების დახმარება და წინ წამოწევა?***

— რაღაც გარკვეულ ნაბიჯებს ვდგამთ. თუნდაც იმით, რომ წელს თანამშრომლობა დავიწყეთ მკლავჭიდის ფედერაციასთან, რომელიც პოპულარობით ვერ დაიკვეხნის. თუმცა, გეტყვით იმასაც, რომ 4 ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების სპონსორობა ცოტა არ არის და ამიტომ ჯერჯერობით, სხვა გეგმები არ გვაქვს.

დასასრულს, „ნატახტარმა" ნაკრების წევრებისთვის და დამსწრე საზოგადოებისთვის „ქორთიარდ მარიოტის" დარბაზში ალაფურშეტი მოაწყო.

# ვანო ჯავახიშვილს ძეგლი დაუდგეს

ეკა ირემაშვილი

ცნობილ იუმორისტსა და დემოკრატიის შუქურას ვანო ჯავახიშვილს მშობლიურ უბანში, თემქის ცენტრში, საპატრულო პოლიციის შენობის წინ ძეგლი დაუდგეს წარწერით „ვანო ჯავახიშვილი — თემქის შუქურა“.

ამ ამბავმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგმა ეს სიახლე რეალობად მიიღო და ვანოს ქანდაკებაში აღბეჭდვა გააპროტესტა, მთავრობის ჯამბაზს სიცოცხლეშივე რომ ძეგლი დაუდგეს, ვაი ჩვენს პატრონს, რა ქვეყანაში გვიცხოვრიაო, ზოგმა იუმორისტის ასე წარმოჩენა იუმორშივე მიიღო და დაბოლმილებს ურჩია, გაატარეთ, მთავრობა ამაზე უარესებს გვიშვრება და აბა ვანოს ძეგლი აქ რა მოსატანიაო.

არსებული სხვადასხვა ვერსიიდან საზოგადოება ორ ვერსიაზე შეჩერდა — პირველი ვერსიით ვანოს ეს საჩუქარი ნანუკა ჟორჟოლიანმა სპეციალურად „ნანუკას შოუსთვის“ მოუწყო, მეორე ვერსიით კი ამ ქანდაკების ავტორი ვინმე თემქელი ახალგაზრდა მოქანდაკეა, რომელმაც სამხატვრო აკადემიაში დასაცავი დიპლომის თემად სწორედ ვანოს პიროვნება არჩია.

თავად რა ვერსიებს ფლობს ვანო ჯავახიშვილი, ნახა თუ არა ქვაში გადატანილი საკუთარი თავი, მოსწონს თუ არა ნამუშევარი და რა ბედი ეწევა ძეგლს, ამის შესახებ თავად ვანო ჯავახიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ვანო ჯავახიშვილი, იუმორისტი:**

— ძეგლი უკვე ვნახე. ის ჩემს მშობლიურ უბანში, თემქაზე დგას.

— *მოგეწონათ?*

— არა.

— *რატომ?*

— რა ვიცი. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?

— ***სხვადასხვა ვერსია ვრცელდება — თითქოს ნანუკა ჟორჟოლიანმა გაჩუქათ, თითქოს სამხატვრო აკადემიის თემქელმა სტუდენტმა სადიპლომო ნამუშევარი შექმნა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***



— ნანუკას შოუში ვიყავი სტუმრად. ყველამ კარგად იცის, რომ ეს გადაცემა წინასწარ იწერება და წინასწარ იდგმება ყველაფერი. ეს ბიუსტიც მაშინ დადგეს. ყველაფერი დროებითია, აბა, მართლა ბიუსტს ხომ არ დამიდგამენ? ინტერნეტში ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი აბსურდი წავიკითხე.

— ***მაინც რა?***

— თითქოს მერაბიშვილმა დამიდგა.

— ***თუ ეს სიცრუეა, მაშინ საპატრულო შენობის წინ რატომ დგას?***

— იცით, პოლიციის წინ რატომ არის ეს ბიუსტი? თემქის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი არის ეგ. სხვა ადგილას ვერსად დადგამდით, იმიტომ რომ თემქას სხვა ცენტრალური ადგილი, უბრალოდ, არ აქვს.

— ***ვანო, რა მოხდა რეალურად?***

— სინამდვილეში ეს იყო ნანუკა ჟორჟოლიანის საჩუქარი ჩემთვის. ეს დროებითია და მერე მოვხსნით. იცით, რომ ნანუკა თავის გადაცემაში მიწვეულ ყველა სტუმარს რაღაც საჩუქარს ჩუქნის და მე ასეთი რამ მაჩუქა.

— ***ელოდით ასეთ საჩუქარს?***

— არა, გაგებაში არ ვიყავი. სამშაბათს რომ უყურებთ ნანუკას შოუს, ყველა ნახავთ, როგორი ფორმით მოხდა ამ საჩუქრის გადაცემა.

— ***საზოგადოება ამ ფაქტმა ძალიან გაანაწყენა...***

— ძალიან გავბრაზდი, როცა ამ ფაქტთან დაკავშირებით ინტერნეტში კომენტარებს ვკითხულობდი. ბევრი მართლა სხვანაირად ფიქრობს ყველაფერს. მეგონა, რომ იუმორის კუთხით გაიგებდა ხალხი. დაფიქრდნენ, რა, ცოტა იუმორი ხომ უნდა ჰქონდეთ? ჯერ ერთი, რატომ უნდა ვიყო ბიუსტის ღირსი, თან ამ ასაკში, აი, მართლა არ მესმის. მეორეც, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ხალხო, რა დროს ჩემი ბიუსტია!

— ***რა ბედი ეწევა „თემქის შუქურას“?***

— ავიღებთ ალბათ სამ დღეში.

— ***და თქვენ წაიღებთ სახლში?***

— ეს ჯერჯერობით არ ვიცი.

# ვაჟაობა ჩარგალში იზეიმეს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

საუკეთესო ნიმუშის წარმოჩენა; საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება ვაჟა-ფშაველას პოეზიის მიმართ. კონკურსის ამოცანაა: ქართული მუსიკის პრესტიჟის ამაღლება, მისი ესთეტიკური ღირებულებების გაზრდა და სოციალური მნიშვნელობის გაფართოება; ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების გამოვლენა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის პოპულარიზაცია; პროფესიული მუსიკისადმი მსმენელთა ყურადღების გამახვილება, ახალგაზრდა თაობაში მის მიმართ ინტერესის გაღვივება; ნიჭიერ ხელოვანთა დაფასება და მათ მიერ ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის სახალხო აღიარება.

რაც შეეხება კონკურსის პირობებს, მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა კომპოზიტორსა და სიმღერის ავტორს; პრემია გაიცემა დახურული კონკურსის საფუძველზე; საკონკურსო ნაწარმოები არ უნდა იყოს შესრულებული და გამოცემული; კონკურსი დახურულია; ავტორის ვინაობა აღნიშნული იქნება ცალკე, დახურულ კონვერტში დევიზით; კონვერტი გაიხსნება მხოლოდ პრემიის გაცემის შემთხვევაში; იმისათვის, რომ ნაწარმოებს კონკურსში მონაწილეობა მიეღო, იგი მის ავტორს უნდა გაეგზავნა აუცილებლად კლავირი ორ ეგზემპლარად და სასურველია დამატებოდა სიდი აუდიოჩანაწერით. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო სასიმღერო ჟანრის ნებისმიერი მიმართულების ნაწარმოები (კლასიკური, საესტრადო, ეთნო).

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად — პირველი ტურის შედეგად ჟიურის მიერ შეირჩევა საუკეთესო ნაწარმოებები მეორე ტურისათვის. მეორე ტურში ფარული კენჭისყრის საფუძველზე ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს. კონკურსის ჟიურის წევრებად მოწვეული იქნებიან ცნობილი ქართველი კომპოზიტორები, შემსრულებლები, მუსიკათმცოდნეები. ჟიურის წევრებს უფლება არ აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. პრემია განისაზღვრება 3000 ლარის ოდენობით თითოეულ გამარჯვებულზე.

კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის პარალელურად, უკვე მიმდინარეობს მუშაობა ახალ კრებულზე, რომელშიც ვაჟა-ფშაველას 10 საუკეთესო მოთხრობა ორ ენაზე — ქართულად და ინგლისურად — შევა. კრებულისთვის ილუსტრაციებს ცნობილი ქართველი მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი შექმნის.

რეჟისორი რუსუდან შაიშმელაშვილი უკვე მუშაობს ფილმზე, რომელიც მთლიანად ვაჟა-ფშაველას პიროვნებას მიეძღვნება. რეჟისორმა უკვე გადაიღო ფილმი მიხა ხელაშვილზე. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, რომ მორიგი ფილმი იუბილარ ვაჟა-ფშაველაზე ყოფილიყო. ფილმის შექმნის პროცესში მას აქტიურ დახმარებას უწევს ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი. ფილმში მთავარი დატვირთვა სუხიშვილებზე იქნება. სწორედ ამიტომ ფილმის მხატვრულ მხარეზე ნინო სუხიშვილიც ზრუნავს.

„საუკეთესო სიმღერა ვაჟა-ფშაველას ლექსებზე“ გამარჯვებულები სექტემბერში დასახელდებიან. საუკეთესო სიმღერები შესრულდება ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, ამ თარიღის მასშტაბურად აღნიშვნა და სახალხო ზეიმის მოწყობა თავისი დოლითა და ლუდის ხარშვით კი ჩარგალში სექტემბრის პირველივე შაბათს — 3 სექტემბერს არის დაგეგმილი.

# წმინდა ნინოზე ფილმს გადაიღებენ

ეკა ირემაშვილი

ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოზე და მის ცხოვრებაზე საქართველოში მხატვრულ ფილმს გადაიღებენ. ფილმის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა გია კერესელიძემ უნდა შექმნას.

მისი უწმინდესობის თხოვნით მთავარი როლი — წმინდა ნინო — არაპროფესიონალმა მსახიობმა უნდა ითამაშოს, თანაც ერთი პირობით — ამ როლის შემდეგ ის კინოს აღარასოდეს უნდა დაუბრუნდეს და სხვა როლები აღარ უნდა განასახიეროს.

წმინდა ნინოს როლის შემსრულებელზე შემოქმედებითი ჯგუფი შესარჩევ კონკურსს აცხადებს. სამი დღის განმავლობაში, 18, 19 და 20 ივლისს, სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმში“ ფილმის ავტორები წმინდა ნინოს როლის განსახიერების მსურველებს ელოდებიან, მხოლოდ ერთი მოთხოვნით — ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე. შეზღუდულია გოგონათა ასაკიც — 18-დან 25 წლამდე.

წმინდა ნინოს ცხოვრებაზე შესაქმნელი ფილმის დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ამ ეტაპზე ფილმის ავტორთა კონსულტაციები საპატრიარქოში მიმდინარეობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ახალ მხატვრულ ფილმს ერქმევა „ნინო“.

ფილმის რეჟისორი გია კერესელიძე უკვე 24 წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს. იგი ანიმატორია, ამიტომ მხატვრული ფილმი წმინდა ნინოზე მისთვის დებიუტია. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გია კერესელიძე კინოკომპანია „მეტრო გოლდ მაიერმა“ მიიწვია, სადაც არაერთი მულტიპლიკაციური ფილმი შექმნა და თავადაც არაერთი ჯილდო მოიპოვა. 2007 წელს გია კერესელიძემ თავისი ანიმაციური ფილმი „ჰოუფი“ კანის კინოფესტივალზე წარადგინა, ამჯერად კი რეჟისორი მხატვრულ ფილმზე იწყებს მუშაობას, რომელიც ყველა იმ ადგილს მოივლის, სადაც წმინდა ნინო თავისი მოღვაწეობისას იმყოფებოდა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● დაინტერესებულ პირებს გთავაზობთ საგურამოში, საუკეთესო ადგილას, თანამედროვე 3-სართულიან სახლს, იაფიანი სასტუმრო-პანსიონის მოსაწყობად. ტელ: 599 90 63 40.

● იყიდება ავტომანქანა „ნისან პატრული“, 1996 წელს გამოშვებული, 2.8 ტურბო დიზელი, კარგ მდგომარეობაში, მექანიკური გადაცემის კოლოფი, წითელი ფერის. ფასი 6000 დოლარი. ტელ: 599 90 11 95. გიორგი.

● იყიდება საოჯახო ბალონებში გაზის გასამართი ცისტერნა, 5 ტონის ტევადობის, რუსეთში ქარხნული წესით დამზადებული, კარგ მუშა მდგომარეობაში. ფასი 2000 დოლარი. ტელ: 599 90 11 95. გიორგი.

● იყიდება აგარაკები გლდანის ციხიდან 7 კილომეტრში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 90 11 95. გიორგი.

● იყიდება ფერმა 18 მეწველი ძროხით, კაპიტალური ბინით საქონლისა და მომვლელისთვის, საძოვრის უნიკალური პირობები მთელი წლის განმავლობაში. ტელ: 599 90 11 95. გიორგი.

● იყიდება მიწის ნაკვეთი მუხიანი-2-ის აგარაკზე, ფართი 2000 კვ.მ., ქალაქთან ახლოს, საფერმო მეურნეობით. ტელ: 593 34 00 25. ჯემალი.

## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლი (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# ლადო პაპავა: საქართველო რუსეთს, ბელორუსსა და სინგაპურს ენათესავება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

შევარდნაძეს აკრიტიკებდნენ. მაშინ, არასამთავრებო ორგანიზაციების აქტიურობაზე მაშინდელი დიდერები ადეკვატურად რეაგირებდნენ. მაგრამ დღეს, ამავე არასამთავრებო სექტორის კრიტიკის იგნორირებას ახდენენ. როგორადაც არ უნდა წარიმართოს საქართველოში პოლიტიკური პროცესები, დასავლეთის მხრიდან ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელია! მივესალმები, რომ უკანასკნელ პერიოდში დასავლეთი საქართველოში დემოკრატიის პრობლემებზე თვალს ნაკლებად ხუჭავს. აქვე დავამატებდი

— ***დასავლეთს ადამიანის უფლებების დარღვევაზე უფრო ადრე რომ არ დაეხუჭა თვალი, ამ საკითხებში ისეთი მძიმე ვითარება არ გვექნებოდა, როგორიც რეალურად დღეს გვაქვს.***

— შუა ზაფხულია, ხელისუფლება ტურისტთა სიმრავლით ამაყობს და ისეთი დაჟინებით ამტკიცებს, რომ „საქართველო ტურისტული მექა გახდა", თითქოს ამ სფეროში ვითარების გაუმჯობესება ვინმეს სწყინდეს. გასაგებია, რომ ზაფხული ეკონომიკური აქტივობით არ გამოირჩევა, მაგრამ თქვენი აზრით, ზოგადად, როგორი ვითარებაა ეკონომიკურ სფეროში?

— ***საქართველოში ტურისტები რომ ჩამოდიან, თავისთავად ამაში ცუდი არაფერია. პირიქით, მათ ვალუტა შემოაქვთ და აქ ხარჯავენ. ცუდი ის არის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური თვალსაზრისით ვითარება კრიზისულია. მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში ჩავარდნა გვაქვს, ტურიზმის განვითარება ინფლაციურ პროცესებს იწვევს, რაც სურსათზე ფასების ზრდაზე აისახება. ეს კი იმის გამო ხდება, რომ კვების პროდუქტების მიწოდება, ძირითადად, იმპორტზეა დამოკიდებული. როცა ქვეყანაში ტურისტის სახით „დამატებითი მჭამელი" ჩნდება, ეს თავისთავად კვების პროდუქტებზე დამატებით მოთხოვნას აჩენს, რის გამოც მათზე ფასები იზრდება. სამწუხაროდ, ჩვენი სასურსათო კალათა 80%-ით იმპორტზეა დამოკიდებული.***

ევროკავშირის ერთ-ერთ დასკვნაში წერია, რომ საქართველოს მთავრობას არ გააჩნია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რაც სიმართლეა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ არ ვიცით, რა მიმართულებით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა და თუნდაც სოფლის მეურნეობა. ძალიან სამწუხაროა, რომ რეალურად ქვეყანას ეკონომიკური პოლიტიკა არ გააჩნია. ქვეყნის ხელმძღვანელობა ხშირად საუბრობს ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოებაზე, რაც თავისთავად სწორია, მაგრამ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები რომ არ იდგმება, ძალიან სამწუხაროა. პირიქით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ევროკავშირთან საქართველოს დაახლოება დროში გაიწელოს. იმავდროულად ჩნდება სინგაპურის თემა, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში აბსოლუტურად გაუგებარია.

— სხვათა შორის, მოსკოვში დაბრუნებულმა „ეხო მასკვის" მთავარმა რედაქტორმა, რომელიც წინა კვირას საქართველოში იმყოფებოდა და ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერებთან 12 ინტერვიუ ჩაწერა, საქართველოს შესახებ ასეთი დასკვნა გააკეთა — „სააკაშვილი და მისი გუნდი საქართევლოში აზიურ სინგაპურს აშენებენ. სინგაპურის მოდელის მექანიზმებს ახლა ეყრება საფუძველი", „ხელისუფლება პოლიტიკაში მოსვლის მსურველებს წინააღმდეგობებს და პრობლემებს უქმნის", „პრობლემები ექმნებათ ოპოზიციის დაფინანსების მსურველ ბიზნესმენებს". პრაქტიკულად, ბატონმა ვენედიქტოვმა იმაზე გაამახვილა ყურადღება, რაზეც თქვენ და თქვენი კოლეგა ექსპერტები დიდი ხანია საუბრობთ...

— ***ვენედიქტოვის ნათქვამში მხოლოდ ერთ კორექტივს შევიტანდი. მან თქვა, სააკაშვილი „აზიურ სინგაპურს" აშენებსო. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „აზიური" ზედმეტია. სინგაპური არა მხოლოდ გეოგრაფიულად, მენტალურად, სახელმწიფოსა და ეკონომიკის მოწყობით აზიური ქვეყანაა. ამიტომ, განსაზღვრება - „აზიური" აბსოლუტურად ზედმეტია. თავისი ბუნებით სინგაპურის მოდელი აზიურია. გაუგებარია, როგორ შეიძლება სინგაპურის მოდელი თავსებადი იყოს ქართულ რეალობასთან.***

ჯერ ერთი სინგაპური არის ქალაქ-სახელმწიფო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ აქვს სოფლის მეურნეობა. ეს მაშინ, როცა საქართველოს 57 % სოფლად ცხოვრობს. სინგაპურს სოფლის მეურნეობის რეფორმირების გამოცდილება საერთოდ არ გააჩნია. ამ მარტივი შედარებითაც ჩანს, რომ სინგაპურული მოდელი საქართველოსთვის თავსებადი პრაქტიკულად არ არის. სინგაპურში ჩინელები ცხოვრობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სინგაპურში ჩინური მენტალიტეტი, შრომისუნარიანობა და კულტურაა, რაც ქართულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჩვენი კულტურა და მენტალიტეტი ევროპულ-აზიური ნაზავია, მაგრამ მასში მაინც ევროპული ჭარბობს. ჩვენ საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, მაგრამ თუ ევროპული ქვეყნების ისტორიას გავიხსენებთ, ძალიან ვგავართ ევროპის სამხრეთ რეგიონებში მდებარე სახელმწიფოებს და არანაირად არ ვგავართ აზიურ ქვეყანას და განსაკუთრებით ჩინური ტიპის სახელმწიფოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სინგაპურში სახელმწიფო კაპიტალიზმია. საქართველოში სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეა ბესო გუგუშვილის საქართველოდან წასვლისა და ზვიად გამსახურდიას რეჟიმის დამხობის შემდეგ მოკვდა. ღვთის მადლით, არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს საქართველოში სახელმწიფო კაპიტალიზმის პოლიტიკა არ გაუტარებიათ. და ეს მაშინ, როცა სინგაპურში ყველა სერიოზული ეკონომიკური წამოწყება მთავრობისაგან მოდის. მთავრობა ქმნის მსხვილ ფირმებსა და კომპანიებს და მერე ახდენს მათ პრივატიზაციას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სინგაპურში თანხები გადაისროლა ორმა ისეთმა სახელმწიფომ, როგორებიცაა ჰონგკონგი, სანამ იგი ჩინეთს შეუერთდებოდა, და ტაივანმა. როცა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ამ ქვეყნების ჩინეთთან მიერთების შესაძლებლობა გაჩნდა, ჰონგკონგელმა და ტაივანელმა ბიზნესმენებმა თავისი კაპიტალისთვის თავშესაფრის ძებნა დაიწყეს. მათ კაპიტალი რეალურად ჩინურ გარემოში ჩადეს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სინგაპურის ჩინეთთან მიერთების შესაძლებლობა ნულის ტოლი იქნებოდა. ლი კუან იუს მიერ სინგაპურში შექმნილმა ავტორიტარულმა რეჟიმმა უცხოურ კაპიტალს თავისუფლების სრული გარანტია მისცა.

აბსოლუტურად სწორად შენიშნა ბატონმა ვენედიქტოვმა — სინგაპურში რაც გინდა აკეთე, ოღონდაც პოლიტიკაში არ უნდა ჩაერთო. სინგაპურში პოლიტიკა მხოლოდ ერთი პარტიის პრეროგატივაა, რომელიც 50 წელია ხელისუფლებაშია. ძალიან საინტერესოა სინგაპურის თემის რუსეთთან პარალალის გავლება. პეტერბურგში ივნისში ჩატარდა ტრადიციული ეკონომიკური ფორუმი, რომელზეც პრეზიდენტი მედვედევი საუბრობდა რუსეთის სინგაპურიზაციაზე. ვიდრე ეს ფორუმი ჩატარდებოდა, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესო გახლდათ პუტინის მოადგილის (ვიცე-პრემიერის), ჩრდილოეთ კავკასიაში პრეზიდენტ მედვედევის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ალექსანდრე ხლოპონინის განცხადება.

ხლოპონინის თქმით, ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის სინგაპური უნდა გახდეს. თუ ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის სინგაპური იქნება და თუ საქართველოც სინგაპური უნდა გახდეს, რა გამოგვდის — კავკასიური სინგაპური? რაღაც სრული მარაზმია. ამას ემატება ის, რომ ვიდრე ბელორუსში კრიზისი დაიწყებოდა, ბელორუსის სინგაპურიზაციაზე საუბრობდა ლუკაშენკოც. პრეზიდენტი ლუკაშენკოც ამტკიცებდა, რომ სინგაპურის მოდელი ბელორუსისთვის ყველაზე საუკეთესოა. სრულიად გაუმართლებელია, რომ საქართველო იდეოლოგიურად ავტორიტარულ რუსეთს, ბელორუსსა და სინგაპურს ენათესავება. მხოლოდ ავტორიტარულ მმართველს შეიძლება მოეწონოს მმართველობის სინგაპურის მოდელი. ლი კუან იუ სხვადასხვა თანამდებობებზე უკვე 50 წელზე მეტია სინგაპურს მართავს. მართალია იგი იცვლის თანამდებობებს, მაგრამ ქვეყნის პირველ პირად დღემდე რჩება. იგი ხან პრემიერ-მინისტრია, ხან საპატიო პრემიერ-მინისტრი, ხან მთავარი პრემიერ-მინისტრი და თანამდებობების ასეთი ცვლილებით ძალაუფლებას ინარჩუნებს. კიდევ ერთი, ლი კუან იუ რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სტუმარია და ამ ქვეყანაში საკმაოდ პოპულარულია. ამას წინათ რუსეთში მისი წიგნი რუსულად ითარგმნა. მიუხედავად ამისა, მე მაინც არ ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის კარგი „სანათესაო" იყოს რუსულ-ბელორუსულ-სინგაპურული პოლიტიკური სუვრცე.

მთავარი კიდევ ისაა, რომ ევროპელები და ამერიკელები ძალიან ღიზიანდებიან საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სინგაპურის თემაზე საუბრით. მათთვის ეს საერთოდ მიუღებელია და მე არ ვიცი საქართველოს მთავრობას რაში სჭირდება ამ თემით ჩვენი დასავლელი მეგობრების გაღიზიანება. 2011 წლის თებერვალში პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა აიღო ვალდებულება იმის თაობაზე, რომ საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს 2015 წელს მიაღწევს. მან იმავდროულად თქვა, რომ 6-7 წლიწადში, ანუ 2017-2018 წლებში საქართველო უკვე იქნება სინგაპური. ამ ორი პროექტის ერთდროულად განხორციელება, უბრალოდ შეუძლებელია.

— ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების თემაზე ყურადღება ვაშინგტონში ვიზიტად მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გაამახვილა. იმავე ვენედიქტოვთან ინტერვიუში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ თემაზე საუბრისას ქართული მხარის პოზიცია დიდი დოზით ღიად პირველად გაახმოვანა. ქართული მხარის წინადადებების არსი ასეთია — თბილისი მოსკოვს სთავაზობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ტვირთების მიმოქცევაზე კონტროლი დააწესოს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ ან ევროკავშირმა. ამ თემაზე თქვენ დიდი ხანია საუბრობთ. ქართველ ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთს ვმო-ში გაწევრიანებისთვის ქართული მხარის მოთხოვნის შესრულება მოუწევს. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ქართულმა მხარემ თავიდანვე ვმო-ში რუსეთს გაწევრიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საბაჟო კონტროლის განხორციელება მოსთხოვა, მაგრამ მაშინ აშკარა იყო, რომ ჩვენს ამ მოთხოვნას მოსკოვი არ დააკმაყოფილებდა. მაშინ „ქრისტიან-დემოკრატმა" გიორგი თარგამაძემ დააყენა საკითხი, ამ პროცესში ევროკავშირის დამკვირებლების მონაწილეობის შესახებ. მოგვიანებით, „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ უფრო ზოგადად თქვა, რომ ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ ის საერთაშორისო ძალები, რომლებზეც მოსკოვი და თბილისი შეთანხმდებიან. ამ საკითხზე „ინტერპრესნიუსთან" მარტის ინტერვიუში პირველად განვაცხადე, რომ აუცილებელია ამ პროცესში ჩავრთოთ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, რომლის წევრი რუსეთი 1992 წლიდან, ხოლო საქართველო 1993 წლიდან არიან. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან და გაეროს სხვადასხვა სტრუქტურებთან აქტიურ კონტაქტშია. ამ ორგანიზაციის წევრობა შესაძლოა ყოფილიყო ის ფორმალური „ჩარჩო", რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი კონტროლის ლეგალური ინსტიტუტების მიერ განხორციელება.

მე დიდ კმაყოფილებას გამოვხატავ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ თემაზე საუბრისას პრეზიდენტმა ვენედიქტოვთან ინტერვიუში საკითხი სწორედ ამ კონტექსტში დააყენა. არ ვარ შეპყრობილი იმ ილუზიით, რომ სააკაშვილმა მაინც და მაინც ლადო პაპავას ნათქვამი გაიგო (რატომღაც მას ჩემი სხვა ნათქვამი არ ესმის). მაგრამ ძალიან კარგი, თუ დღეს ამ საკითხში საქართველოს ოფიციალური პოზიციაა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ფორმატის გამოყენება. მივესალმები ასევე სერგეი ლავროვის განცხადებას, რომელმაც თქვა, რომ პრაქტიკულად მათთვის მისაღებია ის, რასაც ქართული მხარე ითხოვს. ეს იმიტომაც არის მისასალმებელი, რომ ფორმალურად დაცული იქნება ყველა პროცედურა. ამ საკითხზე რუსული მხარის თანხმობის შემთხვევაში ქართული მხარე რუსეთს მისცემს ვმო-ში ქვეყნის გაწევრიანებაზე თანხმობას, რაც თავის მხრივ საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, შეინარჩუნოს კარგი პარტნიორული ურთიერთობა როგორც აშშ-სთან, ისე ევროკავშირთან. საერთაშორისო ასპარეზზე ეს ორივე სერიოზული მოთამაშე და დანარჩენი მსოფლიოც, ვმო-ში რუსეთის გაწევრიანებით დაინტერესებული არიან. ყველაფერს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ის, რაზეც საუბარია, ამის კონტურები რეალური ხდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ცხოვრებისადმი დამოკიდებულება




**ტესტის შეკითხვებს გაეცით პასუხი: დიახ (1 , ხანდახან (2 , არა (3 .**

1. თავისუფალ დროს თუ უთმობთ ადამიანებთან ურთიერთობის განმტკიცებას?
2. თუ კითხულობთ „მსუბუქ" ლიტერატურას (კომიქსებს, ფანტასტიკას, სათავგადასავლო ნაწარმოებებს)
3. კითხულობთ „სერიოზულ" ლიტერატურას?
4. აკეთებთ თუ არა საოჯახო საქმეს?
5. გაქვთ თუ არა ჰობი.
6. მისდევთ თუ არა სპორტს, ასე ვთქვათ, პირადი სიამოვნებისთვის.
7. თუ დადიხართ კინოში თეატრში გამოფენებზე, კონცერტებზე.
8. თუ დადიხართ, რესტორნებში, კაფეებში, წვეულებებზე და საცეკვაოდ?
9. ეწევით თუ არა საზოგადოებრივ საქმიანობას?
10. გიყვართ თუ არა უქნარობა, ტელევიზორთან კოტრიალი?
11. აკეთებთ თუ არა შინ საქმეს, რომელიც თქვენს პროფესიასთან არის დაკავშირებული.
12. იყენებთ თუ არა თავისუფალ დროს სამუშაოსათვის, რომელიც თქვენთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა

**პასუხები**

**12-20 ქულა:** მრავალმხრივი ინტერესები გაგაჩნიათ, კარგად იცით, რას ნიშნავს იცხოვრო საინტერესოდ, გაგაჩნიათ მიზანი, რის მიღწევასაც ბეჯითად ცდილობთ.

**21-28 ქულა:** ხშირად კიდებთ ხელს ისეთ საქმეს, რომელიც ბოლომდე არ მიგყავთ. ისეც ხდება, რომ თავისუფალ დროს უსარგებლოდ ხარჯავთ. გიყვართ მუშაობა, მაგრამ საკმაოდ კარჩაკეტილი ადამიანი ბრძანდებით, თავისუფალ დროს მარტოობაში ატარებთ.

**29-36 ქულა:** თქვენთვის დამახასიათებელია ცხოვრებისადმი ზედაპირული დამოკიდებულება, თავისუფალ დროს ცუდად იყენებთ, სხვების რჩევას ყურად არ იღებთ, მთელი თქვენი ყურადღება გარკვეული ცხოვრებისეული პროგრამისაკენ არის მიპყრობილი, ოღონდ დროს მხოლოდ მასზე არ ხარჯავთ.

გ. თ.

## ცხოვრება



1. საქონლის მოსათვინიერებელი ჭურჭელი; 2. ... ტვენი; 3. ფარაჯა; 4. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 5. ნუსხა; 6. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 7. მწვავე ინფექციური დაავადება; 8. მარკიზის მეუღლე ან ქალიშვილი; 9. რომის პაპის გვირგვინი; 10. ერთ-ერთი პლანეტა; 11. თავდაცვის ძველებური იარაღი; 12. ... მორიკონე; 13. აბატ ფარიას ციხე; 14. ფინიკიელთა ქალღმერთი; 15. მდინარისპირა წყარო; 16. მაჰმადიანთა მოძღვარი; 17. სოფელი საგარეჯოს რაიონში; 18. კავშირი (გრამატ.); 19. ეკლიანი ბალახი; 20. მიწის თხილი; 21. დაცლილი ვაზნა; 22. ლითონის სამკაული ტანსაცმელზე; 23. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 24. ბუნებრივი ვენტილაცია; 25. ზანდუკი; 26. ანსამბლი სამი შემსრულებლით; 27. სატირული მიბაძვა; 28. საფრენი აპარატი; 29. ეგვიპტელთა მზის ღმერთი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ზოფხიტო; 2. გიდი; 3. ციცკა; 4. არღანი; 6. თუთიყუში; 9. სამაია; 13. კამბუზი; 14. ყარყუმი; 15. ფირუზი; 17. კელია; 18. სანტე; 18. ბასი.

**თარაზულად:** 1. ზაგრები; 5. თართი; 7. ხილნარი; 8. ფიდიასი; 10. სიათა; 11. კოშმა; 12. პომადა; 16. ლავაში; 17. კაისა; 19. მონე; 21. ხუცური; 22. პიკეტი; 23. ღიღინი; 24. ფიქალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიზაჟიო; 2. დიონისე; 3. პრეამბულა; 4. ჩუვაჩი; 5. ტიროლი; 9. ბორში; 10. გვარდია; 14. ექსტერიერი; 15. დისპაშერი; 16. ონიქსი; 19. თაკვერი; 20. ნაბუკო; 21. მყვარი.

**თარაზულად:** 6. დისტილატორი; 7. ქებურია; 8. ბატონი; 11. მორჩილი; 12. ფსოვი; 13. პუშკაში; 17. ვიქტორინა; 18. მონორელსი; 22. პარსეკი; 23. საყდარი; 24. ბრეტიორი; 25. სინაგოგა.

# არგენტინა კოპას შინ დაემშვიდობა

### არგენტინა — ურუგვაი 1:1 (4:5 პენალტებით)

*0:1 პერესი (6), 1:1 იგუაინი (18).*

**თერთმეტმეტრიანები:** 1:0 მესი, 1:1 ფორლანი, 2:1 ბურდისო, 2:2 სუარესი, 2:2 ტევესი (მეკარე), 2:3 სკოტი, 3:3 პასტორე, 3:4 გარგანო, 4:4 იგუაინი, 4:5 კასერესი

**არგენტინა:** რომერო, საბალეტა, ბურდისო, მილიტო, ძანეტი, გაგო (ბილია 97), მასკერანო, დი მარია (პასტორე 73), მესი, აგუერო (ტევესი 84), იგუაინი.

**ურუგვაი:** მუსლერა, პერეირა, ლუგანო, ვიქტორინო (სკოტი 21), კასერესი, პერესი, არევალო (ეგურენი 110), გონსალესი, პერეირა (გარგანო 110), ფორლანი, სუარესი.

**გაძევება:** მასკერანო 87 — პერესი 39.

კოპა ამერიკაზე არგენტინის ნაკრები უფერულად კი გამოიყურებოდა, მაგრამ ყველა ფიქრობდა, რომ უეცრად აფეთქდებოდნენ და მაინც ტურნირის ფავორიტად მიიჩნეოდნენ. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ტურნირს მეოთხედფინალში დაემშვიდობნენ.

სანტა ფეში გამართული მატჩი მასპინძელთათვის შოკისმომგვრელად დაიწყო. მე-6 წუთზე, მოედნის ცენტრში დანიშნული ჯარიმის შესრულების დროს, ფორლანმა ბურთი მეტოქის კარის სიახლოვეს ჩაჰკიდა, სადაც ყველას კასერესმა აჯობა და, მართალია, მისი თავური რომერომ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე მოთამაშე დიეგო პერესს გოლის გატანაში ხელი ველარავინ შეუშალა. აღსანიშნავია, რომ გოლის გატანის ეპიზოდში პერესი არგენტინის საჯარიმოს მარცხენა ნახევარში მარტოდმარტო იმყოფებოდა და ეს გუშინდელ მატჩში ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, როდესაც მასპინძელთა მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს.

არგენტინამ ანგარიში ათიოდე წუთში გაათანაბრა. შეტევის მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე მესიმ მოედნის ცენტრისკენ შეიწია და საჯარიმოსკენ დაძრულ იგუაინს ბრწყინვალე პასი გაუკეთა, ხოლო მასპინძელა მე-9 ნომერმა თავით კარგად ითამაშა და კოპა ამერიკაზე თავისი ანგარიში გახსნა.

ტაიმის მიწურულს ურუგვაი რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში



უხეშად მოთამაშე დიეგო პერესმა შესვენებამდე 5 წუთით ადრე მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო და გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა. მიუხედავად ამისა, ტაიმის ბოლო სახიფათო მომენტი მაინც სტუმრებმა შექმნეს. 45-ე წუთზე მთელი მატჩის განმავლობაში ცუდად მოთამაშე არგენტინელ მცველებს მათსავე საჯარიმოში ლუგანომ აჯობა, რომლის დარტყმის შემდეგაც რომეროს კარი გოლისგან ხარიხამ იხსნა.

იყო მოლოდინი, რომ რიცხობრივ უმცირესობაში მყოფ ურუგვაის არგენტინა მეორე 45 წუთში იოლად გატეხდა, მაგრამ ასე არ მოხდა და რთულ მდგომარეობაში მყოფი სტუმრები მასპინძლებს ტოლსწორად ეთამაშნენ.

უფრო ხშირად არგენტინელები უტევდნენ და ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა, მაგრამ ურუგვაის კართან ალსანიშნავი სახიფათო მომენტი კარგა ხანი არ იქმნებოდა. 77-ე წუთზე მესის მიერ გაკეთებული მორიგი კარგი გადაცემის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში ბრწყინვალედ ითამაშა იგუაინმა, რომელმაც ბრუნვაში დარტყმით სცადა მუსლერას კარის აღება, მაგრამ შემდგომში მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული მეკარე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში საქმეში ჩართვა უკვე არგენტინელთა კიპერსაც მოუხდა. საჯარიმოს სიახლოვეს სუარესმა მოკლე მანძილზე გაკეთებული გადაცემით არგენტინის მთელი დაცვა მოჭრა და ფორლანი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ურუგვაელთა თავდამსხმელს რომერომ აჯობა.

შეხვედრის 87-ე წუთზე მსაჯმა მეორე ყვითელი ბარათი ამჯერად ხავიერ მასკერანოს უჩვენა და გუნდების შემადგენლობა გაათანაბრა. უნდა აღინიშნოს, რომ პარაგვაელმა მსაჯმა შეცდომა დაუშვა, რადგან მოედნის ცენტრში, აუტის ხაზთან ახლოს მასკერანოს სუარესთან თამაშს არც უხეში ეთქმოდა და არც სახიფათო შეტევის ჩაშლა.

გუშინდელ მატჩში გუნდებს ასათამაშებლად კაცნაკლული დარჩენა სჭირდებოდათ. მასკერანოს გაძევებიდან რამდენიმე წუთი იყო გასული, როდესაც ტევესის მიერ შესრულებული ძლიერი საჯარიმო დარტყმის დროს მუსლერამ ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა, ბურთი ფეხით მოიგერია და მანვე დამატებაზე მოთამაშე იგუაინის ახლო მანძილიდან დარტყმულიც უკუაგდო. გატანილი გოლის გარდა, არგენტინელებს მთელ მატჩში ასეთი მომენტი არ შეუქმნიათ. მალევე მეტოქის საჯარიმოში მყოფმა სუარესმა მილიტო პატარა ბავშვივით მოატყუა და ცარიელი კარის წინ მყოფ ფორლანს უპასა, მაგრამ ვეტერანი თავდამსხმელის თავური კარს ზემოდან გადასცდა.

პირველი დამატებული ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. გოლის გატანის ყველაზე კარგი შანსი იგუაინს მიეცა, რომლის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმის შემდეგაც მუსლერას კარი ძელმა იხსნა.

მე-2 დამატებული ტაიმი ფორლანის სახიფათო შორეული დარტყმით დაიწყო, მაგრამ არგენტინელებმა მალევე იგდეს ხელთ უპირატესობა და დარჩენილ დროში მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. სწორედ ბოლო ტაიმში მიეცა გოლის გატანის 2 შანსი აშკარად გადაღლილ მესის. არგენტინელთა ათიანმა ჯერ საჯარიმოს ხაზიდან სცადა გატანა, მაგრამ მუსლერას ვერ აჯობა, ხოლო მოგვიანებით, უკვე საჯარიმოში აღმოჩენილ მესის დარტყმა ურუგვაელმა მცველმა არ დაანება. გოლის გატანის შანსი მიეცა იგუაინსაც, რომელმაც ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა.

ბოლო თხუთმეტ წუთში არგენტინელთა არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქმე თერთმეტმეტრიანებამდე მაინც მივიდა და საფეხბურთო ლატარიად წოდებულ დაპირისპირებას უფრო კარგად მომზადებულები ურუგვაელები შეხვდნენ. ტაბარესის შეგირდებმა ხუთივე დარტყმა კარგად შეასრულეს და რომეროს ბურთის მოგერიების შანსი არც ჰქონია. რაც შეეხება არგენტინას, მასპინძელთაგან არცთუ კარგად დაარტყეს პასტორემ და იგუაინმა, მაგრამ ორივე მათგანს გაუმართლა და ბურთი მუსლერას კარში აღმოჩნდა. გადამწყვეტი ეპიზოდი კი ტევესის დარტყმა იყო. ჭირვეულმა არგენტინელმა ცუდი დარტყმით ურუგვაელთა კიპერს ბურთის მოგერიების საშუალება მისცა და შედეგად ტურნირის მასპინძელი და აქამდე უმთავრესი ფავორიტი გათამაშებას გამოეთიშა.

### კოლუმბია-პერუ 0:0 (0:2დდ)

*0:1 ლობატონი (102), 0:2 ვარგასი (112)*

66-ე წუთზე ფალკაომ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი დარტყმა (ააცილა)

**კოლუმბია:** მარტინესი, სუნიგა, იეპესი, პერეა, არმერო, სანჩესი (მარტინესი 113), მორენო, აგილარი (გუტიერესი 104), გუარინი, რამოსი (როდალეგა 72), ფალკაო

**პერუ:** ფერნანდესი, რევორედო, რამოსი, როდრიგესი, ვილჩესი, ადვინსულა (ლობატონი 47), ბალბინი, კრუსადო (ბალონი 118), ვარგასი, ჩიროკი (იოტუნი 96), გუერერო

მოულოდნელი შედეგით დასრულდა მეორე მეოთხედფინალური მატჩიც. სანტა ფეში გამართული მატჩის მსგავსად, კოლუმბია-პერუს დაპირისპირებაშიც დამატებითი ტაიმების დანიშვნა გახდა საჭირო, მაგრამ ამჯერად საქმე თერთმეტმეტრიანებამდე არ მისულა.

ორმხრივ შეტევებში წარმართული მატჩის ძირითად დროში გოლის გატანის ყველაზე კარგი შანსი ფალკაოს ჰქონდა, რომელმაც 66-ე წუთზე თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ააცილა ბურთი კარს.

ანგარიში დამატებითი დროის მე-12 წუთზე გაიხსნა. გამოსვლაზე თამაშის დროს მარტინესი საკუთარ თანაგუნდელს შეეჯახა და მან ვერც ბურთის ხელში შემაგრება მოახერხა, შედეგად, საჯარიმოს წინა ხაზიდან ძლიერი დარტყმით ლობატონმა ბურთი დაუცველ კარში გაიტანა. 112-ე წუთზე კოლუმბიელთა კარის დარაჯმა საკუთარ ნახევარზე გადაცემის გაკეთების დროს დაუშვა შეცდომა, რასაც გუერეროს საჯარიმოში შეჭრა, ვარგასისთვის საგოლე გადაცემის გაკეთება და შეხვედრისთვის წერტილის დასმა მოჰყვა.

# თორნიკე შენგელიას ვერ აჩერებენ

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში თამაში. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ახალგაზრდებმა ჯგუფში 3 მატჩი გამართეს და სამივეში დამაჯერებლად იმარჯვეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველ რიგში ეროვნული ნაკრების წევრის, ახალგაზრდების დასახმარებლად ჩასული თორნიკე შენგელიას დამსახურებაა.

ჩვენების პირველი მეტოქე შვეიცარია იყო. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა. ქართველები მესამე მეოთხედში 12 ქულას (49:37) იგებდნენ, მაგრამ შვეიცარიელებმა მოახერხეს და ანგარიში გაათანაბრეს. ბოლო მეოთხედმა ქულა-ქულაში ჩაიარა და ქართველებმა ყველაზე მთავარ მომენტში, ბოლო 2 წუთში იყოჩაღეს და საბოლოოდ 8 ქულის სხვაობით — 82:74 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრების ლიდერი თორნიკე შენგელია მოედნიდან ხუთი პერსონალურის გამო გავარდა, თუმცა 19 წლის შენგელია ვალმოხდილი გავიდა მოედნიდან — მატჩის დასრულებამდე 3 წამი რჩებოდა, საქართველო კი 7 ქულით ლიდერობდა და გამარჯვება განაღდებული ჰქონდა. არადა, შენგელია მესამე მეოთხედის სადებიუტო წუთებიდან 4 პერსონალურით თამაშობდა. დავით უსტიაშვილი მის პროფესიონალიზმს ენდო და მოედნიდან დაუყოვნებლივ არ გაიყვანა. თორნიკემ ყველაფერი კარგად შეასრულა. ის დაცვაში მეტად აკურატულად თამაშობდა და შეტევაში იმდენად აქტიური იყო, რომ ქულების მოხვეჭა არ უძნელდებოდა. საბოლოოდ შენგელიამ 31 ქულა დააგროვა. მან თამაშში პირველი საჯარიმო მატჩის ბოლო წუთზე ააცილა, არადა, მანამდე 13-დან 13 ჰქონდა ჩაგდებული.

შესანიშნავად ითამაშა ქართველების ნომინალურმა ცენტრმა აკაკი დვალიშვილმა, რომელმაც თამაშიდან ნასროლი 9 ბურთიდან 7 მოათავსა შვეიცარიელთა კალათში. საბოლოოდ დვალიშვილს 15 ქულა და 8 მოხსნა დაუგროვდა. მასზე ქულით მეტი ჩააგდო და გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბექა ჩიკვილაძემ.

საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგად ჩაატარა მეორე მატჩში მაკედონიასთან შეხვედრა. მთელი შეხვედრის მანძილზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. მაკედონიელები ქართველების მცირე, 4-5-ქულიან უპირატესობას უმალ აბათილებდნენ და ხანდახან წინაც გადიოდნენ.

დაიწყო ბოლო მეოთხედი და საქართველოს ნაკრებმა ისეთი სიზუსტე გამოიჩინა, რომ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 12 ქულის სხვაობით — 87:75 მოიგო.

გამარჯვების მთავარი შემოქმედი ამჯერადაც თორნიკე შენგელია გახლდათ. შენგელია არა მარტო საქართველოს ნაკრების, მთლიანად ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. მან ძალიან შთამბეჭდავი სტატისტიკა აჩვენა — 38 წუთში, 40 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება, 3 ჩაჭრა, 1 პასი.

დავით უსტიაშვილის გუნდმა მესამე მეტოქეც დაამარცხა და სამიდან სამი გამარჯვებით ესტონეთთან ერთად ჯგუფის ლიდერია. ქართველებმა ბოლოს პოლონეთი დაამარცხეს.

გუნდური თამაშის წყალობით უსტიაშვილის შეგირდებმა მეტოქეს 76:69 მოუგეს.ჩვენმა ნაკრებმა პირველი ტაიმი დამაჯერებლად — 46:32 მოიგო, თუმცა მესამე მეოთხედში საქმე გაურთულდა და პოლონელებმა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს — 57:55. საქართველოს ნაკრებს ახლიდან მოუწია ძალების მობილიზება და ბოლო მეოთხედში ამ ამოცანას კარგად გაართვა თავი. გუნდური თამაშის წყალობით უსტიაშვილის გუნდმა გადამწყვეტი მეოთხედი 19:14 მოიგო და საბოლოო წარმატებასაც მიაღწია.ჩვენს ნაკრებს კვლავ თორნიკე შენგელიამ ულიდერა, რომელმაც 26 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. 13 ქულა დუდა სანაძის ანგარიშზეა, ხოლო ბექა ჩიკვილაძემ და აკაკი დვალიშვილმა შეხვედრა 12-12 ქულით დაასრულეს.

საქართველოს ნაკრების მორიგი მეტოქე რუმინეთი იქნება, რომელმაც ბოლო ტურში შვეიცარია დაამარცხა. ეს მატჩი გუშინ გვიან გაიმართა და თუ მეტოქის დამარცხებას მოახერხებდა, ჯგუფიდან გასვლას გაინაღდებდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ესტონეთი | 3 | 3 | 0 | 271:190 | 6 |
| 2.საქართველო | 3 | 3 | 0 | 245:218 | 6 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 173:194 | 5 |
| 4.პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 205:217 | 4 |
| 5.მაკედონია | 3 | 0 | 3 | 222:256 | 3 |
| 6.შვეიცარია | 3 | 0 | 3 | 185:226 | 3 |

# ვაკო ყაზაიშვილი „ვიტესში“ მესამე ქართველი იქნება

კიდევ ერთი ქართველით შეივსება ჰოლანდიის ერედივიონში მოასპარეზე არნემის „ვიტესი“, რომლის პრეზიდენტიც მერაბ ჟორდანიაა. გურამ კაშიასა და გიორგი ჭანტურიას შემდეგ არნემულ კლუბში ვაკო ყაზაიშვილიც ითამაშებს.

— ყაზაიშვილის დარი ფეხბურთელებითაა შესაძლებელი სტადიონზე მაყურებლის მოზიდვა. ამიტომაც მსურდა “დინამოში“ მისი წამოყვანა, მაგრამ ის 25 ივლისს ჰოლანდიაში უნდა გაემგზავროს და, როგორც ვიცი, “ვიტესთან“ კონტრაქტს გააფორმებს. თუმცა, თავი ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია, რადგან ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში მიიწვიეს ორი ფეხბურთელი, რომლებთანაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი. მჯერა, რომ ჩვენთან კიდევ ბევრი ბავშვია, რომლებიც ასეთსავე მაღალ დონეზე ითამაშებენ, — აცხადებს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი გიორგი დევდარიანი.

სავარაუდოდ, ყაზაიშვილი “ვიტესთან“ ორ ან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ მან 3 ივლისს ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ სრულად ითამაშა და ოთარ გაბელიას გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

# სლოვენიაში „ტორპედოს“ მეტოქეები ცნობილია

შავიზღვისპირა შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. რიონისპირელები მარტვილის „მერანთან“ სათამაშოდ აბაშაში ჩავიდნენ და დავით ბოლქვაძის მიერ 26-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 მოიგეს.

გიორგი კიკნაძემ ქუთათურები ასეთი შემადგენლობით ათამაშა: მიგინეიშვილი, დაჩი ფოფხაძე (ტაბატაძე 60), ს.თოდუა (ფარულავა 66), ქემოკლიძე (ჩხარტიშვილი 66), მანჩხავა (გურული 60), ჩიკვილაძე (კუხიანიძე 70), დილმელაშვილი, დოლიძე, სეთურიძე (კირკიტაძე 46), დ.ბოლქვაძე, რ.გოცირიძე (მეგრელაძე 46).

უცხოურ შეკრებაზე გამგზავრებამდე, „ტორპედო“ კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 19 ივლისს ქუთაისს ეწვევა და მასპინძლებს საჩხერის „ჩიხურა“ წაესპარინგება.

გაირკვა იმ გუნდების ვინაობაც, რომელთაც „ტორპედო“ სლოვენიური შეკრებისას შეხვდება. მოგეხსენებათ, 22 ივლისიდან 1 აგვისტომდე „ტორპედო“ სლოვენიის დაბა მურსკა სობოტაში გაივლის ახალი სეზონისთვის მზადების ბოლო ეტაპს. კლუბის ტექნიკური მენეჯერის რამაზ ჩხიკვაძის თქმით, სლოვენიაში ქართველები სამ სპარინგს გამართავენ, მეტოქეებად კი, ისრაელის ბოლო ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი თელ ავივის „მაკაბი“, სერბეთის მე-7 ადგილოსანი ბელგრადის ოფკ და რუმინეთის 18-გუნდი ჩემპიონატში მე-15 ადგილზე გასული და დაბალ ლიგაში დაქვეითებული კრაიოვას „უნივერსიტატეა“ ეყოლებიან.

# „ზესტაფონს“ საკუთარ სტადიონზე თამაში სურს

დასაწყისი მე-16 გვერდზე

იშურებს, რათა მოლდოვური ბარიერის გავლის შემდეგაც შინაურ კედლებში ვუმასპინძლოთ მეტოქეს. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდი საუკეთესო შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული, რაც უპირველესად, საერთაშორისო დონეზე ქვეყნის ღირსების დაცვას ითვალისწინებს. ძალიან დიდია სურვილი და ვთვლით, რომ საამისო ძალაც გვაქვს, მოვხვდეთ რომელიმე ევროპული ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე. ამისთვის კომპაქტურად თავშეყრილი ერთგული მაყურებლით სავსე ტრიბუნების წინაშე თამაშს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ისიც გვესმის, რომ ფლეი ოფში მოხვედრის შემდეგ, ეროვნულ სტადიონზე უნდა ვითამაშოთ, რადგან დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი ვერ აკმაყოფილებს უეფას მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. თუმცა, იმისთვის, რომ გუნდმა კიდევ ერთი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახოს, ზესტაფონში თამაში გვესაჭიროება, — აცხადებს ზესტაფონური კლუბის პრესატაშე სერგო ფუტკარაძე.

# დუდა სანაძე „ჟალგირისში“ ითამაშებს

საქართველოს 20-წლამდე ასაკის კალათბურთელთა ნაკრების მსროლელი დუდა სანაძე 2011-12 წლების სეზონში ლიტვისა და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ კაუნასის „ჟალგირისის“ 20-წლამდელთა შემადგენლობაში იასპარეზებს, რომელიც ამ გუნდის დუბლშემადგენლობას წარმოადგენს. დაიტოვებენ თუ არა დუდას ლიტველები ერთი წლის შემდეგ, მხოლოდ თავად კალათბურთელზე და მის კარგ თამაშზე იქნება დამოკიდებული.შეგახსენებთ, რომ ამჟამად დუდა სანაძე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქ სარაევოში იმყოფება.

დუდა სანაძე ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის დასრულების შემდეგ, 30 ივლისს გაემგზავრება.

# ჟოზე მოურინიო: „რეალის“ გულშემატკივარმა საყვარელი გუნდით უნდა იამაყოს

**მადრიდის „რეალი“ ამჟამად ლოს ანჯელესში იმყოფება, სადაც კასტილიელთა პორტუგალიელმა მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს 2911-12 წლების სეზონის პირველი ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

*— როგორ ჩაიარა არდადეგებმა?*

— ხანმოკლე შვებულება მქონდა. 15 წყნარი და ბედნიერი დღე გავატარე.

*— მომავალი სეზონი მადრიდის „რეალისთვის“ იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ახალი საკლუბო სტრუქტურა ყალიბდება.*

— ნებისმიერი სეზონი თავისებურადაა მეტად მნიშვნელოვანი. კლუბის სტრუქტურა კი იმადაა შექმნილი, რომ გუნდს წარმატების მიღწევაში დაეხმაროს. სტრუქტურა პერიოდულად გასაახლებელია. მადრიდის „რეალის“ ყველა წევრის ნაყოფიერი თანამშრომლობა სახელოვანი კლუბის მომავალი წარმატებების გარანტიაა.

*— საქმეს ისეთი პირი უჩანს, ზინედინ ზიდანის ფიგურა სულ უფრო და უფრო წონადი ხდება.*

— ძალიან მიხარია, ზიზუ ჩვენთან ერთად რომ მუშაობს. იგი ნებაყოფლობით ჩაერთო ჩაფიქრებული პროექტის რეალიზებაში. მას სჯერა „რეალის“ და იმაშიც დარწმუნებულია, კლუბისთვის სარგებლობის მოტანა რომ შეუძლია. მართალია, მაღალი კლასის ფეხბურთელი კარგი ფუნქციონერი ხშირად არ გამოდის, მაგრამ ზიდანი სხვა შემთხვევაა — მისი ჭკუა, სიმშვიდე და ყველასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა ზინედინს „რეალისთვის“ უმნიშვნელოვანეს ჩინოვნიკად აქცევს. პირადად მე, მასთან ერთობლივად მუშაობის პერსპექტივა მხიბლავს.

*— ამ ზაფხულს განხორციელებული ტრანსფერებით კმაყოფილი ხართ?*

— მადრიდის „რეალისთვის“ ფეხბურთელის შეძენა ურთულესი საქმეა, რადგანაც ძლიერი შემადგენლობა გვყავს და შარშან როგორც ფეხბურთელებს, ასევე მთლიანობაში გუნდს პროგრესი ჰქონდათ. ესპანეთის თასი მოვიპოვეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი ტიტული არ გვაკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია გუნდის კიდევ უფრო გაძლიერება და უახლოესი წლების განმავლობაში სტაბილური, შედეგზე და ლამაზ თამაშზე ორიენტირებული კოლექტივის შექმნა. კოენტრაუ 23 წლისაა, კალიეხონი ერთი წლით უმცროსი, შაჰინი მასზე კიდევ უფრო ახალგაზრდაა, ვარანი კი სულაც 18 წლისაა. სამომავლოდ კვლავაც ახალგაზრდა მოთამაშეების აყვანაზე ვიქნებით ორიენტირებულნი. ჩემი აზრით, წლეულს ზაფხულში ის მოთამაშეები დავიტოვეთ, რომლებიც კარგად შეერწყმებიან გუნდში მყოფ ფეხბურთელებს და მრავალი წლის განმავლობაში მაღალ დონეზე თამაშს შეძლებენ.

*— ბოლოს და ბოლოს, შეძელით თქვენთვის სასურველი შემადგენლობის ჩამოყალიბება?*

— ამ მხრივ კმაყოფილი ვარ. გუნდი შეიკრიბა, შემადგენლობას თვალი კიდევ ერთხელ გადავავლე და მივხვდი, სწორ გზას რომ ვადგავართ. თანაც, გაითვალისწინეთ, 2 საკვანძო მოთამაშე, გონსალო იგუაინი და ანხელ დი მარია გვაკლია. ჩემი აზრით, გუნდი 90 პროცენტითაა დაკომპლექტებული. ერთი მაღალი კლასის თავდამსხმელის დამატება არ გვაწყენდა. თუ ეს არ მოხერხდა, არც ამით დაშავდება ბევრი რამ. „რეალის“ ამჟამინდელი შემადგენლობა ათწლიან პერსპექტივაზეა გათვლილი.



*— კარგა ხნის განმავლობაში პრესის წარმომადგენლებს არ ესაუბრებოდით. რით იყო გამოწვეული ეს ტაიმ-აუტი?*

— საამისო აუცილებლობას ვერ ვხედავდი. მით უმეტეს, რამდენჯერაც ჟურნალისტებს გავესაუბრე, იმდენჯერ სუსხიანი კრიტიკის ობიექტი გავხდი.

*— 17 აგვისტოს ესპანეთის სუპერთასზე „ბარსელონასთან“ მოგიწევთ შებმა. უკვე ფიქრობთ ამ შეხვედრაზე?*

— არა. წინასასეზონო მზადება გვაქვს და არა სასუპერთასო. ქვეყნის სუპერთასს რაც შეეხება, მასზე ფიქრს აგვისტოს მეორე კვირის დასაწყისიდან შევუდგებით. სადღეისოდ ფეხბურთელების სათანადო ფორმის მიღწევაზე ვზრუნავთ, კონკრეტული მატჩებისთვის მზადების პერიოდი კი ჯერ არ დამდგარა.

*— მადრიდის „რეალის“ უმთავრესი სამიზნე ჩემპიონთა ლიგის თასია. არადა, ამ ტურნირის პირველი მატჩების ცქერა ტრიბუნიდან მოგიწევთ. 28 ივლისს ნიონში ხართ დაბარებული. შეძლებთ საკუთარი პოზიციის დაცვას?*

— უეფას ჩინოსნების პირისპირ ყოფნისას ენაწყლიანობას არ ვაპირებ. ვიმედოვნებ, მართლმსაჯულება ობიექტური იქნება და „რეალის“ უშუალო ხელმძღვანელობა ჩემპიონთა ლიგის მომავალი გათამაშების პირველივე მატჩიდან შემეძლება. თუ-კი ასე არ მოხდა, ჩვენი სამწვრთნელო შტაბი ამ დავალებას თავს პირნათლად გაართმევს.

*— მომავალ სეზონში „რეალს“ რა მიზანს დაუსახავთ?*

— ჩვენი მიზანია, გულშემატკივარი ამაყობდეს საყვარელი გუნდით. მე მგონი, წინა სეზონში ეს შევძელით, მომავალი აგვისტოდან კი კიდევ უფრო მაღალ დონეზე გასვლას შევეცდებით.

# ეროვნული ნაკრები უკვე საფრანგეთშია

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებმა პირველ შეკრება დაასრულა და მზადებას საფრანგეთში, ქალაქ კანში გააგრძელებს. წასვლის წინ, რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, მთავარი მწვრთნელი რიჩი დიქსონი და გუნდის კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე, ქართველ საზოგადოებას დაემშვიდობნენ.

**გია ნიჟარაძე:**

— საქართველოს ნაკრები საფრანგეთში მიემგზავრება. ახლა გუნდს უმნიშვნელოვანესი პერიოდი უდგას და სწორედ ამ პერიოდზე იქნება დამოკიდებული, თუ რა შედეგს ვაჩვენებთ ზელანდიაში. მე წილად მხვდა ბედნიერება, ამ ბიჭებთან მემეგობრა. ვიცი, ისინი თავს დადებენ საქართველოსთვის და მისი დროშისთვის. მათ კარგად იციან, თუ რა უნდა გააკეთონ საქართველოსთვის და უკან არაფერზე დაიხევენ. ის, რომ მე დღეს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ვარ და მათ გვერდით ვმუშაობ, ჩემთვის დიდი პატივია.

**რიჩი დიქსონი:**

— ამ ეტაპზე ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. მადლობა გარეთს და ილოს, რომლებმაც ბიჭებთან ერთად დიდი სამუშაო გაწიეს. წინ კიდევ დიდი სამუშაო გვაქვს და ბიჭებმა კარგად იციან, რომ პასუხისმგებლები არიან მთელი ქვეყნის წინაშე. დიდი მადლობა მამა ილიას, რომელმაც ბიჭები დალოცა, ეს ყველაფერი ზელანდიაშიც გაგვყვება. მსოფლიო თასის წინ, ყველა ნაკრები ცდილობს, თავისი ფიზიკური კონდიციები 10-15 პროცენტით გააუმჯობესოს და გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. ჩვენ მათზე ორჯერ მეტი უნდა ვიმუშაოთ, რათა შედეგს მივაღწიოთ. 13 და 19 აგვისტოს, ტოპ 14-ის გუნდებთან ორი ამხანაგური თამაში გვექნება. იქ ბიჭების მზადყოფნას დავაკვირდებით და მათ შეთამაშებაზე ვიზრუნებთ. ამჟამად მხოლოდ პირველი თამაშისთვის ვემზადებით, რომელსაც 14 სექტემბერს შოტლანდიასთან გავმართავთ. როგორც დავიწყებთ მომავალ მსოფლიო თასს, ისე გავაგრძელებთ მთელ ტურნირს და ამ კუთხით, პირველ შეხვედრას დიდი ყურადღება ეთმობა. მადლობა გუნდს, რომელმაც 2007 წლის მსოფლიო თასზე ითამაშა, მაგრამ ჩვენ მოულოდნელობის ეფექტი დავკარგეთ. პირადად ვესაუბრე შოტლანდიის მთავარ მწვრთნელ ენდი რობინსონს და ვიცი, ისინი ჩვენთან შეხვედრისთვის სრული სერიოზულობით ემზადებიან. რაც უფრო მეტი გუნდი მოგვექცევა პატივისცემით, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ნელნელა წინ მივდივართ და ვვითარდებით.

**ირაკლი აბუსერიძე:**

— დიდი სამუშაოს შესრულება გვიწევს, მაგრამ ვიცით, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და წინ მეტი დატვირთვები გველის. ვეცდებით, ეროვნული ნაკრების მაისური ღირსეულად ვატაროთ.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ახალ ზელანდიაში სექტემბერ-ოქტომბერში გასამართი მსოფლიო თასისთვის ემზადება, კომპანია „ქართუსგან“ დიდი საჩუქარი მიიღო.

„ქართუმ“, რომელიც ბორჯღალოსნებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ბაზებს აშენებ, „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე, რომელიც ამავდროულად რაგბის აკადემიაცაა, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაასრულა და გუნდის კაპიტან ირაკლი აბუსერიძეს სიმბოლურად გასაღები ჩააბარა. ახლა შევარდენის კომპლექსი სრულფასოვანია, თავისი ბუნებრივი და ხელოვნური მოედნებით, სატრენაჟორო დარბაზით, აუზით და საცხოვრებელი კორპუსით.

ახალაშენებული სასტუმრო, რომელიც მხოლოდ ქართველ მორაგბეებს მოემსახურება, ხუთსართულიანია და 48 ადამიანზეა გათვლილი. საცხოვრებელი ოთახების გარდა, მასში განთავსებულია აუზი, სასადილო და მოსასვენებელი ოთახი. ნაკრების მორაგბეებმა დაათვალიერეს საცხოვრებელი, სადაც მომავალში მათ და მათი გზის გამგრძელებლებმა უნდა იცხოვრონ და ეს ამბავი გუნდის მენეჯერის, ვასილ აბაშიძის აუზში ჩაგდებით აღნიშნეს, მერე კი, ფიზმომზადების მთავარ მწვრთნელ გარეთ ადამსონის ხელმძღვანელობით სავარჯიშოდ მოედანს მიაშურეს.

ინტენსიურმა ვარჯიშმა საათზე მეტხანს გასტანა. მალხაზ ურჯუკაშვილი კვლავ ექიმის მეთვალყურეობით, ინდივიდუალურად ემზადებოდა და მხოლოდ ძუნძულით შემოიფარგლებოდა. გუნდს ჯერაც არ შეერთებიან თედო ზიბზიბაძე და ლაშა მალაღურაძე, რომელთა გუნდებსაც გრძელი სეზონი გამოუვიდათ, რადგან ფედერალ 1-ის ფინალი ითამაშეს და მწვრთნელებმა მათ დასვენების საშუალება მისცეს. მოედანზე სავარჯიშოდ სულ 27 მორაგბე გავიდა, დანარჩენი ორი დარბაზში, ტრენაჟორებით ვარჯიშით შემოიფარგლა. ადამსონმა 7-7 კაცი მოედნების სხვადასხვა კუთხეებში, ძალისმიერ ვარჯიშებზე გაისტუმრა, დანარჩენები კი, მოედნის ცენტრში, მოკლე მანძილზე შეტევებისა და დაცვის ორგანიზებაში ავარჯიშა, ოღონდ, აქაც მთავარი ყურადღება ფიზიკურ გამძლეობას ექცეოდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ, მორაგბეები სავარჯიშოებს ცვლიდნენ.

## მსოფლიო თასისთვის შემდეგი მოთამაშეები ემზადებიან:

გოდერძი შველიძე (მონპელიე, საფრანგეთი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი, საფრანგეთი), ვასილ კაკოვინი (ბრივი, საფრანგეთი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი, საფრანგეთი), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია (ობენა, საფრანგეთი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), ილია ზედგინიძე (კერკერენი, საფრანგეთი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სენი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდონი, საფრანგეთი), ლექსო გუგავა (ლელო), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), რევაზ გიგაური (ფიჟაკი, საფრანგეთი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი).

## შედეგები

### ფეხბურთი

**კოპა ამერიკა**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-პერუ | 0:2(დდ) |
| არგენტინა-ურუგვაი | 1:1(4:5პ) |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ზანკტ პაული-ინგოლშტადი | 2:0 |
| აუე-ალემანია | 1:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კაფენბერგი-ვაკერი | 2:3 |
| მატერსბურგი-ნოიშტადი | 1:2 |
| რაპიდი-ადმირა | 2:0 |
| რიდი-შტურმი | 1:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სიონი-ციურიხი | 1:0 |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 1:1 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| მეტალისტი-ზარია | 3:2 |
| *ზარიას მეორე გოლი ჯაბა ლიპარტიამ გაიტანა* | |
| ალექსანდრია-დინამო | 1:3 |
| ვოლინი-ტავრია | 2:2 |
| მეტალურგი(დ)-შახტარი | 0:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ნორდსიელანდი | 2:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ნორჩიოპინგი-სირიანსკა | 2:1 |
| დიურგარდენი-მიალბი | 1:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ჰიკი-ვაასა | 3:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| სიეტლი-კოლორადო | 4:3 |
| კოლამბუსი-სან ხოსე | 0:0 |
| ჰიუსტონი-კანზასი | 1:1 |
| ჩიკაგო-პორტლენდი | 0:1 |
| დალასი-ვაშინგტონი | 0:0 |
| ჩივასი-რედ ბული | 0:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(გ)-ავაი | 0:1 |
| ვასკო-ატლეტიკო(პ) | 2:1 |
| კურიტიბა-ფლუმინენსე | 3:1 |
| სანტოსი-ატლეტიკო(მ) | 2:1 |

### წყალბურთი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| აშშ-ჰოლანდია | 7:7 |
| უნგრეთი-ყაზახეთი | 21:6 |
| ავსტრალია-კანადა | 7:10 |
| ახ.ზელანდია-უზბეკეთი | 19:6 |
| რუსეთი-ბრაზილია | 15:4 |
| საბერძნეთი-ესპანეთი | 10:9 |
| იტალია-კუბა | 12:4 |

### ფრენბურთი

**ევროლიგა. ოთხთა ფინალი. კაცები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-სლოვენია | 3:2 |
| სლოვაკეთი-რუმინეთი | 3:0 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-ჩეხეთი | 3:0 |
| თურქეთი-სერბეთი | 0:3 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ბასტადი. თიხა**

| | |
|---|---|
| სოდერლინგი-ბერდიხი | 6:1;6:0 |
| ფერერი-ალმაგრო | 6:1;6:3 |

**ატპ. შტუტგარტი. თიხა**

| | |
|---|---|
| ფერერო-დელ ბონისი | 3:6;6:4;6:4 |
| ანდუხარი-კუბოტი | 6:4;3:6;6:4 |

**ვტა. ბად გაშტეინი. თიხა**

| | |
|---|---|
| მაიერი-პერვაკი | 6:0;6:0 |
| მარტინეს სანჩესი-ბონდარენკო კ. | 6:1;7:6 |

**ვტა. პალერმო. თიხა**

| | |
|---|---|
| მედინა გარიგესი-ცეტკოვსკა | 7:5;6:3 |
| პენეტა-ჰერცოგი | 2:6;2:6 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## TV პროგრამა

**ოშაბათი 18 ივლისი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართ. ფილმი **"რაჭა, ჩემო სიყვარულო"** **15.00** სერ. **"დოლმენი"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედინფო **18.30** დოკ. ფილმი "დედამიწა: პლანეტის ძალა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"დოლმენი"** **22.00** აუდიტორია – როგორ დავანებოთ თავი სიგარეტის მოწევას **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"** (**12**) (ტ. კრუზი) **04.00** მოამბე **04.20** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"ჯაშუში ჰარიეტი"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** ძველი აფიშა **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "პირველი აპოკალიფსი" **20.00** მხ. ფილმი **"ნადირობა თაგვზე"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ამაო მცდელობა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმღწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** მელომანია **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ალადინი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **23.30** მუს. ლიგა (გან.) **01.00** მხ. ფილმი **"ქალები"** (**12**) (მ. რაიანი) (სუბტ.) **03.35** მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (**18**) (ჯ. მური) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადრიდე"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **12.50, 19.35** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"ვედრება"** **13.15** კონცერტი – ანს. "მამული" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** სპექტაკლი **"ძველი ვოდევილები"** **17.15** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.25** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ხსოვნა"** **1**-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საქართველოს ისტორია **22.20** დოკ. ფილმი "მზეო თიბათვისა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** პერსპექტივა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

## ამინდის პროგნოზი 18 ივლისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 39-31, ღამით — 18-29

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 21-22

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 13-1§








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 295-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## „ზესტაფონს" საკუთარ სტადიონზე თამაში სურს

**უეფას ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონისა" და მოლდოვის „დაჩიასთან" ჰიჩველი მატჩის (3:0) შემდეგ, შვეიცარიის ბულგარელმა დელეგატმა ანდრეი მედინცევმა უეფას შეატყობინა, რომ მატჩის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა სამართალდამცველებმა რამდენიმე უბილეთო მაყურებლის ტრიბუნებზე შესვლა არ აღკვეთეს და ამის ამსახველი ფოტომასალაც ჩაიტანა.**



დელეგატის ეს განცხადება უეფასთვის საკმარისი აღმოჩნდა, რათა „ზესტაფონისთვის" მიმდინარე ევროსეზონზე „დავით აბაშიძეზე" თამაში აეკრძალა. აქ კონკრეტულად სტადიონთან რომ არაა პრეტენზია, იქიდანაც ჩანს, რომ მომავალ ხუთშაბათს „გაგრას" მიერ კვიპროსული „ანორთოსისის" ამ არენაზე მასპინძლობა ეჭვქვეშ არ დამდგარა.

„ზესტაფონი" ამჟამად იმის მცდელობაშია, რომ „დაჩიას" ბარიერის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მორიგი მატჩიც ზესტაფონში ითამაშოს.

ბუნებრივია, აღნიშნული მცდელობა კანონიერების ფარგლებშია და პროცესში კლუბის მესვეურთა გარდა, სახელისუფლო ორგანოებიც ჩართულნი არიან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც. არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ სამთავრობო დონეზე გარანტიების წარგზავნამ და სფფ-ის მხარდაჭერამ უეფას ვერდიქტი შეაცვლევინოს.

— „ს/კ „ზესტაფონი" ძალ-ღონეს არ


გაგრძელება მე-14 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 18 ივლისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**შეინარჩუნეთ სიმშვიდე**

**ვერძი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად იქნება. **ქალწული** — პოზიტიური დღეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **სასწორი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ღრიანკალი** — წარმატებული დღეა, თამამად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თევზები** — იაქტიურეთ, წარმატებას ადვილად მიაღწევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


11 ივლისიდან

იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 8

ვაჟა-ფშაველა

გაზეთი და წიგნი ერთად

8 ლარი


## იუმორი



საგაზეთო განცხადები გაცნობის შემდეგ მამაკაცი ქალს პირველად ეწვია. სხედან, საუბრის დაწყებას ცდილობენ:

— უკაცრავად, წინააღმდეგი ხომ არ ხართ, სიგარეტი რომ გავაბოლო? — ეკითხება მამაკაცი.

— რას ბრძანებთ, ახლავე საფერფლეს მოგიტანთ, თავად არ ვეწევი, მაგრამ მომწონს იმის ცქერა, სხვები როგორ ეწევიან, — აფუსფუსდა დიასახლისი, — მართლა, დალევა ხომ არ გინდათ?

— უარს არ ვიტყოდი.

— ახლავე ღვინოს მოგართმევთ. თავად არ ვსვამ, მაგრამ მომწონს, სხვები რომ ეწევიან.

სხედან, ნება-ნება საუბრობენ, დაბინდდა. მამაკაცი ყოველი შემთხვევისათვის ეკითხება:

— სასიყვარულო ღამეზე რას იტყოდით?

— რა გაუბედავი ხართ, — წამოვარდა ქალი დივანიდან, კარადა გამოაღო და რეზინის ქალი გადმოიღო, — თავად სექსს არ მივდევ, მაგრამ მომწონს, ამას სხვები რომ აკეთებენ...

* * *

ტელეფონის ზარი. ქალის ხმა ტირილით ყვირის:

— არამზადა, მატყუარა. მეზიზღები, თვალით არ დამენახო!

და ყურმილი დააგდო. მესამე წელია ვცდილობ, გამოვარკვიო, ვინ არის...

გ. თ.

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 6. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 7. თალარი, ფანჩატური; 8. მონიტორი; 10. დედაკაცი, ქალი ძველად; 11. შტატი აშშ-ში; 13. ფასიანი საერთო საცხოვრებელი ზოგიერთ სასწავლებელთან ძველად; 16. უდაბნოს „ხომალდი"; 19. ხიდი, რომლითაც წყალსადენი მილია გადაყვანილი; 20. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. მაღაზია; 2. სიმებიანი საკრავი; 3. ერთგვარი ფრანგული საწებელი; 4. ხეივანი, პროსპექტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 5. მოზარდი; 9. მე-18 საუკუნეში ინგლისში შექმნილი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდევრობის წევრი; 12. უკიდურესობა, წრეგადასულობა; 14. რაიმე მოძღვრების დამცველი; 15. მდინარე აზიაში; 17. საფოსტო ნიშანი; 18. ხერხემლის ძვალი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

